პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

17 ივლისი **შაბათი** 2010
№ 166 (13 154) ფასი 60 თეთრი



## კრისტიანოს შავი ფრჩხილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროტურნირები
მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

## კარპატისთან და შტურმისთან ახლოს ვართ

» გვერდი 3

აქტობე (ყაზახეთი)/ოლიმპი (საქართველო)-ჰაპოელი (ისრაელი)/ჟელეზნიჩარი (ბოსნია)
სტაბეკი (ნორვეგია)/დნეპრი (ბელარუსი)-ვიტ ჯორჯია (საქართველო)/ბანიკი (ჩეხეთი)
რეიკიავიკი (ისლანდია)/კარპატი (უკრაინა)-ზესტაფონი (საქართველო)/დუკლა (სლოვაკეთი)
შტურმი (ავსტრია)-გეფლე (შვედეთი)/დინამო (საქართველო)



## შოთამ მოგებით დაიწყო

იაშვილის ჰეთ თრიკი და კოზის მოგება

» გვერდი 3,4

# დღეს სეზონის პირველი მატჩია

## ეროვნული ნაკრები უნგრეთით იწყებს



### 15-კაციანი შემადგენლობა

გიორგი ცინცაძე
ტორინ გრინი
ლაშა გამყრელიძე
კოტე ტუღუში
ანატოლი ბოისა
მანუჩარ მარკოიშვილი
კოკა ტომარაძე
ქუინტონ ჰოსლი
ვიქტორ სანიკიძე
ნიკა ცქიტიშვილი
ლევან შენგელია
მიხეილ ბერიშვილი
ნიკა მეტრეველი
გიორგი შერმადინი
ზაზა ფაჩულია

*მატჩი 19 საათზე უნგრული შპორტ 1-ის პირდაპირ ეთერში გადაიცემა*

» გვერდი 12



## ესპანური ამბები

კორეია ბარსაში ითამაშებს, ჟოზეს პირველი დღე

» გვერდი 6

## სეტი მოიგო, მაგრამ...

შნიდერმა ტატიშვილი სამ პარტიაში დაამარცხა



» გვერდი 12



» გვერდი 4

## გომელაურმა ვიტ ჯორჯია დატოვა

0:6 მართლაც უსიამოვნო ანგარიშია, მაგრამ რეალობიდან გამომდინარე, სირცხვილს ვერ ვგრძნობ



## ბრინჯაოს ხანა ოქროს დიდ პრიზზე

ხუთი ბრინჯაო და არც ერთი ოქრო-ვერცხლი

» გვერდი 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ლიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი

# სიხარული და წუხილი


ჯაბა დვალმა (შუაში) ბისტრიცას ორი გოლი გაუტანა

ქართული გუნდების ევროტურნირებზე ასპარეზობას მართლაც არაერთგვაროვანი შეფასება უნდა მივცეთ; ეგ კი არა, უეფას ოფიციალურმა საიტმა დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმომადგენელთა გამოსვლას ცალკე წერილი მიუძღვნა და ამ შემთხვევაში, ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მასალის სათაური იყო: „საქართველოში ხარობენ და წუხან“! სიხარულთან და ზეიმთან დაკავშირებით, უეფას ოფიციალურ საიტთან „საპრეტენზიო“ რა უნდა გვქონდეს: „ზესტაფონმა“ და „დინამომ“ თავიანთი გამარჯვებებით დიდი ნაბიჯი გადადგეს მომდევნო ეტაპზე გასასვლელად. თანაც, მოდი, გულახდილად ვთქვათ: „ზესტაფონის“ საშინაო მოგებისა კი გვჯეროდა, მაგრამ გია გეგუჩაძის გუნდი თუ ასეთი შთამბეჭდავი სხვაობით გაიმარჯვებდა, აი, ეს კი, მართლაც სასიამოვნო სიურპრიზი იყო! არანაკლებ სასიამოვნო მოულოდნელობა იყო „დინამოს“ სტუმრად გამარჯვებაც, — მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის ბოლოდროინდელ საკადრო თუ კიდევ „სხვა“ პრობლემებს.

აი, წუხილი კი, რაღა თქმა უნდა, ჩვენი ჩემპიონის, „ოლიმპის“ მარცხმა გამოიწვია; გასაგებია, რომ ორბურთიანი სხვაობის აღმოფხვრა ადვილი საქმე არ იქნება, მაგრამ, არც ის გვგონია, რომ ყაზახური „აქტობე“ დაუმარცხებელ გუნდთა კატეგორიას მიეკუთვნებოდეს. მოკლედ, ჩემპიონთა ლიგაში მთლად უიმედო მდგომარეობაში ნამდვილად არ უნდა ვიყოთ. სამაგიეროდ, წუხილის კი არა, სირცხვილის გრძნობა ჰქონდა იმ მცირერიცხოვან ქართველ გულშემატკივარს, ვინც სამი ლარი არ დაინანა და „ვიტ ჯორჯიას“ საქომაგოდ მივიდა. სინამდვილეში კი ვნახეთ... სტუმართა გუნდის ფანების დაახლოებით 100-კაციანი ჯგუფის მართლაც გულიანი ქომაგობა და ზეიმი; თანაც, არა მხოლოდ ფანებს, არამედ, საერთოდ, მთელ ჩეხურ დელეგაციასაც ვერ დაეჯერებინა, რომ ევროტურნირების გასვლით მატჩში „ბანიკი“ მეტოქის კარში ექვს (!) უპასუხო გოლს გაიტანდა...

## იმერული ესკიზები

სლოვაკურ „დუკლასთან“ მატჩი ევროტურნირებზე „ზესტაფონის“ ისტორიაში მეთერთმეტე იყო და მართლაც სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ იმერული კლუბი თავს დადებითი ბალანსით მოიწონებს: 5 მოგება, 3 ფრე და 3 წაგება; ალარაფერს ვამბობთ ბურთების მართლაც შთამბეჭდავ სხვაობაზე: 26-11. „ზესტაფონი“ მეხუთედ ასპარეზობს ევროტურნირებზე და მართლაც სასწაული უნდა მოხდეს, თავის ისტორიაში გუნდმა საუკეთესო შედეგი რომ ვერ უჩვენოს. ყოველ შემთხვევაში, არც გვინდა დავიჯეროთ, რომ **გია გეგუჩაძის** გუნდი სამბურთიანი უპირატესობის შენარჩუნებას ვერ შეძლებს. მოკლედ, ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი სავსებით რეალურია და ვერც სავარაუდო მეტოქეზე (ალბათ, უფრო ლვოვის „კარპატი“ იქნება) ვიტყვით, რომ ამ გუნდთან თამაში არ შეიძლებაო.

...წერილის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, „ზესტაფონის“ გამარჯვებას ველოდითთქო; ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს კი კლუბის ხელმძღვანელობისა თუ სამწვრთნელო შტაბის გონივრული პოლიტიკა გვაძლევდა: „ზესტაფონმა“ ამჯერადაც ნაყოფიერი უცხოური შეკრებაც გაიარა (თან, „ქარხნისა“ თუ „უბნის“ გუნდებს კი არ ეთამაშებოდა, არამედ ცნობილი ევროპული კლუბები ჰყავდა სპარინგ-პარტნიორებად) და სატრანსფერო კამპანიაც ჭკვიანურად და ეფექტიანად ჩაატარა. ერთგული გულშემატკივრების ქმედებაც ადეკვატური გახლავთ: „ზესტაფონის“ სტადიონზე ეროვნული ჩემპიონატის მატჩების დროსაც ანშლაგია და ევროტურნირებზე სხვა სურათი რატომ უნდა ყოფილიყო?

...ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ზესტაფონის“ ფორვარდმა **ჯაბა დვალმა** მეტოქის კარში „დუბლი“ შეასრულა; იგივე განმეორდა სლოვაკურ „ბისტრიცასთან“ შეხვედრაშიც — დვალმა კვლავაც ორი გოლი გაიტანა; დავუმატოთ ამას შარშანდელი მონაგარი — სამი გოლი ჩრდილოირლანდიურ „ლისბერნთან“ და ერთიც შვედურ „ჰელსინგბორგთან“. მოკლედ, ბოლო ორ წელიწადში ჯაბა დვალმა ევროტურნირებზე რვა გოლის გატანა მოახერხა; თუ გავიხსენებთ იმ ფაქტსაც, რომ 2006 წლის ზაფხულში თბილისის „დინამოს“ მაისურით სომხურ „კილიკიას“ ორი გოლი გაუტანა, ფრიად საინტერესო მოვლენასაც „აღმოვაჩენთ“: დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ევროტურნირებზე ყველაზე მეტი, ათი გოლი სწორედ ჯაბა დვალს აქვს გატანილი! წლევანდელ სეზონამდე კი საუკეთესო შედეგი **გიორგი მეგრელაძეს** ჰქონდა: აქედან, 7 გოლი ქუთაისის „ტორპედოში“ ასპარეზობისას გაიტანა, ორიც — „ოლიმპის“ მაისურით. მოკლედ, ევროტურნირებზე ქართული ფეხბურთის საუკეთესო ბომბარდირი ჯაბა დვალია; ოღონდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ საუბარია დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთზე (1993-2010 წლები), თორემ, ევროტურნირებზე ჩვენ ფეხბურთელთაგან ყველაზე მეტი გოლი **რამაზ შენგელიას** აქვს გატანილი და ჯაბა დვალსაც დიდი ძალისხმევა დასჭირდება, ქართული ფეხბურთის ნომერ პირველ ბომბარდირს რომ დაეწიოს...

## ღირსება და ვალდებულება

1998-99 წლების სეზონში, უეფას თასზე ფოთის „კოლხეთი“ შინ 0:7 დამარცხდა „ცრვენა ზვეზდასთან“ — ეს იყო დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით წაგება. თუმცა, ამ ამბიდან ერთი წლის მერე „კოლხეთის“ ეს „მიღწევა“ კიდევ ერთმა ჩვენმა გუნდმა გაიმეორა: თბილისის „ლოკომოტივი“ საკუთარ სტადიონზე ბერძნულ პაოკ-თან შერცხვა (ანგარიში ანალოგიური იყო). 2004 წელს კიდევ ერთი საშინაო ფიასკო გველოდა: ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ვიტ ჯორჯია“ თბილისში პოლონეთის „ვისლასთან“ შერცხვა — 2:8. და აი, კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში: ხუთშაბათს ერთიანად გადახალისებულ-გაახალგაზრდავებულმა „ვიტ ჯორჯიამ“ ჩეხურ „ბანიკთან“ 0:6 წააგო! ნებისმიერი წაგება მტკივნეულია, მაგრამ, ჩვენ, ჟურნალისტებს ხანდახან „გასამართლებელი მიზეზების“ მოძებნა გვიყვარს ხოლმე. აი, როგორც თავის დროზე „ვალიარებდით“, იმავე „ცრვენა ზვეზდას“, პაოკ-ისა და „ვისლას“ სიძლიერესა თუ ამ გუნდებში მოასპარეზე ცალკეული ფეხბურთელების (პერიცა **ოგნიენოვიჩი, ომარ თეთრაძე, მაცეი ჟურავსკი**) საშემსრულებლო ოსტატობას. ახლა კი, აღარ ვიცით, რას ან ვის შევადაროთ ჩეხური „ბარიკი“ თუ ამ გუნდის ფეხბურთელები, — „ვიტ ჯორჯიას“ წინააღმდეგ გეგონებოდათ, მსოფლიოს დონის გუნდი ასპარეზობდაო!

...საქართველოს ორგზის ჩემპიონის, თასისა და სუპერთასის მფლობელის და საერთოდ, ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გუნდის თითოეულ ფეხბურთელსა და სამწვრთნელო შტაბის წარმომადგენელს... „ვიტ ჯორჯიას“ სლოგანი გვინდა „შევახსენოთ“; „ღირსება გვავალდებულებს“, — აი, ეს არის ამ კლუბის სლოგანი, ეს სიტყვებია გატანილი კლუბის ლოგოზეც და როგორც „ვიტ ჯორჯიას“ ოფიციალურ საიტზეა მითითებული, სწორედ ამ ორი სიტყვის („ღირსება გვავალდებულებს“) მიღმა ბევრი რამ დევს, რაც განაპირობებს კიდეც „ვიტ ჯორჯიას“ ფილოსოფიას. ჰო, ყველაფერს, შესაძლოა, გაგებით მოვეკიდოთ: წამყვანი ფეხბურთელების გუნდიდან წასვლას თუ მათ ნაცვლად ახალგაზრდა მოთამაშეების მოსვლას, ანუ, გამოუცდელობის ფაქტორის გათვალისწინებას ვგულისხმობთ; მაგრამ, როცა თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ გუნდი მეორე ტაიმში „დადგება“ და ელემენტარულ მონდომებასაც ვერ დაინახავ, აქ უკვე ძნელია ღირსებასა თუ რაიმე ვალდებულებაზე ლაპარაკი...

**გია ტუხაშვილი**

*P.S. ევროტურნირების გასვლით შეხვედრებში ქართული გუნდების განაცხადში სავალდებულო თვრამეტის ნაცვლად 16 ან 17 ფეხბურთელი რომ იქნება, თვითონ ამ კლუბების პრესტიჟის შელახვაც არის და საერთოდ, ქართული ფეხბურთისაც!..*




სამზადისი

# ტორპედომ ზესტაფონი ნახა და ჩიხურა დაამარცხა

ქუთაისის „ტორპედო“ უმაღლესი ლიგისთვის მზადებას ქუთაისში განაგრძობს. ქუთათურები თბილისში სეზონისწინა ორკვირიან შეკრებას გეგმავდნენ, მაგრამ გადაწყდა, რომ ახალი სეზონისთვის მზადებას რიონისპირელები მშობლიურ ქალაქში გააგრძელებენ. ხუთშაბათს ქუთაისელები მთელი გუნდით „ზესტაფონი“-„დუკლას“ ევროპაექრობას დაესწრნენ. თუ რაიმე არ შეიცვალა, „ტორპედო“ გახსნის მატჩს ზესტაფონში ჩაატარებს და ქუთათურებმა მომავალი მეტოქე უშუალოდ იმ თამაშში იხილეს, სადაც „ზესტაფონი“ ბოლომდე დაიხარჯა და მეტოქეებისთვის რაიმეს დამალვა არ უცდია. ზემოიმერული კლუბის სიძლიერეში დარწმუნებულმა ტორპედოელებმა გუშინ საკუთარ მოედანზე საჩხერის „ჩიხურასთან“ დაგეგმილი ამხანაგური მატჩი გამართეს. **რამაზ მუმლაძეს** გუნდის ძირითადი ბირთვი უკვე ჩამოყალიბებული ჰყავს და საჩხერელებთანაც მათ დაეყრდნო. ტორპედოელთა რიგებში მხოლოდ ორი ახალი ფეხბურთელი **ლორთქიფანიძე** და **სამადაშვილი** გამოჩნდნენ. ისინი „ტორპედოში“ სინჯებზე იმყოფებიან და მეორე ტაიმში მიეცათ თავის გამოჩენის შანსი. სხვა მხრივ, მუმლაძე უკვე ნაცად შემადგენლობას დაეყრდნო და პირველი ტაიმის შემდეგ ტრადიციულად თითქმის მთელი გუნდი გამოცვალა. აქვე გაგაცნობთ ქუთაისელთა შემადგენლობას: *მიგინეიშვილი (ქვილითაია), ფოფხაძე (კვერნაძე), მაჭავარიანი (ბიბილაშვილი), თოდუა (ფარულავა), გურული, თარხნიშვილი (გიგაური), ჩიკვილაძე (ლორთქიფანიძე, კუხიანიძე) დათუნაიშვილი (გ.ჩხეტიანი), კვასხვაძე (კირკიტაძე), ხაჭიპერაძე(სამადაშვილი), საბანაძე (ცნობილაძე).*

პირველ ტაიმში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. **კვასხვაძის** აქტიურ თამაშს საჩხერელთა კართან სახიფათო ჯარიმა მოჰყვა, რომელიც **თენგიზ ჩიკვილაძემ** საჯარიმოს მისადგომებიდან დიდოსტატურად შეასრულა და თანაგუნდელები დააწინაურა 1:0. გოლის შემდეგ „ტორპედოს“ უპირატესობა ხელიდან არ გაუშვია. ერთმანეთზე უკეთესი მომენტები ჰქონდათ **ხაჭიპერაძეს, საბანაძეს** და **გურულს**, მაგრამ შესვენებამდე პირველლიგელთა დამწუხრება ველარ მოახერხეს. მეორე ტაიმში გუნდებმა შეცვლებს მიმართეს. თამაში დუნე და მოსაწყენი გახდა, თუმცა, ტორპედოელებმა მატჩის მიწურულს მეორე გოლის გატანა მაინც მოახერხეს. სამადაშვილი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, კარში დარტყმა ვერ მოახერხა, მაგრამ ბურთი **ცნობილაძეს** დაუგორა, რომელმაც საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 2:0.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ქართული ფეხბურთი

ევროტურნირები

წილისყრა

# კარპატისთან და შტურმთან ახლოს ვართ

## გურული ზესტაფონის წინააღმდეგ?

გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბბინაში ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპების წილისყრა გაიმართა. შესაბამისად, ევროტურნირებზე მეტ-ნაკლები შანსის მქონე სამი ქართული გუნდის პოტენციური მეტოქეების ვინაობა უკვე გარკვეულია.

თუ ჩვენმა ოქროსმედალოსანმა, რუსთავის „ოლიმპმა" სტუმრად 0:2 მარცხის შემდეგ, შეძლო და საპასუხო შეხვედრაში ყაზახური „აქტობეს" ბარიერი დაძლია, მაშინ მას ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე, **ზურაბ მენთეშაშვილის** ყოფილ გუნდთან, თელ ავივის „ჰაპოელთან" მოუწევს დაპირისპირება.

რაც შეეხება ევროპის ლიგას. ჩეხებისგან თბილისში დაწიოკებული „ვიტ ჯორჯია" ევროპას დაემშვიდობა და ამ ტურნირზე ჩვენს ორ გუნდს აქვს შანსები. იმედია, „დუკლას" 3:0 მძლეველი „ზესტაფონი", სლოვაკებს უკან მოიტოვებს. ასეთ შემთხვევაში, მეტოქედ **სანდრო გურულის** ლვოვის „კარპატი" ეყოლება, რომელმაც „რეიკიავიკი" ისლანდიაში 3:0 დაამარცხა და შინ სასურველი შედეგის მიღწევა არ გაუჭირდება.

შვედურ „გეფლესთან" სტუმრად 2:1 მოგების შედეგად, თბილისის „დინამოს" კარგი შანსი აქვს, სკანდინაველები გზიდან ჩამოიცილოს. იმედია, **კახა კაჭარავას** გუნდი ამას შეძლებს და მერე უკვე **ილია კანდელაკის** ყოფილ გუნდთან, ავსტრიულ გრაცის „შტურმთან" მოუწევს დაპირისპირება.

ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე, გუნდები ასე დაწყვილდნენ:

### ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. 27/28 ივლისი-3/4 აგვისტო

გუნდები, რომლებიც ჩემპიონები არ გამხდარან

1. აიაქსი (ჰოლანდია)-პაოკ (საბერძნეთი)
2. დინამო (უკრაინა)-გენტი (ბელგია)
3. იანგ ბოიზი (შვეიცარია)-ფენერბაჰჩე (თურქეთი)
4. ბრაგა (პორტუგალია)-სელტიკი (შოტლანდია)
5. უნირეა (რუმინეთი)-ზენიტი (რუსეთი)

### ჩემპიონები

1. მეტალურგსი (ლატვია)/სპარტა (ჩეხეთი)-ინტერი(აზერბაიჯანი)/ლეხი (პოლონეთი)
2. აქტობე (ყაზახეთი)/ოლიმპი (საქართველო)-ჰაპოელი (ისრაელი)/ჟელეზნიჩარი (ბოსნია)
3. შერიფი (მოლდოვა)/დინამო (ალბანეთი)-დინამო (ხორვატია)/კოპერი (სლოვენია)
4. ლიტექსი (ბულგარეთი)/რუდარი (ჩერნოგორია)-ბირკირკარა (მალტა)/ჟილინა (სლოვაკეთი)
5. ლევადია (ესტონეთი)/დებრეცენი (უნგრეთი)-ბაზელი (შვეიცარია)
6. აიკ-ი (შვედეთი)/ჟენესი (ლუქსემბურგი)-ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)/რუსენბორგი (ნორვეგია)
7. პარტიზანი (სერბეთი)/პიუნიკი (სომხეთი)-ეკრანასი (ლიტვა)/ჰიკ-ი (შვედეთი)
8. ბატე (ბელარუსი)/ჰაფნარი (ისლანდია)-კოპენჰაგენი (დანია)
9. ბოჰემიანსი (ირლანდია)/ტნს (უელსი)-ანდერლეხტი (ბელგია)
10. ომონია (კვიპროსი)/რენოვა (მაკედონია)-ზალცბურგი (ავსტრია)/ტორსჰავნი (ფარერები)

როგორც ხედავთ, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის ახალი ფორმატი საინტერესოა და იმით არის გამორჩეული, რომ მომდევნო ეტაპზე გასვლისთვის არაგრანდი კლუბების შანსი იზრდება. თუ როგორ, ამასაც ახლავე აგიხსნით. ჩემპიონი გუნდების 10 წყვილში 10 გამარჯვებული, პლე ოფში ისევ ერთმანეთს ეთამაშება და გამარჯვებული 5 გუნდი ჯგუფურ ეტაპზეა. არაჩემპიონთა 5 წყვილიდან ამდენივე გამარჯვებულს რეიტინგში მოწინავე საფეხურებზე მყოფი ფრანგული „ოსერის", ესპანური „სევილიას", ინგლისური „ტოტენჰემის", იტალიური „სამპდორიასა" და გერმანული „ვერდერის" ხუთეული დაემატება. ჯამში ეს 10 გუნდი, ჯგუფში მოსახვედრი 5 საგზურისთვის პლეი ოფში იბრძოლებს. შესაბამისად, ჯგუფურ ეტაპზე ჩემპიონებიდან და არაჩემპიონებიდანგასულ ამ 10 გუნდს რეიტინგში მოწინავე პოზიციებზე მყოფი 22 გუნდი (მათ შორის მადრიდის „რეალი", მილანის „ინტერი"... და დებიუტანტი თურქული „ბურსასპორი") დაემატება. პლეიოფის მატჩები 17-18 და 24-25 აგვისტოს ჩატარდება, მანამდე კი ამ რაუნდის წილისყრა 6 აგვისტოს გაიმართება.

ახლა ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ვთქვათ:

1. ოდენსე (დანია)-ზრინსკი (ბოსნია)/ტრე პენე (სან მარინო)
2. სტაბეკი (ნორვეგია)/დნეპრი (ბელარუსი)-ვიტ ჯორჯია (საქართველო)/ბანიკი (ჩეხეთი)
3. ლივერპული (ინგლისი)-რაბოტნიჩკი (მაკედონია)/მიკა (სომხეთი)
4. მარიტიმუ (პორტუგალია)/ფინგალი (ირლანდია)-ჰონკა (ფინეთი)/ბანგორი (უელსი)
5. ბეროე (ბულგარეთი)-სუდუვა (ლიტვა)/რაპიდი (ავსტრია)
6. ტიმიშოარა (რუმინეთი)-მიუპა (ფინეთი)/სენტ ჯულია (ანდორა)
7. ცსკა (ბულგარეთი)-კლიფტონვილი (ჩრდ. ირლანდია)/ციბალია (ხორვატია)
8. რეიკიავიკი (ისლანდია)/კარპატი (უკრაინა)-ზესტაფონი (საქართველო)/დუკლა (სლოვაკეთი)
9. შემროკ როვერსი (ირლანდია)/ბნეი იეჰუდა (ისრაელი)-იუვენტუსი (იტალია)
10. ელფსბორგი (შვედეთი) სტალი (მოლდოვა)-ვენტსპილსი (ლატვია)/ტეტექსი (მაკედონია)
11. ნორდსიელანდი (დანია)-სპორტინგი (პორტუგალია)
12. ვიდეოტონი (უნგრეთი)/მარიბორი (სლოვენია)-ჰიბერნიანი (შოტლანდია)
13. ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)-სლოვანი (სლოვაკეთი)
14. ტურკუ (ფინეთი)-გენკი (ბელგია)
15. ვალეტა (მალტა)/რუხი (პოლონეთი)-აუსტრია (ავსტრია)/ შიროკი ბრეგი (ბოსნია)
16. ოლზენი (ჩეხეთი)-ბეშიქთაში (თურქეთი)/ვიკინგური (ფარერები)
17. ბესა (ალბანეთი)/ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)-მაქაბი (თ-ა, ისრაელი)/მოგრენი (ჩერნოგორია)
18. შიაულაი (ლიტვა)/ვისლა (პოლონეთი)-ყარაბახი (აზერბაიჯანი)/პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია)
19. შტურმი (ავსტრია)-გეფლე (შვედეთი)/დინამო (საქართველო)
20. ანორთოსისი (კვიპროსი)/შიბენიკი (ხორვატია)-სერკლი (ბელგია)/ტურკუ (ფინეთი)
21. ბაქი (აზერბაიჯანი)/ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია)-ბრონდბიუ (დანია)/ვადუცი (ლიხტენშტაინი)
22. მოლდე (ნორვეგია)/ელგავა (ლატვია)-შტუტგარტი (გერმანია)
23. მაქაბი (ჰაიფა, ისრაელი)-დინამო (ბელარუსი)/კალევი (ესტონეთი)
24. უტრეხტი (ჰოლანდია)/ტირანა (ალბანეთი)-ლუცერნი (შვეიცარია)
25. სიბირი (რუსეთი)-აპოლონი (კვიპროსი)
26. გორიცა (სლოვენია)/რანდერსი (დანია)-ლოზანა (სვეიცარია)/ბორაცი (ბოსნია)
27. ოლიმპია (მოლდოვა)/დინამო (რუმინეთი)-ჰაიდუკ (ხორვატია)
28. ალკმაარი (ჰოლანდია)-გეტებორგი (შვედეთი)
29. დიფერდანჟი (ლუქსემბურგი)/სპარტაკი (სერბეთი)-დნიპრო (უკრაინა)
30. ატირაუ (ყაზახეთი)/დიორ ეტო (უნგრეთი)-მონპელიე (საფრანგეთი)
31. აალესუნდი (ნორვეგია)-მოზერველი (შოტლანდია)/ბრეიდაბლიკი (ისლანდია)
32. კალმარი (შვედეთი)/დაჩია (მოლდოვა)-ლევსკი (ბულგარეთი)/დანდალკი (ირლანდია)
33. გალათასარაი (თურქეთი)- ოფკ (სერბეთი)/ტორპედო (ბელარუსი)
34. იაგელონია (პოლონეთი)-არისი (საბერძნეთი)
35. ტაურასი (ლიტვა)/აპოელ (კვიპროსი)-იაბლონეცი (ჩეხეთი)

ევროპის ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო რაუნდიდან გასულ 35 გამარჯვებულს პლეი ოფში პირდაპირ დაშვებული 24 გუნდი და ჩემპიონთა ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოთიშული 15 გუნდი დაემატება. პლეი ოფის წილისყრაც 6 აგვისტოს გაიმართება.



სანდრო გურულმა შეიძლება ზესტაფონის წინააღმდეგ ითამაშოს

ლეგიონერი



შოთა არველაძე

# მოგებით დაიწყეს

უკვე ორ კვირაზე მეტია, რაც თურქული „ქაისერისპორის" ახალი თავკაცი **შოთა არველაძე** გუნდის მზადებას შეუდგა. შეგახსენებთ, რომ ქაისერელთა გუნდში კიდევ ერთი ჩვენებურია, ეროვნული ნაკრების მცველი **ალექსანდრე ამისულაშვილი**. შოთამ მზადების პირველი ეტაპი ფიტნესს, ტრენაჟორებს და საერთოდ ფიზიკური კონდიციების ამაღლებას დაუთმო. ბოლოს კი ამხანაგური მატჩიც გამართა. საკონტროლო შეხვედრაში „ქაისერისფორი" ქვედა ლიგაში მოასპარეზე „ერჩიესფორს" გაეჯიბრა და 3:2 მოიგო. ეს მატჩი ქაისერელთა გუნდის თავკაცის პოსტზე შოთასთვის არაოფიციალური დებიუტი იყო. იგივე შეიძლება ითქვას, გუნდის ახალწვეულ ალექსანდრე ამისულაშვილზეც. ნაკრების მცველი სასტარტო შემადგენლობაში იყო და დაცვის ცენტრს ამაგრებდა.

*„დიდი სიცხის მიუხედავად, ჩემმა გუნდმა კარგად ითამაშა. შედეგით კმაყოფილი ვარ და პირველი მატჩისთვის თამაშითაც არ ვარ უკმაყოფილო. სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. ავსტრიული შეკრება მაქსიმალურად უნდა გამო-*



ალექსანდრე ამისულაშვილი

*ვიყენოთ. მჯერა, ჩემი გუნდი აგვისტოში უფრო უკეთ ითამაშებს"*, - აღნიშნა მატჩის შემდეგ თურქულ პრესასთან საუბარში შოთა არველაძემ. ვებგვერდი haberler.com-ი აღნიშნავს, რომ შოთამ ქაისერელთა გუნდის თავკაცობა იღბლიანად დაიწყო და სპეციალისტები თურქულ სუპერლიგაში ჩვენებურის გუნდს წარმატებებს უწინასწარმეტყველებენ.

შოთა არველაძის გუნდს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა შეემატა - არგენტინული წარმოშობის, 28 წლის პარაგვაელი ნახევარმცველი **ჯონათან სანტანა**. ცნობისათვის, სანტანას პარაგავის ნაკრებში 25 მატჩი აქვს ჩატარებული და ახლახან დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშა. ეს ნახევარმცველი ბოლოს „რივერ პლეიტში", „ვოლფსბურგსა" და „სან ლორენცოში" გამოდიოდა. სანტანა „ქაისერისფორს" ავსტრიულ შეკრებაზე შეუერთდება.

დაბოლოს, შოთამ გუნდის მზადების პირველი ეტაპი დაასრულა და გუშინ „ქაისერისფორი" მოსამზადებელი შეკრების გასავლელად ავსტრიაში ჩაფრინდა. შოთას გუნდი ავსტრიის ქალაქ კაპფენგერში, სწორედ იქ დაბინავდა, სადაც მუნდიალამდე კამერუნის ნაკრები ემზადებოდა. არველაძის გუნდი ავსტრიაში 31 ივლისამდე დარჩება, მერე კი თურქეთში გააგრძელებს მზადებას.

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ

# რატომ დატოვა გელა გომელაურმა ვიტ ჯორჯია

## 0:6 მართლაც უსიამოვნო ანგარიშია, მაგრამ რეალობიდან გამომდინარე, სირცხვილს ვერ ვგრძნობ

**"ბანიკთან" განცდილი გამანადგურებელი მარცხის შემდეგ, „ვიტ ჯორჯიადან" გელა გომელაური წავიდა – „ვიტ ჯორჯიას" ოფიციალურ ვებგვერდს თუ ვერწმუნებით, საკუთარი გადაწყვეტილებით.**

*„ვიტ ჯორჯიას" მთავარ მწვრთნელად კვლავ მერაბ კოჭლაშვილი განაგრძობს მუშაობას"*, - ვკითხულობთ იმავე ინტერნეტ-საიტზე. დიახ, კლუბს რომ დავუჯეროთ, „ვიტ ჯორჯია" 0:6-სთვის არა მთავარ მწვრთნელს, არამედ მის ასისტენტს ათავისუფლებს...

თუმცა ყველასთვის ცნობილია, რომ გუნდის „დე-ფაქტო" მთავარი მწვრთნელი გომელაური იყო, რის შესახებ თავადაც უთქვამს. ეს ისედაც ჩანდა ვეტერინართა ვარჯიშებზეც და მატჩებზეც.

გომელაურის წასვლის შესახებ ინფორმაცია გუშინ დილიდანვე გავრცელდა, მოგვიანებით კი ინტერვიუზე დაგვთანხმდა და თავადაც დაადასტურა, რომ გადადგომა თვითონ გადაწყვიტა, ოღონდ ის აღარ უთქვამს – რატომ (მისი თქმით, წასვლა "ბანიკამდე" განიზრახა). ვეტერინართა ან უკვე ყოფილმა თავკაცმა 0:6-ის მიზეზებზეც ისაუბრა, თუმცა სხვა საქმეა, გაიზიარებს თუ არა გულშემატკივარი მის არგუმენტებს.

მოკლედ, მკითხველის სამსჯავროზე გელა გომელაურთან ინტერვიუა...

თუმცა, სანამ ინტერვიუზე გადავიდოდეთ, მოკლედ შეგახსენებთ, რომ "ვიტ ჯორჯიაში" იგი თავდაპირველად, დუბლების მწვრთნელად მუშაობდა, მთავარ გუნდში კი გასული სეზონის მსვლელობისას გადაიყვანეს და მისი ხელმძღვანელობით "ვიტ ჯორჯიამ" საქართველოს თასი მოიგო.



**- მიგაჩნიათ თუ არა, რომ ასეთი ანგარიშით დამარცხება სირცხვილია?**

- ნება მომეცით, პრესისა და გულშემატკივრების პოზიცია არ გავიზიარო. რაღა თქმა უნდა, 0:6 არავისთვისაა სასიამოვნო, მაგრამ ყველაფერს თავისი ახსნა აქვს. ბუნებრივია, მარცხზე პასუხისმგებლობას არ გავურბივარ, მაგრამ არალოგიკური ნამდვილად არაფერი მომხდარა. თავს უხერხულად ვგრძნობ, მაგრამ ილუზიონისტი არ ვარ, რომ ერთ თვეში სასწაული ჩავიდინო.

ეს იგივეა, ფრონტის წინა ხაზზე ჯარისკაცი დაშლილი იარაღით რომ გაუშვა და თან უბრძანო, იარაღიც ააწყვე, გაისროლე კიდეც და თავიც დაიცავიო. ამ ყველაფერს დრო სჭირდება, რაც ჩვენ საკმარისი არ გვქონდა. დამერწმუნეთ, ერთ წელიწადში "ვიტ ჯორჯიას" ეს შემადგენლობა ძალიან ბრძოლისუნარიანი იქნება.

**- კი მაგრამ, ისიც ხომ შეიძლება, მოუმზადებელი ჯარისკაცი საერთოდ არ გაუშვა ომში?! თქვენც ამდგარიყავით და ერთი წლის შემდეგ გეთამაშათ ევროპის ლიგაზე. ნუთუ აუცილებელი იყო ასეთი გუნდით ევროტურნირზე თამაში?**

- დიახ, იმიტომ რომ ჩვენმა ახალგაზრდებმა მძიმე დარტყმის გარდა, სასიცოცხლოდ აუცილებელი გამოცდილებაც მიიღეს, რომელიც ახლო მომავალში აუცილებლად გამოადგებათ. ჭაბუკ მოთამაშეს ოდესმე ხომ უნდა ჰქონდეს დებიუტი ევროთასებზე?!

**- გასაგებია, რომ უფრო ძლიერ გუნდს შეხვდით, მაგრამ ნუთუ არ შეიძლებოდა, ღირსეულად მაინც წაგვეგოთ?**

- ეს ნამდვილად შეგვეძლო, მაგრამ თავის მართლებაში ნუ ჩამომართმევთ და გარკვეულმა გარემოებებმა მაინც შეგვიშალა ხელი. პირველ ტაიმში ბიჭებმა თავდადებით იბრძოლეს, მაგრამ კვარაცხელიაზე წესების დარღვევისთვის მსაჯმა პენალტი არ დანიშნა, ამას გარდა, იმავე კვარაცხელიამ რეალური საგოლე მომენტი გაუშვა ხელიდან, მეორე გოლმა კი გუნდი ბოლომდე გატეხა.

შეგვეძლო, თავიდანვე დაცვითი ტაქტიკა აგვერჩია და მინიმალური ანგარიშით დამარცხებაზე მაინც გვეზრუნა, მაგრამ მერწმუნეთ, ამ შემთხვევაში მინიმუმ, 0:10-ს წავაგებდით.

როგორც იცით, წინა სეზონის დასრულებისთანავე "ვიტ ჯორჯია" ექვსმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, ამას ხურცილავას ტრავმაც დაემატა და ძირითად შემადგენლობაში არაერთი გამოუცდელი მოთამაშე მოხვდა – მიქაბერიძეს, ადამაძეს, მაისაშვილსა და გურეშიძეს გასულ სეზონში ძირითადში სულ რამდენიმე მატჩი აქვთ ჩატარებული, ამას დაუმატეთ ბეჭვაია, კლიმიაშვილი და კვარაცხელია, რომლებიც სულ ახლახანს გამოჯანმრთელდნენ და ოპტიმალურ ფორმაში არ არიან. პრობლემები განსაკუთრებით დაცვაში იგრძნობოდა და ეს არცაა გასაკვირი, ერთმანეთთან შესათამაშებლად ყველაზე ცოტა დრო ჩვენს მცველებს ჰქონდათ. განსაკუთრებით ახალგაზრდა ჭანკვეტაძე გააკრიტიკეს, რომელმაც ნამდვილად ბევრი შეცდომა დაუშვა, მაგრამ მერწმუნეთ, მას დიდი მომავალი აქვს და მალე ამაში ყველა დარწმუნდება.

მოკლედ, 0:6 მართლაც უსიამოვნო ანგარიშია, მაგრამ რეალობიდან გამომდინარე, სირცხვილს ვერ ვგრძნობ. ვამაყობ იმით, რასაც "ვიტ ჯორჯიაში" მივაღწიე. ვგულისხმობ გასულ სეზონს, როცა გუნდი ჩემი ხელმძღვანელობით უფრო კომბინაციურად ათამაშდა და საქართველოს თასიც დამსახურებულად მოიპოვა. ის შემადგენლობა რომ შეგვენარჩუნებინა, "ბანიკის" დამარცხების შესანიშნავი შანსიც გვექნებოდა. თუმცა რას ვიზამთ, რაც მოხდა, მოხდა...

**- "ვიტ ჯორჯიადან" საკუთარი ნებით წახვედით თუ კლუბის პრეზიდენტ რუხაძის გადაწყვეტილებით?**

- ეს მთლიანად ჩემი სურვილი იყო.

**- გუნდიდან წასვლა "ბანიკთან" მატჩის შემდეგ გადაწყვიტეთ თუ მანამდე?**

- ამის თაობაზე პრეზიდენტს ცოტა ხნის წინ, ევროტურნირების დაწყებამდე ვუთხარი, მაგრამ მაშინ შევთანხმდით, რომ ამ თემას ევროთასებზე ასპარეზობის შემდეგ მივუბრუნდებით. "ბანიკთან" შეხვედრის შემდეგ კი გულახდილად ვისაუბრეთ და ერთმანეთს თბილად დავშორდით. "ვიტ ჯორჯიას" გულშემატკივრად აუცილებლად დავრჩები.

**- ადრე არაერთხელ გითქვამთ, რომ "ვიტ ჯორჯიაში" მუშაობა მოგწონდათ და შორს მიმავალი გეგმებიც გქონდათ. აქედან გამომდინარე, იბადება კითხვა: მაშ რატომ მოისურვეთ წასვლა?**

- მაპატიეთ, მაგრამ ამის კონკრეტულ მიზეზებზე საუბრისგან თავს შევიკავებ.

**- მხოლოდ მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან მიდიხართ თუ "ვიტ ჯორჯიას" საერთოდ ტოვებთ?**

- "ვიტ ჯორჯიასთან" უკვე აღარაფერი მაკავშირებს.

**- სხვა კლუბებიდან რაიმე კონკრეტული წინადადება ხომ არ გაქვთ?**

- ჯერჯერობით არა. ჩემი მომავალი საქმიანობის შესახებ კი მაშინვე გეტყვით, როცა ახალ ადგილზე მუშაობას შევუდგები. ამ ეტაპზე ბავშვთა ფეხბურთში დაბრუნებას არ ვაპირებ, ჩემი სურვილი უმაღლეს ლიგაში მუშაობაა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საკონტროლო მატჩი



გიორგი მეგრელაძე

# ნულები ზუგდიდში

ზუგდიდის "ბაიას" ბაზაზე გუშინ მასპინძელთა და სამტრედიელთა შორის ტესტ-მატჩი გაიმართა და ფრედ, 0:0 დასრულდა. ანგარიშის მიუხედავად, შეხვედრა უინტერესო არ ყოფილა, საგოლე შანსები "ბაიასაც" ჰქონდა და "სამტრედიასაც".

ბაია: **სომხიშვილი, კვეკვესკირი, კვესეიშვილი, რ. ონიანი, აკობია, წურწუმია (კუკავა), შ. ლომია (რიგვავა), სიხარულია (მალიჩავა) კ. ჩხეტიანი (ი. კანდელაკი), გუგუჩია (ვართაგავა), გ. ნოდ. ჭელიძე (მეგრელაძე)**

სამტრედია: **ძაგანია, სოსელია, თ. შალიკაშვილი, ხუმარაშვილი, ხარაბაძე, ჩომახიძე, ბაკურაძე, ი. შალიკაშვილი, კირკიტაძე, პავლიაშვილი, კვერენჩხილაძე**

*შეცვლაზე შევიდნენ: **შენგელია, კუპრეიშვილი, კირთაძე, ფურთუხია, მახარაძე, ბაკარანძე, ჭკადუა.***

"ბაიას" შემადგენლობაში მიკროტრავმების გამო არ უთამაშიათ **ირაკლი ეხვაიასა** და გუნდის ახალწვეულებს, **დავით ჭიჭველიშვილსა** და **ალექსანდრე გოგობერიშვილს**. ზუგდიდური კლუბი დატოვეს **გურამ სამადაშვილმა, გიორგი ქირიამ, ზაზა სახოკიამ და ამირან ყველაშვილმა.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები — გერმანია

# იაშვილის ჰეთ თრიკი და კობის მოგება

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე ქართველების გუნდებმა მორიგი ამხანაგური მატჩები გამართეს და კვლავ მოიგეს. **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუემ" ქვედალიგოსანი „დურლახი" 5:0 გაანადგურა. როგორც ირკვევა, ჩვენებურის გუნდმა სარეზერვო შემადგენლობით დაიწყო თამაში და სასტარტო ფეხბურთელები შესვენების შემდეგ შეუშვა მოედანზე. შესაბამისად, ალესანდრე იაშვილმა მხოლოდ მეორე ტაიმი ითამაშა, თუმცა კარლსრუელთა ქართველი მეგოლისთვის ეს დროც საკმარისი აღმოჩნდა. იაშვილმა ამ შეხვედრაში ჰეთ თრიკი შეასრულა და გუნდის წარმატება მნიშვნელოვანწილად განაპირობა.

**ლევან კობიაშვილის** „ჰერტა" ქვედა ლიგის წარმომადგენელ „კოტერნს" გაეჯიბრა" და 2:0 მოიგო. ბერლინელთა გუნდის ქართველი კაპიტანი სასტარტო შემადგენლობაში იყო და საწყისი 45 წუთი დაყო მოედანზე. „ჰერტამ" თითო ტაიმში თითო გოლი გაიტანა.

**დავით ცაბაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა

საპასუხო მატჩის წინ

# უეფამ გადაწყვიტა: ოლიმპი–აქტობე რუსთავში

## ქართველები ყაზახეთში გარეთ გასვლას ერიდებოდნენ

### უეფამ სტადიონი მიიღო

რუსთავის "ოლიმპი" ყაზახეთის ჩემპიონ "აქტობეს" განმეორებითი შეხვედრის ზუსტი დღე, ადგილი და დრო გაურკვეველი გახლდათ. ყველაფერი უეფას კომისიის დასკვნაზე იყო დამოკიდებული – მიანიჭებდა თუ არა ევროთასების მატჩის მასპინძლობის უფლებას. ერთი კვირის წინ, ეს საკითხი არ იყო გადაწყვეტილი და უარის შემთხვევაში, რუსთაველთა თავკაცებმა სათადარიგო ვარიანტად ეროვნული სტადიონი და 20 ივლისი შეიგულეს – "დინამო" შვედურ "გეფლეს" 22 ივლისს უმასპინძლებს, ხოლო მოედნის საფარის გაფრთხილების მიზნით, "ოლიმპის" მატჩი ორი დღით ადრე იგეგმებოდა.

საბოლოოდ ყველაფერი რუსთაველების სასარგებლოდ გადაწყდა, უეფამ "ოლიმპს" "ფოლადზე" თამაშის უფლება დართო და ეროვნულზე სტუმრობა და დღეების გადატანა საჭირო აღარ გახდა.

"ოლიმპის" პრესატაშე **მიხეილ ჯორბენაძის** თქმით, "ოლიმპი" "აქტობეს" "ფოლადის" სტადიონზე 21 ივლისს 18:00 საათზე უმასპინძლებს. მატჩის წინა დღეს, 20 ივლისს 17:40 წუთზე "აქტობეს" მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ მუხანოვი** პრესკონფერენციას გამართავს, 18:00 საათზე კი ყაზახების ვარჯიში დაიგეგმა. მუხანოვის ქართველი კოლეგა **თემურ მახარაძე** კი პრესკონფერენციას მოგვიანებით გამართავს, თუმცა, ჯერ უცნობია, "ოლიმპი" რომელ საათზე ივარჯიშებს.

ამავე დღეს მასმედიის წარმომადგენლებს აკრედიტაციებს დაურიგებენ. ყაზახეთიდან ჩამოსულმა რუსთაველებმა გუშინ დაისვენეს, ვარჯიშს კი დღეიდან "ფოლადზე" განაახლებენ. "ოლიმპის" პრესატაშემ ყაზახური ამბები მოგვიყვა.

### მსაჯმა პენალტი მოიგონა

*"ყაზახების თავდამსხმელმა ივან პერიჩმა კუნთი დაიზიანა. თუმცა, როგორც ვიცი, სერიოზული არაფერია და განმეორებითი შეხვედრისთვის მზად იქნება. "აქტობეს" უფრო სერიოზული ფეხბურთელები ჰყავს, იგივე კონსტანტინე გოლოვსკოი და ოთარ მარცვალაძის ყოფილი თანაგუნდელი მარატ ხაირულინი. გვაჯობეს და მოგვიგეს, თუმცა, ქართველმა გულშემატკივარმა საკუთარი თვალით უნდა იხილოს მატჩის ჩანაწერი, რა მოგვივიდა ყაზახეთში და იყო თუ არა მიკერძოებული მსაჯობა. მატჩის ჩანაწერი ტელევიზიებს უკვე გადავეცით და თუკი სურვილი ექნებათ, მაყურებელი ყველაფერს საკუთარი თვალით იხილავს. მაგალითად, რა წარმოუდგენელი თერთმეტმეტრიანი დაგვინიშნეს.*

*ვაღიარებ, ყაზახებმა პირველ ტაიმში გვაჯობეს, უტევდნენ, აქტიურები იყვნენ და თავს ვიცავდით. ამის მიუხედავად, რომ არა მოგონილი პენალტი, პირველი ტაიმი ფრედ დასრულდებოდა. გამეცინა, როდესაც ყაზახი ჟურნალისტის მიმოხილვაში წავიკითხე, რატომ დანიშნეს პენალტი - თითქოს, თემურ ლონლაძემ მათი ფეხბურთელი მოურიდებლად მოცელა. ჩვეულებრივი ორთაბრძოლა იყო, მაგრამ მასპინძელმა ნაქცევა ლამაზად გააფორმა.*

*სხვათა შორის, მეორე ტაიმში ჩვენები ბევრად უკეთ გამოიყურებოდნენ და მატჩი ორმხრივ შეტევებში მიმდინარეობდა. ორივე გუნდს ასპროცენტიანი საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ ვიხეირეთ. განსაკუთრებით გულდასაწყვეტი მეორე გოლი აღმოჩნდა, მოდებაძემ და ლონლაძემ მშვენიერი მომენტებით ვერ ისარგებლეს და დავისაჯეთ"*, - ამბობს ჯორბენაძე.



ყაზახებმა თემურ ლონლაძე გამოარჩიეს

### რუსული დახვედრა ყაზახეთში

როგორც ცნობილია, აქტობეში, უმთავრესად, რუსები ცხოვრობენ, ყაზახებს იშვიათად თუ წააწყდებით. აგვისტოს ომის შემდეგ, რუსები ქართველებს ყველგან აგრესიულად ხვდებიან. როგორც გავარკვიეთ, "ოლიმპის" სტუმრობის დროსაც იგივე მოხდა. რუსთაველთა პრესატაშის თქმით, უსაფრთხოების მიზნით, სტუმრებს პოლიცია მიამაგრეს.

*"რუსულ ქალაქში ვთამაშობდით და წინასწარ გაგვაფრთხილეს: მაქსიმალურად ფრთხილად ვყოფილიყავით და პოლიცია მოგვამაგრეს. ვერ ვიტყვი, რომ ეს იყო მასობრივი აგრესია, მაგრამ იყო შემთხვევა, როდესაც ქალაქში ჩვენებს ქართველობის გამო შეურაცხყოფა მიაყენეს, უცენზურო ჟესტებითა და გინებით, ჩვენი მწყობრიდან გამოყვანა სურდათ. სტადიონზე ეს აღარ გაგვკვირვებია, ტრიბუნიდან გინება და შეურაცხყოფა ჩვეულებრივი მოვლენაა. ყაზახები კეთილად იყვნენ განწყობილნი ჩვენს მიმართ და მხოლოდ ფეხბურთზე ლაპარაკობდნენ. საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და განმეორებითი შეხვედრისთვის იმედიანად ვემზადებით"*, - ამბობს ჯორბენაძე.

### მუხანოვი ბრმად გვეთამაშა

"აქტობეს" მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ მუხანოვი** ყაზახურ ინტერნეტგამოცემა "გაზეტას" შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსზე ელაპარაკა.

*"პირველი შეხვედრის შედეგმა (2:0) და თავად მატჩის მსვლელობამ სავსებით დამაკმაყოფილა. გამაოცა თუ არა მოწინააღმდეგემ? საერთოდ, "ოლიმპი" ჩემთვის სიურპრიზი გახლდათ. ცოტა ხნის წინ, 10 ახალი ფეხბურთელი აიყვანეს. ამიტომ, ახლახან დასრულებულ საქართველოს ჩემპიონატში "ოლიმპის" მატჩების ვიდეოჩანაწერების ხილვას აზრი არ ჰქონდა. ქართულ კლუბებზე ინფორმაციის მოპოვება კი თითქმის შეუძლებელია. რუსთაველთა გუნდი ჩვენთვის სრულიად უცნობი გახლდათ, ფაქტობრივად, ბრმად ვეთამაშეთ.*

*ჩვენებმა ორივე გოლი სტანდარტულებიდან გაიტანეს, თამაშიდან კი ვერ მოახერხეს და მკითხეს, ეს ფაქტი ხომ არ მაფიქრებდა. ფეხბურთი ისეთი თამაშია, გოლს ხან სტანდარტული მდგომარეობიდან გაიტან და ხან თამაშიდან. ამდენად არ მესმის, რატომ უნდა მაფიქრებდეს სტანდარტულების კარგად გამოყენება? პირიქით, მიხარია, ამ კომპონენტში კარგად რომ გამოვიყურებით.*

*... ტრავმის გამო, იური ლოგვინენკომ და ანტონ ჩიჩულინმა ვერ ითამაშეს. ლოგვინენკო სეზონს გამოტოვებს, ჩიჩულინი კი 10-12 დღეში შემოგვიერთდება. სხვა ტრავმირებული არ გვყავს. ემილ კენჯისარიევს დისკვალიფიკაციის ვადა დაუსრულდა და რუსთავში თამაშის უფლება აქვს.*

*საქართველოში ფრეზე ვითამაშებ თუ საშინაო წარმატების განმტკიცებას შევეცდები? იმის გათვალისწინებით, რომ მასპინძლები შეტევისთვის განეწყობიან, გასვლით შეხვედრაში დაცვიდან თამაში სახიფათო იქნება. რუსთაველებს ინიციატივა არ უნდა დავუთმოთ. შევეცდებით, საპასუხო შეტევებისთვის მოვემზადოთ"*, - ამბობს მუხანოვი.

### ლონლაძე ყველაზე მეტად მოეწონა

**ევგენი ავერჩენკო,** "აქტობეს" ნახევარმცველი: *"ქართველებს ტექნიკურად და ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელები ჰყავთ. მატჩისთვის სერიოზულად ვემზადებოდით, დავალების ნაწილი შევასრულეთ, ნაწილი - ვერა. მთავარია, რომ გავიმარჯვეთ. ვფიქრობ, ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა. "ოლიმპის" სწრაფი და ტექნკური ფლანგის ნახევარმცველები მომეწონა, თუმცა, განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება მარჯვენა მცველმა (თემურ ლონლაძე) დატოვა... რუსთავში გაცილებით რთული შეხვედრა გველის. როგორც გვითხრეს, ხელოვნურ საფარზე ვითამაშებთ, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია. ალბათ, მოწინააღმდეგე საკუთარი გულშემატკივრის წინაშე უფრო აგრესიულადაც ითამაშებს".*

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ



დავით ქიჭვეიშვილი

# დავით ქიჭვეიშვილი: ბაიამ გამაოცა

**სამწლიანი შესვენების შემდეგ დავით ქიჭვეიშვილი საქართველოში დაბრუნდა. ბაქოს „სტანდარდის" 34 წლის გამოცდილი მცველი კარიერას ზუგდიდის „ბაიაში" გააგრძელებს. რატომ წამოვიდა აზერბაიჯანიდან და როგორ აღმოჩნდა საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი „ბაიაში", ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ:**

- „სტანდარდი" აზერბაიჯანის პირველობის უმაღლესი ლიგიდან გავარდა. გვქონდა იმედი, რომ გუნდს უმაღლესში დატოვებდნენ, მაგრამ ლიგა არ გააფართოვეს და გუნდი ფაქტობრივად დაიშალა. პირველ ლიგაში კი ლეგიონერები არ სჭირდებოდათ.

**- „სტანდარდში" ქართველები ხშირად თამაშობდით?**

- ლევან სილაგაძეს ფეხი მოტეხეს და სეზონი ვერ ჩაატარა. არადა, ძალიან კარგ ფორმაში იყო. გიორგი სეთურიძე სულ ძირითადში იყო, ისევე როგორც სერგო ორბელაძე. აზერბაიჯანის ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეული ამირან მუჯირი იყო. სამწუხაროდ, „სტანდარდმა" სეზონი ცუდად ჩაატარა და ლოგიკური შედეგიც მივიღეთ. ქართველები წამოვედით და ახალ კლუბებს ვეძებთ. ერთი მუჯირია აზერბაიჯანში და კლუბში ჩარიცხვას ელოდება.

**- აზერბაიჯანში სხვა კლუბი არ გიწვევდა?**

- საინტერესო არაფერი ყოფილა, ყველგან „შენი კაცი" გჭირდება, თორემ არავინ აგიყვანს. ტყუილ იმედს საქართველოში თამაში მერჩივნა.

**- როგორც ვიცი, გასული სეზონი ტრავმის გამო ვერ დაასრულე.**

- ტრავმა თებერვლის ბოლოს მივიღე. მერე ოპერაცია გავიკეთე და ზაფხულიდან ჩვეულებრივი დატვირთვით ვვარჯიშობ.

**- „ბაია" როდის დაგიკავშირდა?**

- თბილისში ფორმის შესანარჩუნებლად ვვარჯიშობდი, ოთარ გაბელიამ შემთხვევით რომ მნახა და „ბაიაში" გადასვლა შემომთავაზა. სიამოვნებით დავთანხმდი. რატომაც არა, არანაირი სერიოზული წინადადება არ მქონია და „ბაიას" ჩემი დასაწუნი არაფერი სჭირს.

**- მართალია, რომ ზუგდიდელები ახალწვეულებს სოლიდურ გასამრჯელოს სთავაზობენ?**

- დიახ, ასეა. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, ისეთი კარგი პირობები შემომთავაზეს. ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ფულში ხომ არაა საქმე, „ბაიას" ძალიან კარგი ბაზა და სავარჯიშო პირობები გააჩნია. ახლა ბაზაზე აუზს აშენებენ – თითქოს რა განსაკუთრებული მოვლენაა, მაგრამ დამატებითი კომფორტია, რაც ნებისმიერ ადამიანს სიამოვნებს.

**- შენი აზრით, „ბაია" სამეულში მოხვედრას შეძლებს?**

- ყველა პოზიციაზე ამბიციური და გამოცდილი მოთამაშეები გვყავს, კარში გოგიტა სომხიშვილი, წინა ხაზში კახა ჩხეტიანი, როინ ონიანი, ლევან აკობია, ალეკო გოგობერიშვილი, გია მეგრელაძე, გიორგი ქელიძე და ადგილობრივი ნიჭიერი ახალგაზრდები – ასე რომ, ჩვენი ამბიცია ლოგიკურია.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა

# ადრიანო კორეია კამპ ნოუზე!

## ბარსელონამ ბრაზილიელი უნივერსალი 9.5 მილიონ ევროდ შეიძინა

გუშინ „ბარსელონა" „სევილიას" **ადრიანო კორეიას** ტრანსფერზე შეუთანხმდა. ბრაზილიელი მცველი „კამპ ნოუზე" 9.5 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადაბარგდება ანდალუსიიდან, თან შესაძლოა სატრანსფერო თანხას 4 მილიონი ევრო დაემატოს. ხელმოწერა მას შემდეგ შედგება, რაც უნივერსალური მცველი სამედიცინო შემოწმებას გაივლის. დღეს ადრიანო სწორედ ამიტომ ჩავა ბარსელონაში.

ადრიანო „ბარსელონას" მხოლოდ მეორე შენამატია ამ ზაფხულში **დავიდ ვილიას** შემდეგ, რომელიც კატალონიაში 40 მილიონ ევროდ გადაბარგდა „ვალენსიადან". 25 წლის ბრაზილიელმა ბოლო 6 სეზონი გაატარა „სევილიაში", სადაც თითქმის ყველა პოზიციაზე ათამაშეს. მისი უნივერსალიზმი მართლაც გასაოცარია, ადრიანოს შეუძლია თამაში დაცვისა და ნახევარდაცვის ორივე ფლანგზე, ცენტრში. მსოფლიოში იშვიათია ფეხბურთელი, რომელსაც ასე მაღალ დონეზე შეუძლია ორი ფეხით ერთნაირად თამაში და ნებისმიერი დავალების შესრულება დაცვასა და ნახევარდაცვაში. ბრაზილიელი გამოირჩევა გონივრული პასებით, რის გამოც „სევილიაში" დიდი პოპულარულობით სარგებლობდა გულშემატკივართა შორის. მას ბრაზილიის ნაკრებში 8 მატჩი აქვს ჩატარებული. „ბარსელონაში" ისევ აღდგება **დანი ალვეშისა** და ადრიანოს ბრწყინვალედ შეთამაშებული წყვილი, რომელიც „რამონ სანჩეს პისხუანზე" ოთხი წლის განმავლობაში ბრწყინავდა.

### ლეო, ჰეტ თრიკი და ჰაიტი

მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდი იმედგაცრუება ელოდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელ **ლეო მესის** და მის ნაკრებს. არგენტინის ნაკრები გერმანიამ მეოთხედფინალიდან „დაიფრინა" (4:0 მოუგო), ხოლო მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელობის მთავარმა კანდიდატმა აფრიკის მიწა ისე დატოვა, გოლი ვერ გაიტანა. სამაგიეროდ, მუნდიალის შემდეგ პირველივე მატჩში ლეომ ჰეთ თრიკი შეასრულა - ეს თამაში პანამაში გაიმართა, სადაც მესის მეგობრებმა „დანარჩენი მსოფლიოს ნაკრები" 6:4 დაამარცხეს. მესიმ 25-ათასიანი პუბლიკის გასახარად გოლები 32-ე, 45-ე და 87-ე წუთებზე გაიტანა. თამაშში მონაწილეობა მესის გარდა კიდევ ორმა ბარსელონელმა მიიღო, **ჟოზე მანუელ პინტომ** და **გაბრიელ მილიტომ**, იყო კიდევ ერთი ყოფილი „ბლაუგრანაც", პორტუგალიელი **ფერნანდო კოუტუ**.

სხვა ცნობილი ფეხბურთელებიდან საქველმოქმედო შოუში მონაწილეობა მიიღეს: **კრისტიან ვიერიმ, მარკო მატერაცim, ედგარ დავიდსმა, კევინ კურანიმ, მარკო იეპესმა, ბურიტო ორტეგამ** და **მარტინ პალერმომ**, აგრეთვე ორმა ესპანელმა - **ფერნანდო მორიენტესმა** და **ივან ელგერამ**. მესის მეგობრები 4:1 დაწინაურდნენ, მაგრამ **ბლას პერესის** ჰეთ თრიკის წყალობით „მსოფლიოს ნაკრებმა" გათანაბრება შეძლო, თუმცა ბოლოს ორი გოლი მაინც მესის მეგობრებმა (ერთი თავად მესიმ) გაიტანეს და გაიმარჯვეს.

ამის შემდეგ მესიმ მიწისძვრისგან განადგურებული ჰაიტი მოინახულა. ეს იყო მესის პირველი ვიზიტი, როგორც უნისეფის მსოფლიო ელჩისა. ის ეწვია დაზარალებულთა ბანაკს, სადაც 50 ათასამდე უსახლკარო ცხოვრობს. შეგახსენებთ, რომ იანვრის მიწისძვრამ 220 ათასი ჰაიტელის სიცოცხლე შეიწირა.



ადრიანო კორეია კარიერას ბარსაში გააგრძელებს

### როსელი: პეპს 6-წლიანს ვთავაზობდი

„ბარსელონას" ახალი პრეზიდენტი **სანდრო როსელი** მისი გაჩარხული პირველი საქმით ერთობ კმაყოფილია - შეგახსენებთ, რომ კატალონიურ კლუბთან კონტრაქტი „ბარსელონას" მთავარმა მწვრთნელმა **ხოსეპ გვარდიოლამ** გააგრძელა.

*„ჩვენ პეპს საუკეთესო ვარიანტი შევთავაზეთ - ექვსწლიანი კონტრაქტი, რომლის გაგრძელება ყოველწლიურად იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ რადგან მწვრთნელმა ეს ვარიანტი აირჩია, ჩვენც კმაყოფილნი ვართ მისი გადაწყვეტილებით. ჩვენი სურვილია, მან საუკეთესოდ იგრძნოს თავი კლუბში. პეპთან ურთიერთობაში მოთმინება უებარი რამაა, მისგან იმდენად ბევრს ითხოვენ, რომ თავადაც სურვილი აქვს ყოველწლიურად დაამტკიცოს თავისი სიძლიერე. მაგრამ, დამერწმუნეთ, მიუხედავად იმისა, რომ მან მხოლოდ ერთი სეზონით გააფორმა კონტრაქტი, მასთან ხელშეკრულება მომავალი ექვსი სეზონის განმავლობაში ავტომატურად გაგრძელდება სეზონის ბოლოს, საჭიროა მხოლოდ მისი ერთი სიტყვა „მსურს".*

ახალმა პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ იმდენად გაფუჭდა ურთიერთობა „ბარსელონასა" და „არსენალს" შორის (რაც, სხვათა შორის, **ჟოან ლაპორტას** მმართველობის პერიოდს მიაწერა), რომ ლონდონურ კლუბთან სესკ ფაბრეგასის საკითხზე დალაპარაკებას აღარ აპირებს: *„არსენალში" თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ. მათ არ უნდათ არანაირი წინადადების მოსმენა, საერთოდ არ აპირებენ სესკის გაყიდვას. თვეების წინ გუნდებს შორის კულისებში დიდი შეხლა-შემოხლა იყო და ინგლისელებს ძველი წყენა არ დავიწყნიათ".*

როსელმა „კამპ ნოუს" განახლების აუცილებლობაზეც ილაპარაკა: *„ჩვენ ყველას დიდებული სახლი გვაქვს, მაგრამ დრო გადის და „კამპ ნოუც" მოძველებულად გამოიყურება. აუცილებელია კარგი ხელის შევლება. არ ვამბობ, რომ ჩვენ სტადიონის განახლებაზე 300-400 მილიონ ევროს დავხარჯავთ, თუმცა ამ საქმეს 60-80 მილიონს მოვახმართ და ეს თანხა სავსებით საკმარისი იქნება".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ პედრო ლეონი



ახალი მადრიდისტა
პედრო ლეონი

# რეალი ახდენილი ოცნებაა

გუშინ მადრიდის „რეალის" ახალმა შენაძენმა **პედრო ლეონმა** კლუბის ოფიციალურ საიტს პირველი ინტერვიუ მისცა.

**- გილოცავთ, როგორც ვიცით, ბავშვობის ოცნება აგიხდათ...**

- მადლობა, „რეალი" პლანეტის საუკეთესო კლუბია. ბავშვობიდან მხოლოდ ერთი ოცნება მქონდა, აქ, ამ გუნდის მაისურით მეთამაშა. ძალიან ბედნიერი ვარ.

**- თქვენ ძალიან გულთბილი შეხვედრა მოგიწყვეს გულშემატკივრებმა, თუ ელოდით ამას?**

- ისინი ძალიან მაგრები არიან. მართლა არ მეგონა თუ ასეთი ცნობილი ვიყავი. ძალიან ბევრი ადამიანი მოვიდა დღეს.

**- ფლორენტინო პერესმა შეგაქოთ და აღნიშნა, რომ გასულ სეზონში თქვენ ძალიან კარგი თამაშით დაიმსახურეთ „რეალის" მაისურა...**

- შარშანდელი სეზონის შემდეგ მართლაც ბევრი შემოთავაზება მქონდა, მაგრამ რომ გავიგე, „რეალიც" იყო დაინტერესებული, ჩემს აგენტს ვუთხარი, სხვა ყველა ვარიანტი გადაეხაზა. თავი ახლაც სიზმარში მგონია. ფეხბურთში ამაზე კარგ შანსს ვერავინ მოგანიჭებს, რაც მე მივიღე - მოვხვდი მსოფლიოს საუკეთესო გუნდში, სადაც საუკეთესო ფეხბურთელები თამაშობენ და საუკეთესო მწვრთნელია. უნდა მოვინდომო და ბევრი ვიშრომო. მსურს დიდ პროგრესს მივაღწიო.

**- ჯერ მხოლოდ 23 წლის ხართ, მაგრამ უკვე მოასწარით თამაში „მურსიაში", „ლევანტეში", „ვალიადოლიდსა" და „ხეტაფეში", მოგზაურობა გიყვართ?**

- არა, „რეალს" ვეძებდი. ნელ-ნელა ვუმატებდი და კლუბსაც შესაბამისად ვიცვლიდი. ახლა კი გაჩერების დროა. „რეალის" ღირსებას თავდაუზოგავი თამაშით დავიცავ.

**- თქვენი ყველა ყოფილი მწვრთნელი აღფრთოვანებით საუბრობს პედრო ლეონის კარგ თამაშზე.**

- მეც დიდი მადლიერი ვარ მათი, განსაკუთრებით მენდილიბარის.

**- ჟოზე მოურინიო მომთხოვნი მწვრთნელია, რომელიც დღედაღამ მუშაობს და არც სხვას აძლევს მოსვენების საშუალებას, რა იფიქრეთ, როცა გაიგეთ, რომ მისი შეგირდი გახდებოდით?**

- ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს? ის ხომ საუკეთესოა მთელ მსოფლიოში, ამიტომაც დაამარცხა „ბარსა" ჩემპიონთა ლიგაზე. ვიმედოვებ, რომ სეზონის ბოლოს მეც კმაყოფილი ვიქნები და მოურინიოც.

**- როგორი ფეხბურთელია პედრო ლეონი, რომელიც მემარჯვენეა, მაგრამ ორივე ფლანგზე ბრწყინვალედ თამაშობს?**

- მოდით, ფეხბურთელი პედრო ლეონი სხვამ შეაფასოს და არა პედრო ლეონმა. მწვრთნელი თავად განსაზღვრავს, სად და როგორ გამომიყენოს.

**- როგორია კრიშტიანო რონალდოს, ქარიმ ბენზემას და კაკას დარ ვარსკვლავების გვერდით თამაში?**

- ჯერ არ ვიცი, ვნახოთ. ერთი სული მაქვს, როდის გადავიცმევ „რეალის" მაისურას და სათამაშოდ შევალ.

**- რას ეტყვით ჩვენს გულშემატკივარს?**

- მინდა იცოდნენ, რომ დიდ პატივს ვგრძნობ „რეალის" ღირსების დაცვა რომ მომიწევს. სანამ შემეძლება არასოდეს გავჩერდები, მინდა გულშემატკივრები გავახარო. ჰალა მადრიდ!

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტრანსფერი

# მანჯუკიჩიც მაკლარენთან!

## მგლებმა მარტინსის შემცვლელს ხორვატიაში მიაგნეს

„ვოლფსბურგმა" ყაზანის „რუბინში" გადასული ნიგერიელი ფორვარდის, **ობაფემი მარტინსის** შემცვლელი ძალიან მალე იპოვა: გუშინ გადაწყდა, რომ ხორვატიის ნაკრებისა და ზაგრების „დინამოს" თავდამსხმელი **მარიო მანჯუკიჩი** კარიერას გერმანიის ექსჩემპიონში გააგრძელებს. 1.84 მეტრი სიმაღლის მქონე ფორვარდი გერმანულ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს აფორმებს.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „მგლებმა" 24 წლის თავდამსხმელის სანაცვლოდ 7 მილიონი ევრო გადაიხადეს. აღსანიშნავია, რომ მანჯუკიჩი 6-დან 10 წლამდე გერმანიაში ცხოვრობდა და ფეხბურთის თამაში, სხვათა შორის გერმანულ გუნდში, „დიტცინგენში" დაიწყო.

*„დიდი ხანია, მარიოს გადაბირება მინდოდა. მისი გადაყვანა „ტვენტეშიც" მსურდა, მაგრამ სამწუხაროდ, ჰოლანდიაში გადმოსვლაზე ვერაფრით დავითანხმე. მიხარია, რომ როგორც იქნა, მანჯუკიჩი ჩემი შეგირდი გახდა. „ვოლფსბურგისთვის" ის დიდი შენაძენია,"* - განუცხადა „ვოლფსბურგის" მთავარმა მწვრთნელმა **სტივ მაკლარენმა** ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

*„ბუნდესლიგაში თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი. მიხარია, რომ „ვოლფსბურგში" ედინ ჯეკო დამხვდა. მას კარგად ვიცნობ და იმედი მაქვს, რომ არსად წავა. „ვოლფსბურგში" თამაში ჩემთვის დიდი პატივია,"* - ეს კი თავად ხორვატი თავდამსხმელის სიტყვებია.

მანჯუკიჩთან ერთად, „ვოლფსბურგის" ხელმძღვანელებმა დანიელი მცველი **სიმონ კიაერიც** წარადგინეს, რომელიც „მგლებმა" იტალიური „პალერმოდან" 12 მილიონ ევროდ შეიძინეს.

მარიო მანჯუკიჩი 2008 და 2009 წლებში ზაგრების „დინამოსთან" ერთად ხორვატიის ჩემპიონი გახდა. ბოლო სამ წელიწადში მან 110 მატჩში 52 გოლი გაიტანა, 2008/2009 წლების სეზონში კი 16 გოლით ხორვატიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მანჯუკიჩს ხორვატიის ნაკრებში 13 მატჩი აქვს ჩატარებული (1 გოლი). მანჯუკიჩი **არნე ფრიდრიხის**, სიმონ კიაერისა და **სისეროს** შემდეგ, „ვოლფსბურგისთვის" რიგით მეოთხე ახალწვეულია.

**გოტფრიდ ლენცი**



სტივ მაკლარენი, სიმონ კიაერი, მარიო მანჯუკიჩი
და ვოლფსბურგის მენეჯერი დიტერ ჰოინესი

რეალი

# ჟოზეს პირველი დღე

გუშინ **ჟოზე მოურინიოს** „რეალმა" უკვე ნამდვილი შეკრება მოაწყო, თუკი წინა დღით ფეხბურთელებმა მხოლოდ სამედიცინო შემოწმება გაიარეს, პარასკევს სრულფასოვანი ვარჯიში მოეწყო, რა თქმა უნდა, მუნდიალის მონაწილე ფეხბურთელების გარეშე. ჟოზე მოურინიო ტრადიციას არ ღალატობს, „რეალის" გულშემატკივრებს უსიამოვნო ამბავი ელოდათ - პორტუგალიელმა თავკაცმა „დახურული" ვარჯიში ითხოვა. მის განკარგულებაში იყვნენ: **დუდეკი, ადანი, გარაი, მარსელო, დრენტე, გაგო, მ. დიარა, გრანერო, ლ. დიარა** და **ბენზემა**. ბუნებრივია, ასე სრულფასოვანი ვარჯიში არ გამოვიდოდა და ჟოზემ სარეზერვო გუნდიდან **კარვახალი, ტებარი, ნაჩო, ალექსი, დენის ჩერიშევი, ფრან რიკო, ხოსელუ** და **მორატა** დაიმატა.

ვარჯიშის პირველი ნაწილი „რეალის" ფიზმომზადების მწვრთნელ **რუი ფარიას** მიჰყავდა. დუდეკი და არანი გოლკიპერთა მწვრთნელმა **სილვინო ლოურუმ** ჩაიბარა. შემდეგ ჟოზე მოურინიომ დარტყმებში ავარჯიშა გუნდი. პირველი ვარჯიში მცირე „მატჩით" დასრულდა, რომელიც ნახევარ მოედანზე გაიმართა. საბოლოოდ იმ გუნდმა გაიმარჯვა, რომელშიც ქარიმ ბენზემა თამაშობდა - 2:1.

### ხედირა დრენტეს და 10 მილიონის სანაცვლოდ?

„შტუტგარტერ ცაითუნგი" წერს, რომ მადრიდის „რეალი" მზადაა **სამი ხედირას** ხელში ჩაგდების სანაცვლოდ ჰოლანდიელ ვინგერ **როისტონ დრენტეს** შეელიოს. „სამეფო კლუბი" „შტუტგარტს" გაცვლას სთავაზობს. ბუნებრივია, აქ არ არის ლაპარაკი ერთი ერთზე გაცვლაში - მუნდიალის შემდეგ ხედირას აქციები ერთი ათად გაიზარდა - ესპანელები საყრდენი ნახევარმცველის სანაცვლოდ დრენტეს გარდა 10 მილიონ ევროს გამოდიან. თურმე „შტუტგარტის" მწვრთნელ **კრისტიან გროსს** ძალიან მოსწონს დრენტეს თამაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სამხ. აფრიკა 2010









# მუნდიალის 10 იმედგაცრუება

ერთ-ერთ წინა ნომერში იმ პერსონებზე ვისაუბრეთ, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე საუკეთესო კუთხით წარმოჩნდნენ და შესანიშნავი თამაშითა თუ პროფესიონალიზმით ყველა გააოცეს. დღეს კი მათზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას, ვისგანაც ძალიან ბევრს მოველოდით, მაგრამ იმედები გაგვიცრუვდა. ათეულში ფეხბურთელებთან ერთად გუნდებიც მოხვდნენ, პირველი პოზიცია კი მწვრთნელს უკავია. მივყვეთ თანმიმდევრობით:...

## 10. როზერტო როზეტი
### იტალიელი არბიტრი

...უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, **რობერტო როზეტი** და მისი სამსაჯო ბრიგადა. იტალიელი არბიტრი ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული გახლდათ და წინასწარი პროგნოზით, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი უნდა ემსაჯა - თუ, რა თქმა უნდა, იტალიის ნაკრები ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩამდე ვერ მიაღწევდა. "აძურა" კი სულაც ჯგუფში ჩარჩა და როზეტის თითქოს გზა გაეხსნა, თუმცა... რობერტომ და მისმა თანამსაჯებმა არაერთი შეცდომა დაუშვეს და მთლიანობაში, ძალიან ცუდად წარმოჩნდნენ. ყველაზე დიდი და ხმაურიანი შეცდომა არგენტინა-მექსიკის მერვედფინალურ მატჩში მოუვიდათ, როდესაც **კარლოს ტევესს** აშკარა თამაშგარედან გატანილი გოლი ჩაუთვალეს. მართალია, იქ უფრო ლაინსმენი შეცდა, მაგრამ პასუხისმგებლობა მთავარ მსაჯზეც ნაწილდება. ცნობისთვის, როზეტიმ სულ რამდენიმე დღის წინ კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება. მან თქვა, რომ მუნდიალის ფინალის მსაჯობაზე ოცნებობდა და რაკი ოცნება არ აუხდია, მოტივაცია აღარ აქვს. შეგახსენებთ, რომ როზეტიმ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის ფინალი (გერმანია-ესპანეთი 0:1) იმსაჯა.

## 9. ფერნანდო ტორესი
### ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელი

გასაკვირია, მაგრამ ამ სიაში მსოფლიოს ჩემპიონი გუნდის ფეხბურთელი მოხვდა, კერძოდ კი **ფერნანდო ტორესი.** ორი წლის წინ გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ტორესმა **დავიდ ვილიასთან** ერთად თავდასხმის ბრწყინვალე ტანდემი შექმნა და თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა. გულშემატკივრები იმავეს ელოდნენ მუნდიალზეც, თუმცა როგორც განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, ამაოდ. ტორესმა ბოლო ორ შეხვედრაში შეირცხვინა თავი და შედეგად, სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. მისგან აშკარად მეტს მოველოდით...

## 8. კაკა
### ბრაზილიის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი

მიუხედავად იმისა, რომ მთელი სეზონი ტრავმებმა გატანჯეს და თავი ბევრი ვერაფრით წარმოაჩინა, მსოფლიოს ჩემპიონატზე მასზე მაინც დიდ იმედებს ამყარებდნენ. **კაკა** თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება, ბევრისთვის კი სულაც საუკეთესოა. თუმცა, გაცემული ავანსები ვერც ამჯერად გაამართლა და ბრაზილიის ნაკრების წარუმატებლობაში მასაც მიუძღვის ბრალი. მართალია, რიგ ეპიზოდებში გამოავლინა უმაღლესი კლასი, მაგრამ ეს მაინც ზღვაში წვეთი გახლდათ. საუკეთესო კაკა ჩვენ "მილანიდან" გვახსოვს - ვნახოთ, როგორ ათამაშდება **ჟოზე მოურინიოს** ხელში.

## 7. კრიშტიანო რონალდო
### პორტუგალიის ნაკრების კაპიტანი

ბევრის აზრით, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, რომელმაც კაკასგან განსხვავებით, გასული სეზონი მადრიდის "რეალში" საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა. მართალია, სამეფო კლუბი ტიტულის გარეშე დარჩა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ **რონალდოს** ამაში ყველაზე ნაკლები ბრალი მიუძღვის. მისგან ძალიან ბევრს მოელოდნენ პორტუგალიის ნაკრების გულშემატკივრები, მაგრამ რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა. სამხრეთაფრიკულ მუნდიალზე ერთადერთი გოლი გაიტანა და ისიც რიგით მეშვიდე ჩრდილოეთ კორეის ნაკრების წინააღმდეგ. თანაც, გოლი ისე შეაგდო, თვითონაც არ იცოდა, რომ ბურთი კისრით კარისკენ მიჰქონდა. ამასთან, მთელი მსოფლიო ალაპარაკა იმის შესახებ, რომ მუნდიალის მსვლელობისას ფეხბურთზე უფრო მეტ დროს, შეყვარებულთან ფლირტაობას უთმობდა. მოკლედ, თავი მოიჭრა და ნაკრების კაპიტნის სამკლაურიც ჩამოართვეს.

## 6. საფრანგეთის ნაკრები

საფრანგეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის უპირობო ფავორიტად ნამდვილად არ მიიჩნეოდა, მაგრამ ასეთ სამარცხვინო გამოსვლასაც არავინ ელოდა. თანაც, არა მარტო მოედანზე, ფრანგებმა მის მიღმაც მოიჭრეს თავი. ჯერ **ნიკოლა ანელკა** აუხირდა მთავარ მწვრთნელს, შემდეგ კი მთელი გუნდი გადაუდგა საწყალ **რაიმონ დომენეკს** და დადგა ძალიან ლოგიკური შედეგი: სრული ფიასკო. ფრანგებმა იმდენად შეირცხვინეს თავი, რომ საქმეში თვით ქვეყნის პირველი პირი **ნიკოლა სარკოზი** ჩაერია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ცუდი შთაბეჭდილება ფრანგებს 2002 წლის ჩემპიონატზეც კი არ დაუტოვებიათ – მაშინაც ჯგუფში ჩარჩნენ, მაგრამ გაწევ-გამოწევას, გინებას და ბოიკოტს მაინც არ ჰქონია ადგილი.

## 5. იტალიის ნაკრები

საფრაგეთის ნაკრების არ იყოს, უდავო ფავორიტებად არც იტალიელები მიიჩნეოდნენ, მაგრამ ჯგუფში ჩარჩენა და თანაც, ბოლო ადგილზე გასვლა, ნამეტანი გახლდათ. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ "სკუადრა აძურა" ერთ-ერთ უსუსტეს ჯგუფში მოხვდა და წესით, განსაკუთრებული პრობლემების გარეშე უნდა მოეგვარებინა ჯგუფიდან გასვლის საკითხი. ფრე პარაგვაისთან და ახალ ზელანდიასთან, ხოლო მარცხი სლოვაკეთთან, ყველაფერზე ნათლად მეტყველებს - იტალიის ნაკრები განვლილ მუნდიალზე არაფრად არ ვარგოდა. ამასთან, "აძურამ" იმ კომპონენტებშიც ვერ ივარგა, რომელშიც ტრადიციულად ძლიერია. გუნდის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი რგოლი დაცვის ხაზი იყო, რასაც ნამდვილად ცოტა თუ წამოიდგენდა.

## 4. ინგლისის ნაკრები

ალბათ არასდროს გაცემულა იმდენი ავანსი ინგლისის ნაკრებზე, რამდენიც სამხრეთაფრიკული მუნდიალის დაწყებამდე. ბრიტანელებმა მთავარ მწვრთნელად **ფაბიო კაპელო** მიიწვიეს და მან აშკარად დაალაგა გუნდი. შესარჩევი ეტაპი მარშით გაიარა და რაც მთავარია, გუნდი შესანიშნავ ფეხბურთს თამაშობდა. ინგლისის ნაკრები ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად მიიჩნეოდა და სრულიად ლოგიკურადაც, თუმცა კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, ფეხბურთში პროგნოზების კეთება უმადური საქმეა. ალბიონელებმა ვერაფერი ფეხბურთი გვიჩვენეს და მერვედფინალურ პაექრობაში სულაც საშვილიშვილოდ მოიჭრეს თავი. ასე გამოვარდნას ალბათ ისევ ჯგუფში ბოლო ადგილზე გასვლა სჯობდა, გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდე ისტორიულ და პრინციპულ მეტოქესთან, ერთობ მძიმე ამბავია. ამ სირცხვილს კაპელო და მისი შეგირდები ალბათ ვერასდროს ჩამოირეცხავენ.

## 3. უეინ რუნი
### ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი

ინგლისის ეროვნულმა ნაკრებმა რომ სრული ფიასკო განიცადა, ამაში **უეინ რუნის** დიდი წვლილი მიუძღვის. მთელი სეზონის განმავლობაში, "მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში ბრწყინვალედ ასპარეზობდა და ინგლისელები მასზე კოლოსალურ იმედებს ამყარებდნენ. ის უნდა ყოფილიყო გუნდის ლიდერი და მთავარი მეგოლე, თუმცა რა ბომბარდირობაზეა ლაპარაკი, როდესაც ერთი კინკილა გოლი რაა, ისიც არ გაუტანია. ვერ გეტყვით, რისი ბრალია, გადაიღალა, გუნდმა არ შეუწყო ხელი თუ რა მოხდა, მაგრამ ფაქტია, რომ გულშემატკივრები რუნისგან გაცილებით მეტს ელოდნენ.

## 2. ლიონელ მესი
### არგენტინის ნაკრების თავდამსხმელი

ვფიქრობთ, რომ უკეთ წარმოჩნდა, ვიდრე იგივე რუნი. იქ ფინტიც გამოუვიდა, კარგი პასიც გააკეთა და საერთოდაც, მეტად აქტიური იყო, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ **ლიონელ მესიზე** ვლაპარაკობთ, ფეხბურთელზე, რომელიც საუკეთესო გახლავთ მსოფლიოში ყველა გამოკითხვით და ყველა პარამეტრით. მისგან დაახლოებით იმავეს მოელოდნენ, რაც **დიეგო მარადონამ** გააკეთა 1986 წლის მუნდიალზე, თუმცა იმედები არ გამართლდა. მესი მთელი ჩემპიონატი გვპირდებოდა გოლებს: დღეს, ხვალ, დღეს ხვალ და ამ მარჩიელობაში არგენტინა მუნდიალს გამოემშვიდობა. დაახლოებით ანალოგიური რამ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე **რონალდინიოს** დაემართა და მას შემდეგ გაუჩო ველარც დადგა ფეხზე. დავიტოვოთ იმედი, რომ ლიონელი საკლუბო დონეზე ძველებურად ბრწყინვალედ გააგრძელებს ასპარეზობას.

## 1. მარჩელო ლიპი
### იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი

2006 წლის შემდეგ იტალიაში მას მაესტროთი მოიხსენიებდნენ და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელი ოთხი წლის განმავლობაში, ის ყველაზე დაფასებული ადამიანი გახლდათ. სამხრეთაფრიკული მუნდიალის შემდეგ მწვავე კრიტიკისგან ჟურნალისტებმა თავი შეიკავეს, რადგან თითქოს ამას აზრიც აღარ ჰქონდა, მაგრამ ეპითეტი „მაესტრო" მათი ლექსიკონიდან აშკარად გაქრა. აი, ასე გახდა „მაესტრო" ისევ მარჩელო და ეს პირველ რიგში თავის თავს უნდა დააბრალოს. ვერავინ წარმოიდგენდა თუ ლიპის ხელში იტალიის ნაკრები ასეთ უსუსურ ფეხბურთს ითამაშებდა. "სკუადრა აძურას" მთავარ სიძლიერედ ექსპერტები სწორედ მთავარ მწვრთნელს მიიჩნევდნენ, თუმცა სრულიად საპირისპირო სურათი მივიღეთ - **ლიპი** იტალიური ფიასკოს მთავარი "შემოქმედია".

**ლაშა წიკლაური**









ამბები

## ტიტულები ისევ მწყურია

**მასიმო მორატი** ტიტულებს მომავალ სეზონშიც ელის. "ინტერის" პრეზიდენტი მოტივაციის ნაკლებობას არ უჩივის და ამბობს, რომ ახალი ჯილდოები უკვე მოპოვებულებზე არანაკლებ გაახარებს.

"ტიტულების მოგება ისევ მინდა, გასული სეზონის ტრიუმფმა მოტივაცია ოდნავადაც ვერ შეგვიმცირა. ასე ფიქრობს ჩვენი კლუბის თითოეული წევრი და გულშემატკივარი. უახლოეს პერიოდში უნდა მოვიგოთ იტალიის სუპერთასი და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი, რითაც ჩემი მეგობრის, ჟოან ლაპორტას "ბარსელონას" მიღწევას გავიმეორებთ. ეს იქნება ჩვენი შრომის ლოგიკური დაგვირგვინება. თუმცა ცხადია, მხოლოდ ეს არ დაგვაკმაყოფილებს. ჩვენი მთავარი ამოცანა სკუდეტოსა და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის წოდების შენარჩუნებაა", - აცხადებს მორატი.

## ჩემი თამაში არაფერს შეცვლიდა...

**ჯანლუიჯი ბუფონმა** სამხრეთაფრიკულ მუნდიალზე იტალიის ნაკრების გამოსვლა შეაფასა და გულახდილად თქვა, რომ „სკუადრა აძურას" ჯგუფიდან გასვლა მისი ჯანმრთელად ყოფნის შემთხვევაშიც გაუჭირდებოდა.

"თავიდანვე ნათელი იყო, რომ 2006 წლის წარმატების განმეორება ძალიან გაგვიჭირდებოდა, თუმცა ჩვენგან არც ჯგუფში ჩარჩენას ელოდნენ. არა მგონია, მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი მარცხი ჩემი ტრავმის ბრალი იყოს, მარკეტიმ ღირსეულად შემცვალა. პირლო გუნდს ცოტა ადრე რომ დახმარებოდა, ეგებ იმ შემთხვევაში მაინც მოგვეხერხებინა უკეთ ასპარეზობა.

ახლა ზურგი ისე ძალიან აღარ მაწუხებს. ოპერაციის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა და სიარული უკვე შემიძლია. მოედანს უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში დავუბრუნდები", - განაცხადა ბუფონმა.

## მილანში 2014 წლამდე

**სწორედ** ამ დრომდე აპირებს როსონერიში დარჩენას **ალეშანდრე პატო.** "პირველ რიგში, კარგი კონდიციებით უნდა შევხვდე 20 ივლისს, "მილანის" შეკრების დაწყების დღეს. ჩემს კლუბთან კონტრაქტი 2014 წლამდე მაკავშირებს და მანამდე არსად წასვლის სურვილი არ მაქვს. საერთოდაც, მოხარული ვიქნები, თუ კარიერის საუკეთესო წლებს სწორედ "მილანში" გავატარებ, ბოლოს კი სამშობლოში, "ინტერნასიონალში" ვითამაშებ. ჩემი გული სწორედ ამ კლუბს ეკუთვნის", - ამბობს ახალგაზრდა ბრაზილიელი ფორვარდი.

## ნიგერიელებს გარიგება ბრალდებათ

**შესაძლოა,** ნიგერიული ფეხბურთი ახალ სკანდალში გაეხვიოს. გეხსომებათ, ორიოდ კვირის წინ ქვეყნის პრეზიდენტმა **ჯონათან გუდლაქმა** ეროვნულ ნაკრებს ორწლიანი საერთაშორისო იზოლაცია მიუსაჯა, მაგრამ მალე გონს მოეგო და ნიგერიის ფეხბურთის ფედერაცია ფიფასგან გარდაუვალ სანქციებს გადაურჩა.

ახლა კი უეფას ინკოგნიტო ჩინოვნიკი ირწმუნება, რომ ნიგერიის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი განვლილი მუნდიალის მატჩების გარიგებაშია ეჭვმიტანილი. ფიფამ ეს ინფორმაცია არ უარყო, მაგრამ განაცხადა, რომ ეს ეჭვები დეტალურ გამოკვლევას საჭიროებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მოედანს მიღმა

# რუნის იღბალი

**უეინ რუნის** ამბები გვინდა გიამბოთ. დავიწყოთ იმით, რომ „მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების თავდამსხმელის კარიერაში ცუდი პერიოდი, როგორც ჩანს, წარსულს ჩაბარდა: მსოფლიოს ჩემპიონატზე ხელის მოცარვა წარმატებამ შეცვალა - მანჩესტერში ხელფასს კვირაში 130 ათას ფუნტამდე უზრდიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისელი ვარსკვლავის ჯამაგირი კვირაში 30 ათასი ფუნტით გაიზარდა. ვინ იცის, იქნებ ჯამაგირის ზრდა იმითაც იყო განპირობებული, რომ რუნისადმი ინტერესი მადრიდის „რეალმა" გამოხატა და „ოლდ ტრეფორდზე" იფიქრეს, ჯობს, ჩვენს მთავარ ვარსკვლავს გასამრჯელო გავუზარდოთ, თორემ შეიძლება ვინმემ მოთაფლოსო. ყოველ შემთხვევაში, „იუნაიტედმა" თავისი სიტყვა თქვა და ახლა პასუხი რუნის აგენტ **პოლ სტრეტფორდზეა**, რომელიც სეზონის დაწყებამდე კლუბის აღმასრულებელ შეფ **დევიდ გილთან** აუცილებლად მოაგვარებს ყველაფერს.

და კიდევ ერთი ფაქტი იმისა, რომ რუნის ცუდი დროება კარგით შეეცვალა: „იუნაიტედის" ვარსკვლავმა თავის ყოფილ აგენტებს სასამართლო დავა მოუგო - ყოფილი აგენტები 4,3 მილიონ ფუნტს ედავებოდნენ. ამის შესახებ ადრეც ვწერდით. კერძოდ, ლაპარაკია სპორტული მენეჯმენტის ფირმა „პროაქტივზე", რომელიც ამტკიცებდა, რომ რუნისგან რამდენიმე „მსუყე" კონტრაქტის საკომისიოები ეკუთვნოდა. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, თავიდან ფირმა „პროაქტივი" და ზემოხსენებული პოლ სტრეტფორდი ერთად იყვნენ, შემდეგ კი, 2008 წელს, მათი გზები გაიყარა და სტრეტფორდმა რუნი თავისი საკომისიოებიანად თან გაიყოლა. სწორედ ამან გააბრაზა „პროაქტივი", რომელმაც მიიჩნია, რომ უსამართლოდ დაიჩაგრა და კუთვნილი ფულიც წაართვეს, თუმცა, მანჩესტერის სასამართლომ დავა ფეხბურთელის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

კერძოდ, მოსამართლემ თქვა, რომ ხელშეკრულება, რომელიც რუნიმ 17 წლის ასაკში, ჯერ კიდევ „ევერტონში" თამაშის წლებში გააფორმა, დღეს რვა წლისა იქნებოდა, მაშინ, როდესაც ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია რეკომენდაციას იძლევა, ასეთი ხელშეკრულებები ორ წელიწადზე ხანგრძლივი არ იყოს. რუნიმ, რომელიც ოჯახთან ერთად ბარბადოსზე ისვენებს, თქვა:

*„მე და კოლინი ყოველთვის პატიოსნად ვუხდიდით საკომისიოებს იმ ადამიანებს, რომელთაც ჩვენგან ეს ფული ეკუთვნოდათ. რაც შეეხება თანხას, რომელსაც ამ შემთხვევაში გვედავებოდნენ - ეს ყველაფერი ცუდ ხუმრობას ჰგავდა და ჩვენ დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ გაძარცვას გვიპირებდნენ. საბედნიეროდ, მოსამართლემ ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. მან სწორად განსაზღვრა ის თანხა, რომელიც ჩვენ „პროაქტივისთვის" უნდა გადაგვეხადა, გაბერილ რიცხვებზე კი ლაპარაკიც აღარ არის".*

დავაზუსტოთ: მოსამართლის გადაწყვეტილებით, უეინ რუნის „პროაქტივისთვის" გადასახდელი ჰქონდა არა მილიონები, არამედ მხოლოდ და მხოლოდ 90 ათასი ფუნტი, ხოლო კოლინ რუნის 5 ათასი. „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავმა განაგრძო:

*„ყველაზე მეტად სასამართლო გარჩევები არ მინდოდა, მაგრამ განვიცდი, როდესაც დავინახე, რომ კომპანია, რომელიც ბრიტანეთის რამდენიმე უდიდეს ვარსკვლავს წარმოადგენს, ასეთი ხერხით ლამობდა ფულის მოპოვებას. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, კერძო ბიზნესისა და პირადი ცხოვრების საიდუმლოებები საჯარო გახადა. რას იზამ, როგორც ჩანს, ცხოვრებაში სიმართლისთვის ბრძოლაა საჭირო".*

რაც შეეხება რუნის აგენტ პოლ სტრეტფორდს, მას ახლა ახალი ფირმა აქვს, რომელსაც ჰქვია Triple S Sports and Entertainment Group Ltd და რუნი, როგორც მოგახსენეთ, მისი კლიენტია. სტრეტფორდმა თქვა:

*„ჩვენ პირველი წუთებიდან ვიცოდით, რომ თანხა, რომელსაც გვედავებოდნენ, უსამართლო იყო. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო უეინსა და კოლინს, რომლებმაც სიმტკიცე გამოამჟღავნეს და საკმაოდ ძლიერი ზეწოლის მიუხედავად თავიანთი პოზიცია ბოლომდე დაიცვეს".*

დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმ ამბავს, რომ „პროაქტივი" სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

უეინ რუნი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერანი



ემილ ჰესკიმ სანაკრებო კარიერა დაასრულა

# ჰეს-კი ვერ გავიგეთო...

**ემილ ჰესკიმ** განაცხადა, რომ ინგლისის ნაკრებიდან მიდის - ასე დასრულდა სანაკრებო კარიერა თავდამსხმელისა, რომელმაც ეროვნულ გუნდში 3413 წუთი ითამაშა და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ 7 გოლის გატანა მოახერხა. „ასტონ ვილას" ცენტრფორვარდმა ნაკრებში 11-წლიანი კარიერის დასრულება გულდასაწყვეტი მუნდიალის შემდეგ გადაწყვიტა. 32 წლისამ ამ 11 წლის განმავლობაში 62 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. მას მეტწილად **კევინ კიგანი, სვენ-გორან ერიქსონი** და **სტივ მაკლარენი** იწვევდნენ, ბოლოს კი **ფაბიო კაპელოც** ენდო. ახლა ვეტერანი ამბობს, რომ დროა ასპარეზზე ახალი თაობა გამოვიდეს - აგვისტოში ინგლისელებს უნგრეთის გუნდთან აქვთ ამხანაგური შეხვედრა.

*„ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ბედნიერი წლები გავატარე. ყოველთვის, როდესაც წილად მხვდებოდა ბედნიერება და ეროვნულ გუნდში მიძახებდნენ, სიამაყის გრძნობა მეუფლებოდა. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა იმ მწვრთნელებს, რომლებიც მაფასებდნენ და მიწვევდნენ, ფეხბურთის ასოციაციის ყველა წევრსა და ფანებს, რომლებიც წლობით მხარში მედგნენ".*

იმავდროულად, ბოლო პერიოდში ინგლისის ნაკრებში არ ყოფილა ფეხბურთელი, ამ დენი კამათი რომ გამოეწვია. ერთი მხრივ, მხარდაჭერა, მეორე მხრივ კი მხოლოდ და მხოლოდ შვიდი გოლი - გულშემატკივართა ნაწილი ჰესკის თავდადებას აფასებდა, ნახევარი კი როგორც ცუდ ფორვარდს აკრიტიკებდა.

ჰესკის მხარდამჭერთა შორის ერთ-ერთი ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი **ჯონ ტერი** გახლავთ. ტერის ჰესკის ფეხბურთი იმდენად მოსწონს, რომ გასულ იანვარს, როდესაც ხმები დაირხა, თავდამსხმელმა შეიძლება „ვილა პარკი" დატოვოსო, „ჩელსის" შეფებს მის აყვანას ეხვეწებოდა. ძალიან მრავლისმეტყველი გახლდათ „ასტონ ვილას" კიდევ ერთი ფეხბურთელის **სტიუარტ დაუნინგის** ნათქვამი:

*„გადავხედოთ მის კარიერას და ვნახავთ, რომ ჰესკიმ ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში შესანიშნავი კარიერა გაიარა. ყველაფერს თავი დავანებოთ და იმ დიდი ვარსკვლავების კომენტარებს ჩავხედოთ, რომელთაც ეროვნულ გუნდში მის მხარდამხარ ოდესმე უთამაშიათ. არ არსებობს ვარსკვლავი, ემილი რომ არ შეექოს. ის ჩინებული ფეხბურთელი და კარგი ადამიანია. ვფიქრობ, მან სამხრეთ აფრიკაშიც კარგად ითამაშა და ამაში ძალიან ბევრი ადამიანი მეთანხმება. ის გუნდის სასარგებლოდ ყოველთვის ბევრს მუშაობდა. ეს, შესაძლოა, ფანებმა ვერ შეამჩნიონ, მაგრამ შეუძლებელია, ფეხბურთელების ყურადღების მიღმა დარჩენილიყო".*

ზემოთ ჰესკის მხარდამჭერები ვახსენეთ. მათი არგუმენტიც იგივეა - ჰესკი ძალიან ბევრს მუშაობდა და სასარგებლო იყო. მოჰყავთ ერთი თავისებური შედარებაც: **პიტერ ბერდსლიმ** ინგლისის ნაკრებში გატარებული ათი წლის განმავლობაში ხოლოდ და მხოლოდ 9 გოლი შეაგდო, მაგრამ მას მოწინააღმდეგეები არასდროს ჰყოლია - საოცარია: ჩვენ წინაშეა ერთი სტილი, თითქმის ერთნაირი შედეგი და ხალხის სხვადასხვანაირი დამოკიდებულება.

ჰესკის კრიტიკოსებს კი თავიანთ არგუმენტად **პიტერ კრაუჩი** მოჰყავთ. ისინი ამბობენ, რომ ფიზიკურად და ტაქტიკურად დაახლოებით იმავე მონაცემების მქონე კრაუჩს გაცილებით მეტი გოლის გატანა შეეძლო - კრაუჩს 40 შეხვედრაში ჰესკიზე სამჯერ მეტი აქვს გატანილი.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

სატრანსფერო ამბები

# ამბავი სერბთა და მანჩესტერელთა

„მანჩესტერ სიტი" შთამბეჭდავ საზაფხულო ვაჭრობას განაგრძობს: მან „ლაციოს" **ალექსანდრ კოლაროვში** 17 მილიონი ფუნტი ანუ 20,3 მილიონი ევრო შესთავაზა და იტალიიდან თანხმობა მიიღო. ასე და ამგვარად, სერბი მცველი ისტლენდელთა თავკაცის **რობერტო მანჩინის** მეოთხე შენაძენი გახდება. მანამდე მანჩინიმ ზუსტად ერთსა და იმავე ფასად შეიძინა **დავიდ სილვა** და **იაია ტურე** (28,7 მილიონი ევრო) და **ჯერომ ბოატენგი** (11,9 მილიონი ევრო). და სანამ „სიტი" ხარჯავს და ხარჯავს არაბ მეპატრონეთა მილიონებს, იმავე ქალაქის მეორე გუნდი „მანჩესტერ იუნაიტედი" კოლაროვის თანამემამულისა და ნაკრებში თანაგუნდელის **ნემანია ვიდიჩის** დაკარგვის პირასაა - ვიდიჩით სერიოზულად გახლავთ დაინტერესებული მადრიდის „რეალი".

„ლელოს" მკითხველს კარგად ეხსომება, რომ ვიდიჩის „ოლდ ტრეფორდიდან" წასვლაზე ჯერ კიდევ შარშანდლიდან ლაპარაკობდნენ. ამბობდნენ, რომ სერბი ფეხბურთელის მეუღლე მანჩესტერულ ცხოვრებასა და ზოგადად ქალაქს ვერანაირად ვერ შეჰგუებია და თვალი გაქცევაზე უჭირავს. და ვიდიჩების ოჯახს სწორედ ამ დროს მოუსწრო მადრიდულმა წინადადებამ - „რეალის" ახალ მწვრთნელ **ჟოზე მოურინიოს** ვიდიჩი სასურველ ფეხბურთელთა სიაში ერთ-ერთ პირველ ნომრად ჰყოლია შეყვანილი. მადრიდელთა პორტუგალიელ თავკაცს „სანტიაგო ბერნაბეუზე" უპირველეს ყოვლისა დაცვის გაძლიერება აქვს განზრახული და ამ გეგმაში ვიდიჩმა, შესაძლოა, დიდი ადგილი დაიკავოს.

ნიშანდობლივია, რომ ვიდიჩის აგენტმა **პაოლო ფაბრიმ** თავი შეიკავა იმის განცხადებისგან, რომ ვიდიჩი მომავალ სეზონშიც „მანჩესტერ იუნაიტედში" ითამაშებს. მან ჟურნალისტებთან ლაპარაკისას ცოტა ხნის წინ თქვა, რომ ყველაფერი მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გაირკვეოდა. ფაბრი: *„ჩვენ „მანჩესტერ იუნაიტედს" დრო ვთხოვეთ, ბევრი რამ გვაქვს მოსაფიქრებელი. ნემანიას დასვენება უნდა. ის ვარაუდობს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ყველაფერი გაირკვევა"*

და, აჰა, ჩემპიონატიც დასრულდა.

„რეალი" და „მანჩესტერი" კიდევ ასე ებმიან ერთმანეთს: „სიტის" გაუმართლა, რომ „რეალს" „ჩელსიდან" **ეშლი კოული** მიჰყავს. კოულის ტრანსფერი რომ არა, მადრიდელები კოლაროვის ყიდვას შეეცდებოდნენ და სერბი მაინც ისტლენდზე გადასვლას აირჩევდა თუ არა, კაცმა არ იცის.

მართალია, სერბეთის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფში გერმანიის, განისა და ავსტრალიის შემდეგ ბოლო ადგილი დაიკავა, კოლაროვმა მაინც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ის გახლავთ მაღალი და მძლავრი მცველი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ნახევარმცველობაც შეუძლია და შორეული დარტყმებითაც იპყრობს ყურადღებას - მას სერბი **რობერტო კარლოსიც** კი შეარქვეს. კოლაროვს შეტევაში ჩართვა უყვარს. იგი საერთაშორისო ასპარეზზე 2007 წლიდან გამოჩნდა, როდესაც 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა.



ალესანდრ კოლაროვი კარიერას მანჩესტერ სიტიში გააგრძელებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი

# დელ პიერომ ნერი გააკვირვა!

## იუვეს მწვრთნელი დიეგოს ცოტას კიდევ დააკვირდება



როგორი იქნება **ლუიჯი დელ ნერის** „იუვენტუსი“? ეს არის კითხვა, რომელიც გასულ სეზონში „ბებერი ქალბატონის“ გაწამებულ ფანებს აწუხებთ და რომელსაც ზუსტი პასუხი მანამდე არ გაეცემა, სანამ ახალი სეზონი არ დაიწყება. იქამდე კი, მხოლოდ ვარაუდებითა და იმ განცხადებებით თუ შემოვიფარგლებით, რაც აქამდე გაკეთდა ან სეზონის დაწყებამდე კიდევ გაკეთდება.

ახალი ის არის, რომ „იუვენტუსის“ ახალმა მწვრთნელმა ჩვენს იტალიელ კოლეგებთან რამდენიმე საინტერესო საკითხზე მაქსიმალურად ამომწურავად ისაუბრა და ჩვენც გადავწყვიტეთ, დელ ნერის განცხადებები გაგაცნოთ. ტურინული კლუბის დამრიგებელი ერთ რამეში უკვე დარწმუნდა: **დიეგო და ალესანდრო დელ პიერო** მოედანზე ერთად ვერ „მოძოვენ“. დელ ნერი ფაქტობრივად გამორიცხავს იმას, რომ ალექსმა და ბრაზილიელმა ძირითად შემადგენლობაში ერთად ითამაშონ, რადგან ორივე ერთნაირი ყაიდის ფეხბურთელია. ამასთან, დელ ნერიმ იტალიელ ჟურნალისტებს განუცხადა, დღესდღეობით დელ პიერო გაცილებით უკეთ გამოიყურება, ვიდრე დიეგოო, რაც ალბათ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დელ ნერი თანახმაა, ბრაზილიელ გამთამაშებელს შეელიოს, რაც, პრინციპში, მოსალოდნელიც იყო - ლუიჯის ტიპური ფლეიმეიკერები არ უყვარს.

ზოგადად, დელ ნერი კლასიკურ 4-4-2-ს ანიჭებს უპირატესობას, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ფორმაციის „იუვენტუსში“ დიეგოს ადგილი არ არის. მისგან განსხვავებით, დელ პიეროს მეორე ფორვარდის როლის შესრულება გაცილებით უკეთესად შეუძლია. პრინციპში, ალექსი მთელი კარიერის განმავლობაში მეორე თავდამსხმელი უფრო იყო, ვიდრე ტიპური გამთამაშებელი.

დიეგო „იუვენტუსში“ ერთი წლის წინ გადავიდა და შარშან ტურინელებმა „ვერდერს“ მის სანაცვლოდ 25 მილიონი ევრო გადაუხადეს. დიეგო „იუვენტუსისთვის“ ახალი მამოძრავებელი ძალა უნდა გამხდარიყო. ბევრი იმასაც ამბობდა, ბრაზილიელი „იუვესთვის“ ახალი **ზინედინ ზიდანი** უნდა იყოსო. „იუვეს“ ექსმწვრთნელმა **ჩირო ფერარამ** სპეციალურად დიეგოსთვის ტაქტიკური სქემაც კი შეცვალა და გუნდს ხან 4-2-3-1 განლაგებით ათამაშებდა, ხანაც 4-3-1-2-ით, მაგრამ ბრაზილიელმა „იუვენტუსში“, რომელსაც ისედაც კრიზისი ჰქონდა, თავისი თავი და ადგილი ვერ იპოვა. პირდაპირ ვთქვათ: დიეგომ „ბიანკონერის“ ქომაგებს იმედები გაუცრუა. ახლა კი, გუნდს დელ ნერი წვრთნის, რომლის საყვარელი სქემა კლასიკური 4-4-2-ია და ეს სპეციალისტი უპირატესობას ფლანგებიდან იერიშებს ანიჭებს. თანაც, დელ ნერი ზუსტად ის მწვრთნელია, ვინც თავის დროზე, დიეგო „პორტუდან“ (ამავე მიზეზით) „ვერდერში“ გაუშვა.

### დიეგო მეორე ფორვარდად?

ამიტომაცაა, რომ იტალიელი მიმომხილველები დიეგოს წასვლაში დარწმუნებულები არიან. ზოგი გაზეთი წერს, რომ ტურინელებმა 25 წლის ბრაზილიელი ტრანსფერზე დააყენეს, ზოგიც იტყობინება, რომ დელ ნერი დიეგოს შენარჩუნებაზე ფიქრობს და უნდა, რომ ის მეორე თავდამსხმელად ათამაშოს. გუშინწინ „იუვემ“ ამხანაგური მატჩი გამართა „ალ ნასრთან“, რომელიც ტურინელებმა 5:0 მოიგეს. დელ ნერიმ გუნდი, რა თქმა უნდა, 4-4-2 სქემით ათამაშა, ძირითად შემადგენლობაში დელ პიერო და **კარვალიო ამაური** გაამწესა, დიეგო კი თამაშში მეორე ტაიმში სწორედ მეორე ფორვარდად (დელ პიეროს ნაცვლად) ჩართო, რაც იმას ნიშნავს, რომ დელ ნერი ბრაზილიელს ამ როლისთვის მართლაც აკვირდება. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ხუთიდან სამი გოლი **დავიდ ტრეზეგემ** (ამაურის ნაცვლად შევიდა) გაიტანა, ერთი გოლი ამაურიმ მიითვალა, ერთი კი **პასკუატომ**.

*„არ მინდა ვთქვა, რომ დელ პიეროსა და დიეგოს შორის განსაკუთრებული კონკურენცია მსურს. კარგ ფორმაში მყოფი დელ პიერო „იუვენტუსში“ ყოველთვის შეუცვლელი და უალტერნატივო ფიგურაა. უბრალოდ, ვფიქრობ, რომ ეს ორი ფეხბურთელი მოედანზე ერთად ვერ ითამაშებს, - თქვა დელ ნერიმ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე. - მინდა ისიც აღვნიშნო, რომ დელ პიერომ სასიამოვნოდ გამაოცა. ალექსი უდიდესი მონდომებით ვარჯიშობს და თუ ასე გააგრძელებს, ყოველთვის სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებს“.*



ალესანდრო დელ პიერო ახალი სეზონისთვის გულმოდგინედ ემზადება

### დელ ნერის ტრეზეგე სჭირდება

ამასთან, 59 წლის დელ ნერი შეგირდებისგან მაქსიმალურ თავდადებას ითხოვს, რათა აღარასოდეს განმეორდეს ის, რაც „იუვენტუსს“ გასულ სეზონში დაემართა.

*„გუნდი აბსოლუტურად ყველა ასპექტში უნდა გაძლიერდეს. თუ მოვინდომებთ, „იუვეს“ მომავალ სეზონში კარგი შედეგები ექნება, თუ არა და, იქვე დავრჩებით, სადაც ახლა ვართ, - თქვა დელ ნერიმ და იქვე, დავიდ ტრეზეგეს საკითხსაც შეეხო, - ტრეზეგეს შესაძლებლობებში ეჭვი არასდროს შემპარვია. მიხარია, რომ დავიდი ძალიან თავდაუზოგავად შრომობს და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ძველებურად ათამაშდეს. მან დღესაც დაამტკიცა, რომ საგოლე მანქანაა. მის გასხვისებაზე აქამდეც არ ვფიქრობდი და ახლა ხომ მით უმეტეს არ ვფიქრობ. ტრეზეგე მჭირდება!“*

შეგახსენებთ, რომ ბოლო დღეებში გავრცელებული ცნობების თანახმად, ტრეზეგეს „ნაპოლიში“ ეპატიჟებიან. ჟურნალისტებმა დელ ნერის, რა თქმა უნდა, **ედინ ჯეკოზე** და **დიეგო ფორლანზეც** ჰკითხეს. როგორც იცით, „იუვენტუსის“ შეფები ორივე ფორვარდს უმიზნებენ. ტურინელთა თავკაცმა ჯეკო და ფორლანი შეაქო და დიპლომატიურად თქვა, სანამ ტრანსფერი არ გადაწყდება, ასეთ საკითხებზე წინასწარ საუბარი არ მიყვარსო.

დაბოლოს, „იუვენტუსის“ ფეხბურთელები ახალი სეზონისთვის დაინომრნენ. ბევრ სიურპრიზს არ ველოდით და არც მომხდარა, საინტერესო ის არის, რომ ახალგაზრდა **სებასტიან ჯოვინკო** მომავალ სეზონში 20-ის ნაცვლად, 14-ნომრიანი მაისურით ითამაშებს, ძვირფასმა შენაძენმა, ცენტრალურმა მცველმა **ლეონარდო ბონუჩიმ** მე-19 ნომერი აიღო. კიდევ ერთი ახალწვეული, **სიმონე პეპე** კი „იუვეში“ 23-ე ნომერი იქნება.

„ბებერი ქალბატონის“ შემადგენლობა დღეისათვის ასე გამოიყურება:

**1. ბუფონი, 2. მოტა, 3. კიელინი, 4. ფელიპე მელო, 5. სისოკო, 6. გროსო, 7. სალიჰამიჯიჩი, 8. მარკიზიო, 9. იაკუინტა, 10. დელ პიერო, 11. ამაური, 13. მანინგერი, 14. ჯოვინკო, 15. ძებინა, 16. კამორანეზი, 17. ტრეზეგე, 18. პოულსენი, 19. ბონუჩი, 20. ლანძაფამე, 21. გრიგერა, 23. პეპე, 24. პასკუატო, 25. მარტინესი, 27. ეკდალი, 28. დიეგო, 29. დე ჩელიე, 30. ტიაგო, 31. კოსტანტინო, 32. სტორარი, 33. ლეგროტალიე, 34. ალჩიბიადე, 39. მარონე.**



ჰოლანდიის ნაკრები მუნდიალზე ხისტი ფეხბურთით გამოირჩა

ჰოლანდია მუნდიალის შემდეგ

# როცა სტილს მნიშვნელობა აღარ აქვს

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ფინალში დამარცხებული ჰოლანდია გაუცხოებას განიცდის. მუნდიალზე საბოლოოდ დადასტურდა ის, რაც **ბერტ ვან მარვიიკის** გუნდს შესარჩევ ციკლშიც ეტყობოდა – ჰოლანდიის ნაკრები არაჰოლანდიურ ფეხბურთს თამაშობს. მიუხედავად ამისა, „ნარინჯისფრები“ ძალიან ახლოს იყვნენ მიზანთან, რომელსაც ჰოლანდიური ფეხბურთის სამი უდიდესი თაობა ვერ შესწვდა: **კრუიფის, ვან ბასტენის და ბერგკამპის...**

ამ საკითხზე დიდი დისკუსია ფინალამდე ორი დღით ადრე, ჰოლანდიური ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდა **იოჰან კრუიფმა** წამოიწყო, რომელმაც, როგორც სჩვევია, ყველასდა გასაკვირად თქვა, თუ ესპანეთისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდების დღევანდელ სტილს ავილებთ, მე ესპანეთის ნაკრებთან უფრო ბევრი რამ მაკავშირებს, ვიდრე ჩვენს გუნდთანო.

*„მართალია, მე ჰოლანდიელი ვარ და შესაბამისად, ამას ალბათ არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ესპანეთის ნაკრების მიერ ნაჩვენები ფეხბურთი უფრო მომწონს,“* - აღიარა კრუიფმა.

„ტოტალურ ფეხბურთზე“ ლაპარაკი, რომლითაც კრუიფის თაობამ 70-იან წლებში მსოფლიო მოაჯადოვა, ისედაც ზედმეტი იყო. ჰოლანდიის ნაკრები მსოფლიოს სამგზის ვიცე-ჩემპიონია და კრუიფისა და კომპანიის შემდეგ, „ნარინჯისფრებმა“ ისეთივე წარმატებას სულ სხვა, ჰოლანდიელი ქომაგების უმრავლესობისთვის მიულებელი ფეხბურთით მიაღწიეს და ამასაც არ სჯერდებოდნენ - ფინალის მოგებით კრუიფისა და „ტოტალური ფეხბურთის“ სამუდამოდ დავიწყებისთვის მიცემა სურდათ.

ისე გამოვიდა, რომ ვან მარვიიკის შეგირდებმა **მარკ ვან ბომელის** მოწოდება პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს, მარკმა კი თქვა: *„ჩვენ ესპანელების ნახევარდაცვა უნდა დავანგრიოთ, მოედნის ცენტრი მათი ნახევარმცველებისგან უნდა გავწმინდოთ.“*

თვითონ ვან ბომელი ყველა მატჩში მხოლოდ მოედნის ცენტრის „წმენდითაა“ ხოლმე დაკავებული, სიცოცხლე განსაკუთრებით ნახევარფინალში, ურუგვაის ნაკრების ნახევარმცველებს გაუმწარა და მათ ანატომიურ გამძლეობას სერიოზული გამოცდა მოუწყო. ვან ბომელისგან ეს არავის უკვირს, მაგრამ ფინალში აშკარად ნამეტანი იყო ის, რომ თვით ჰოლანდიელთა ყველაზე რბილი და უწყინარი მოთამაშე **რობინ ვან პერსიც** კი უხეშობდა. და როცა **ნაიჯელ დე იონგმა ჩაბი ალონსოს** ფეხით კინაღამ მკერდი გაუნგრია, ხალხს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ჰოლანდიელებს უძველესი ომის ანგარიში ჰქონდათ გასასწორებელი. ეს ომი კი მე-17 საუკუნეში შედგა, რომლის შესახებაც ჰოლანდიის ჰიმნში დღესაც მღერიან...

ჰოლანდიაში კი მოსაზრებების ომი ჯერ კიდევ ჯგუფური ეტაპის მიწურულს დაიწყო, როცა ექსპერტების საკმაოდ დიდი ნაწილი ვან მარვიიკის გუნდს დანიასთან და იაპონიასთან ულამაზო გამარჯვებების გამო აკრიტიკებდა. ყველაზე აგრესიული კრიტიკოსები კი ვან მარვიიკს წარსულის უპატივცემლობასა და ფეხბურთის თამაშის ჰოლანდიური სტილის უარყოფაში ადანაშაულებდნენ. მაგრამ მერე და მერე, როცა ჰოლანდიამ მერვედფინალი და მეოთხედფინალიც გადალახა, კრიტიკულად განწყობილი ექსპერტები იძულებულები გახდნენ, გაჩუმებულიყვნენ, რადგან შედეგი მაინც ყველგან და ყოველთვის ყველაფერზე მაღლა დგას. ბრაზილიის ნაკრების დამარცხებას კი ფაქტობრივად მთელი ჰოლანდიის გაერთიანება მოჰყვა. ქვეყანაში ირწმუნეს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, განსაკუთრებით კი ჰოლანდიისთვის დამახასიათებელ ფეხბურთზე უარის თქმისა, მსოფლიოს ჩემპიონობა მართლაც რეალური იყო. სწორედ ბრაზილიასთან მატჩის შემდეგ გაბედა ვან მარვიიკმა, ეთქვა, სტილს მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი შედეგიაო.

შედეგი ყველგან და ყოველთვის ყველაზე მთავარია, მაგრამ ჰოლანდიისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ფინალსაც იგებ და მსოფლიოს ჩემპიონი ხდები. ჰოლანდიის ნაკრები კი, რომელსაც ჰყავდა კრუიფის თაობა და შექმნა „ტოტალური ფეხბურთი“, ჰყავდა ვან ბასტენის თაობა და ჰყავდა დენის ბერგკამპის გენერაცია (**დავიდსი, კლუივერტი, ზეედორფი, ოვერმარსი, დე ბურები და ა.შ**), პრაგმატული ფეხბურთითაც ვერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

პორტრეტი

# პოლონელი ფერნანდო ტორესი

## რობერტ ლევანდოვსკი პოლონური ფეხბურთის იმედი და დორტმუნდის ფანების ახალი კერპია

ბევრი ინვალა თუ ცოტა, დორტმუნდის „ბორუსიამ" შეძლო და ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, პოლონელი თავდამსხმელი **რობერტ ლევანდოვსკი** იყიდა. დორტმუნდელებს 21 წლის ნიჭიერი ფორვარდი 4.5 მილიონი ევრო დაუჯდათ და ლევანდოვსკი უკვე „შავ-ყვითლებში" ვარჯიშობს. დორტმუნდსა და პოლონეთში, ლევანდოვსკიზე უდიდეს იმედებს ამყარებენ და ჩვენც გადავწყვიტეთ, თავდამსხმელი, რომლის გამოც „ბორუსიამ" უდიდესი და რაც მთავარია, ხანგრძლივი ომი გადაიტანა, ახლოს გაგაცნოთ.

ზუსტად ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დორტმუნდულმა კლუბმა 2008/2009 წლების სეზონის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, ფანების უსაყვარლესი თავდამსხმელი **მლადენ პეტრიჩი** „ჰამბურგს" ცუდ ფორმაში მყოფ **მოჰამედ ზიდანში** გაუცვალა. მართალია, დორტმუნდელებმა იმ ტრანსფერში ფინანსური სარგებელიც ნახეს, მაგრამ გარიგებამ „ბორუსიას" ერთგული ქომაგების აღშფოთება გამოიწვია. ტრანსფერი თვითონ პეტრიჩის სურვილი იყო, თორემ დორტმუნდელები მას არაფრისდიდებით არ დათმობდნენ. შესაბამისად, ქომაგები ხორვატ თავდამსხმელზე ძალიან გაბრაზდნენ, მის ნაცვლად მოსულ ზიდანს კი, მიუხედავად იმისა, რომ მას BVB-ს თავკაც **იურგენ კლოპთან** ჩინებული ურთიერთობა ექნებოდა (ისინი ერთმანეთს „მაინციდან" იცნობდნენ), ძალიან სკეპტიკურად უყურებდნენ.

ტრანსფერიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ანუ დღეიდან ერთი წლის წინ, დორტმუნდში ისტორია განმეორდა: „ბორუსიამ" **ალექსანდერ ფრაის** სახით ფანების კიდევ ერთი საყვარელი თავდამსხმელი გაყიდა და მის ნაცვლად ყველასათვის უცნობი **ლუკას ბარიოსი** შეიძინა. ქომაგები კიდევ ერთხელ აღშფოთდნენ, რადგან არავინ იცოდა, გაამართლებდა თუ არა ბარიოსი იმედებს - მას ევროპაში ხომ ერთი მატჩიც არ ჰქონდა ჩატარებული. მაგრამ ზიდანისგან განსხვავებით, ბარიოსი ძალიან მალე გახდა ფანების კერპი, რადგან ადაპტაციისთვის დიდი დრო არ დასჭირდა და ფორვარდის უშუალო მოვალეობასაც იდეალურად გაართვა თავი - გასულ სეზონში 19 გოლის ავტორი გახდა. შესაბამისად, დორტმუნდში დღეს ფრაიზე აღარავინ ფიქრობს და აღარც პეტრიჩი ახსოვს ვინმეს.

ამ ორი წლის განმავლობაში, რაც „ბორუსიას" ერთ-ერთი საუკეთესო გერმანელი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** თავკაცობს, დორტმუნდული კლუბის პროგრესი აშკარაა. შარშან „ბორუსიას" ძალიან ცოტა დააკლდა ევროპის ლიგამდე, წელს კი ამ ევროტურნირის საგზური მოიპოვა და მომავალ სეზონში გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას აპირებს. სწორედ ამიტომ არ იკმარა კლოპმა ბარიოსის სახით მხოლოდ ერთი მაღალი კლასის ცენტრფორვარდი და ხელმძღვანელებს ყველაფერი გააკეთებინა საიმისოდ, რომ მათ **რობერტ ლევანდოვსკი** ეყიდათ.

ზოგადად, „ბორუსიამ" ფინანსური მდგომარეობა იმდენად გააუმჯობესა, რომ წელს ხანგრძლივი პაუზის შემდეგ პირველად ხდება ისე, რომ კლუბი ყიდულობს ახალ, კარგ ფეხბურთელს ისე, რომ სხვა მოთამაშეს არ ყიდის. ვესტფალელებმა ლევანდოვსკის ყოფილ გუნდ „ლეხს" 4.5 მილიონი ევრო გადაუხადეს.

და მაინც: ვინ არის რობერტ ლევანდოვსკი და რა როლი ექნება მას კლოპის გუნდში?

21 წლის პოლონელ ფორვარდზე ბევრი არაფერია ცნობილი, რადგან პოლონური ფეხბურთი ველარ არის ისეთ დონეზე, როგორზეც თუნდაც 4 წლის წინ იყო. მიუხედავად ამისა, ან შეიძლება სწორედ ამის გამოც გაუჭირდა დორტმუნდულ კლუბს ამ ტრანსფერის გაჩარხვა. „ბორუსიას" ლევანდოვსკის შეძენა ერთი წლის წინაც სურდა, მაგრამ მაშინ რობერტი 20 წლის იყო და კლოპმაც თქვა, უმჯობესია, „ლეხში" კიდევ ერთი წელი დარჩესო და ტრანსფერი ერთი წლით გადადო.

### 68 გოლი 117 მატჩში

კლოპის გადაწყვეტილება სწორი აღმოჩნდა, რადგან ლევანდოვსკისთვის გასული სეზონი საუკეთესო იყო მის კარიერაში. რობერტი „ლეხთან" ერთად პოლონეთის ჩემპიონი და საუკეთესო ბომბარდირი (18 გოლით) გახდა. ამასთან, ის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს. დაგვეთანხმებით, ამაზე მეტის მიღწევა ახალგაზრდა ფორვარდისთვის შეუძლებელი იყო.

*„15-20 წელია, რაც პოლონურ ფეხბურთს ასეთი ტალანტი არ ჰყოლია. 21 წლის ასაკში მას პოლონეთში უკვე ყველაფრისთვის მიღწეული აქვს და შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომდევნო ნაბიჯისთვის უკვე მზად არის. პოლონეთში ამაზე მეტს ვერაფერს გააკეთებდა, რობერტს ახალი მოტივაცია სჭირდებოდა,"* - აცხადებს ყოფილი ფეხბურთელი **ტომაშ სობოჩიკი**.

ლევანდოვსკი ბოლო სამ წელიწადში ყოველთვის საუკეთესო ბომბარდირი ხდებოდა: ჯერ მესამე ლიგაში, მერე მეორეში, ბოლოს კი პოლონეთის უმაღლესი ლიგაც დაიპყრო. საერთო ჯამში, 117 მატჩში მის ანგარიშზე 68 გოლია.

*„ვარშავის „ლეგიამ" ოთხი წლის წინ ლევანდოვსკი დაიწუნა და გუნდიდან გაუშვა. კლუბის შეფებმა თქვეს, ეს ფეხბურთელი არასაკმარისად კარგია იმისათვის, რომ „ლეგიაში" ითამაშოსო,"* - ეს კი ლევანდოვსკის აგენტის, **ჩეზარი კუხარსკის** სიტყვებია.

სხვათა შორის, ეს უკანასკნელი, რომელიც ყოფილი თავდამსხმელია, ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რის გამოც ლევანდოვსკის „დორტმუნდში" გადაყვანა ძალიან გართულდა. „ბორუსია" თვითონ ფეხბურთელს თავიდანვე შეუთანხმდა, კლუბთან და კუხარსკისთან მოლაპარაკებები კი ძალიან გაეწელა.

*„რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, პოლონურ ფეხბურთში ძვირფასი ტრანსფერის განხორციელება დღესაც კი არ არის იოლი. „ბორუსიას" შეფებს უნდა სცოდნოდათ, რომ პოლონეთში ისე არ უნდა ემოქმედათ, როგორც გერმანიაში მოქმედებდნენ. არ ვიცი, როგორ იყო რობერტის შემთხვევაში, მაგრამ ტრანსფერების უმრავლესობის გაჩარხვისას, ფეხბურთელებს იმდენი და ისეთი „ნაცნობები" გამოუჩნდებიან ხოლმე, რომ მსურველი გუნდის ბოსები ჭკუიდან შეიშლებიან. ამ ადამიანებს უნდათ, რომ ერთ ფეხბურთელის წინსვლით მთელი ცხოვრების განმავლობაში იხეირონ,"* - ამბობს სობოჩიკი.

როდესაც ტრანსფერი საბოლოოდ გადაწყდა, BVB-ს მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** თქვა, ეს იყო ყველაზე რთული ტრანსფერი, რაც კი ოდესმე გამიჩარხავსო.

### სასწაულებს ჯერ ნუ მოსთხოვთ!

მაგრამ მოლაპარაკებებთან დაკავშირებული სირთულეები წარსულს ჩაბარდა და უკვე ორი კვირაა, რაც ლევანდოვსკი „დორტმუნდში" ვარჯიშობს. პირველივე ამხანაგურ მატჩში, ბეცირკსლიგის ერთ-ერთ გუნდს 20 წუთში სამი გოლი გაუტანა და „ბორუსიას" ბოსებმა პირველად მაშინ იყნოსეს, თუ რაოდენ კარგი თავდამსხმელის ყიდვა შეძლეს. სამშაბათს, მოედანზე შესვლიდან ზუსტად სამ წუთში, „შპორტფროინდე ლოტეს" გოლი უკვე „მაკრატელათი" გაუტანა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლევანდოვსკი ბუნდესლიგაშიც (პირველივე სეზონში) აუცილებლად ბევრ გოლს გაიტანს. მართალია, პოლონელ ფეხბურთელებს ფეხბურთის თამაშის გერმანულ სტილთან შეგუება არ უჭირთ ხოლმე, მაგრამ მაინც.

ახალი ქვეყანა, ახალი გარემო, ახალი გუნდი - „დორტმუნდის" სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა** ლევანდოვსკის წარდგენისას განაცხადა, ძალიან გთხოვთ, ამ ბიჭს პირველივე სეზონში სასწაულებს ნუ მოსთხოვთო.

*„რობერტი ორივე ფეხით ძალიან კარგად თამაშობს და მოედანზე თავისუფლება უყვარს. ის ხშირად გადადის ფლანგებზე, ეძებს მეტოქის კარისკენ მისასვლელ გზებს. მოედანზე ყოფნისას არასდროს არ არის ცუდ ხასიათზე, არ უყვარს უხეშობა. დარწმუნებული ვარ, არც ბუნდესლიგასთან შეგუება გაუჭირდება,"* - ამბობს სობოჩიკი.



ფეხბურთელი, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ: რობერტ ლევანდოვსკი

ფაქტია, რომ ლევანდოვსკის ბუნდესლიგასთან და ზოგადად გერმანიასთან შეგუებას ძალიან გაუადვილებენ ის პოლონელი ფეხბურთელები, რომლებიც რობერტს „ბორუსიაში" დახვდებიან. **იაკუბ ბლაშჩიკოვსკი** „დორტმუნდის" ღირსებას დიდი ხანია, იცავს. ამავე ზაფხულს „ბორუსიამ" კიდევ ერთი სტაჟიანი ბუნდესლიგელი პოლონელი **ლუკაშ პიეჩეკიც** (ჰერტადან) გადაიბირა.

*„რობერტი სრულყოფილი თავდამსხმელია. გოლები გააქვს როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ფეხით და თავითაც ძალიან კარგად თამაშობს. ლევანდოვსკი საკმაოდ ტექნიკურია და აქვს ჩინებული საგოლე ალღო. წინა ხაზში მას ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. ვიცი, რომ გასაოცარ რამეს ვამბობ, მაგრამ ფაქტია, რომ ლევანდოვსკი ესპანელ ფერნანდო ტორესს მაგონებს. პოლონეთში თავს ყველაზე კარგად ტიპური ცენტრფორვარდის უკან, ანუ გამთამაშებლის პოზიციაზე გრძნობდა,"* - ასე ახასიათებს ლევანდოვსკის სობოჩიკი.

კლოპს ჯერ არ გადაუწყვეტია, ზუსტად რა პოზიციაზე უნდა ათამაშოს ახალწვეული. ფაქტია, რომ კლოპი „ბორუსიას" მომავალ სეზონშიც უმეტესად 4-2-3-1 ტაქტიკური სქემით ათამაშებს და დიდი შანსია, რომ თავიდან ლევანდოვსკიმ ზიდანის ადგილი დაიკავოს. ამ შემთხვევაში ის სამი შემტევი ნახევარმცველიდან ცენტრალური იქნება და ცენტრფორვარდ **ლუკას ბარიოსის** უკან გამწესდება. გამორიცხული არც ისაა, რომ კლოპმა ტაქტიკა შეცვალოს და მომავალ სეზონში გუნდი უმეტესად ორი ცენტრფორვარდით ათამაშოს. ამ შემთხვევაში კი, ლევანდოვსკის ბარიოსის გვერდით ვიხილავთ ხოლმე.

რა პოზიციაზე, როგორ და როდის ითამაშებს რობერტ ლევანდოვსკი, ამას დრო გვიჩვენებს. ერთი რამ კი ამთავითვე ცხადია: თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, „პოლონელ ტორესს" დორტმუნდის „ბორუსიას" ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აქვს.


ფელიქს მაგათმა (მარცხნივ) კლემენს ტიონისი დაარწმუნა, რომ შალკეს ახალი ფეხბურთელები სჭირდება

შალკე

# მაგათმა თავისი გაიტანა!

## ფელიქსს ტრანსფერებისთვის 30 მილიონი გამოუყვეს

„შალკეს" მთავარმა მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** ბევრი იბრძოლა თუ ცოტა, თავისას მაინც მიაღწია და ახლა მას უკვე აქვს იმის ფული, რომ სასურველი ტრანსფერები განახორციელოს. „დესპოტი ფელიქსი" ამისათვის კლუბის ხელმძღვანელებთან გულმოდგინედ იბრძოდა, შეფები კი ეუბნებოდნენ, რომ ზაფხულის სატრანსფერო სეზონზე ხელმომჭირნე უნდა ყოფილიყო, რადგან „შალკე" ისედაც ვალებში იხრჩობა.

გუშინწინ ფელიქსი და მისი მარჯვენა ხელი **ჰორსტ ჰელდტი**, რომელიც მაგათმა „შტუტგარტიდან" წაიყვანა და „შალკეს" მენეჯერად დანიშნა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კლემენს ტიონისს** რამდენიმე საათის განმავლობაში ესაუბრებოდნენ და საბოლოოდ მაინც დაარწმუნეს იმაში, რომ თუ გუნდს მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა უნდა, ტრანსფერებისთვის ფული ახლავე უნდა გამოიყოს და არა მას მერე, რაც გელზენკირხენული კლუბი რამდენიმე ფეხბურთელს გაყიდის. შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ მაგათი ახალი მოთამაშეების შესაძენად 30 მილიონ ევროს მიიღებს და უკვე შეუძლია, იმოქმედოს.

მაგათი 30 მილიონს ნამდვილად იმსახურებდა, რადგან ეს ის თანხაა, რომელიც „შალკეს" უკვე გარანტირებული აქვს იმის გამო, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზური მოიპოვა. ტიონისი ამბობდა, რომ გელზენკირხენელებს ფული უნდა დაეზოგათ, მაგრამ მაგათმა მას მყარი არგუმენტები წაუყენა: თუ ინვესტიცია არ იქნება, გუნდს ვერ გავაძლიერებთ და ვერც იმის გარანტიას მოგცემთ, რომ „შალკე" მომავალ სეზონში მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებსო. მაგათის აზრით, ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ სპორტული წარმატებებითაა შესაძლებელი.

### კურანის ოარო შეცვლის?

უდავოა, „შალკეს" გაძლიერება პირველ რიგში შეტევაში სჭირდება. როგორც იცით, გუნდი დატოვა **კევინ კურანიმ** (მოსკოვის „დინამოში" გადავიდა), რის შემდეგაც „შალკემ" მხოლოდ ერთი თავდამსხმელი გადაიბირა – **ერიკ იენდრიშეკი** „კაიზერსლაუტერნიდან". მაგრამ მაგათი მარტო ამ უკანასკნელის იმედზე ვერ იქნება. ცნობილია, რომ „დესპოტი ფელიქსი" მადრიდის „რეალის" თავდამსხმელის, **რაულის** პასუხს ელოდება და დიდია იმის შანსი, რომ გონსალეს ბლანკო **ლევან ყენიას** თანაგუნდელი გახდეს. მასთან ერთად, მაგათს პსჟ-ს ცენტრფორვარდის, 26 წლის **გიიომ ოაროს** გადაბირებაც სურს. მეტიც: „კიკერის" ცნობით, ეს უკანასკნელი ფელიქსის სასურველ ფეხბურთელთა სიაში პირველ ადგილზეა. 1.92 მეტრი სიმაღლის ცენტრფორვარდი ზუსტად ისეთი ფეხბურთელია, როგორიც მაგათს თავდასხმაში სჭირდება, მაგრამ მას ფრანგულ კლუბთან კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს და ცნობილია, რომ პარიზული კლუბი მის სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს ითხოვს.

ამასთან, მაგათს აუცილებლად სჭირდება მაღალი კლასის გამთამაშებელი. მაგათს ჰყავს **ივან რაკიტიჩი, ალექსანდერ ბაუმიოჰანი** და ლევან ყენია, მაგრამ ჩემპიონთა ლიგისთვის უკვე შემდგარი, ჩამოყალიბებული ფლეიმეიკერის ყიდვა უნდა. ყენია ჯერ კიდევ ლაზარეთშია, რაკიტიჩმა ამ პოზიციაზე იმედები ვერ გაამართლა და მაგათი მას უმეტესად საყრდენ ნახევარმცველად ათამაშებს ხოლმე. ფელიქსი ბოლომდე ვერც ბაუმიოჰანს ენდობა. ჯერ კიდევ არის იმის შანსი, რომ „შალკემ" „ვოლფსბურგიდან" **ზვიეზდან მიშიმოვიჩი** გადაიბიროს, რომელსაც მაგათი დიდ პატივს სცემს, მაგრამ ამ უკანასკნელს კიდევ არაერთი შეთავაზება აქვს და არ მალავს, რომ გერმანიიდან წასვლა უნდა. მიშიმოვიჩთან ერთად, „შალკეს" სამიზნეშია „ეინდჰოვენის" 24 წლის შემტევი ნახევარმცველი **იბრაჰიმ აფელაიც**.

### შალკეს მარცხენა მცველიც სჭირდება

„შალკეს" შემტევი ყაიდის მარცხენა მცველიც სჭირდება, რადგან **კრისტიან პანდერი** მუდმივად ტრავმირებულია, დიდი ხანია, ფეხბურთი არ უთამაშია. „შალკე" გუშინ ავსტრიაში გაემგზავრა, სადაც მოსამზადებელ შეკრებას გაივლის და პანდერი გუნდს ვერ გაჰყვა. „კიკერის" ცნობით, მაგათი გენუის „სამპდორიას" მარცხენა მცველ **რეტო ციგლერს** უმიზნებს და თუ არაფერი გამოუვიდა, აქცენტს „ვოლფსბურგის" მარცხენა მცველ **მარსელ შეფერზე** გააკეთებს.

ერთი სიტყვით, მაგათს ფული გამოუყვეს და უახლოეს მომავალში, სატრანსფერო ბაზარზე „შალკეს" გააქტიურებას უნდა ველოდოთ.

გვერდი მოამზადა

**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპარლამენტო კომიტეტში



# პროექტი მზადაა, გამოითქვა შენიშვნები

გუშინ საქართველოს პარლამენტში გაიმართა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის (თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე**) და სპორტის ექსპერტთა საბჭოს (თავმჯდომარე **ვაჟა შუბლაძე**) შეხვედრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ხელმძღვანელობასთან. კომიტეტში იმსჯელეს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისა და სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების საკითხებზე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორმა **ნათია ჯოხაძემ** კომიტეტთან არსებული სპორტის ექსპერტთა საბჭოს წევრებს სამინისტროს მიერ მომზადებული სკოლებში სპორტისა და ფიზიკური განათლების პილოტური პროექტი გააცნო. მომხსენებლის ინფორმაციით, სახელმწიფო სკოლების სასპორტო ინფრასტრუქტურის კვლევის პირველი შედეგების თანახმად, სპორტული მოედნებით აღჭურვილია სკოლების 77,6%, სპორტული დარბაზით - 65,8%. გაცილებით უარესი მდგომარეობაა საცურაო აუზების თვალსაზრისით. მისი თქმით, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება პედაგოგთა კვალიფიკაცია. 4176 მასწავლებლიდან მხოლოდ 1637-ია ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი. დღეისთვის მუშაობენ ფიზიკური აღზრდის სწავლების სტანდარტების გაუმჯობესებაზე, შექმნილია საათობრივი ბადის პროექტი, რომლის მიხედვით, ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს კვირაში ორი საათი დაეთმობა. სკოლებს უფლება ეძლევათ, სპორტის სათამაშო სახეობები რეგიონის თავისებურებებისა და ტრადიციების, ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით შეარჩიონ. პილოტური პროექტის განხორციელება სექტემბრიდან იგეგმება. სპორტის ექსპერტთა საბჭოს წევრებმა წარმოდგენილ პროექტზე საკუთარი შეხედულებები გამოთქვეს და გარკვეული წინადადებები წარმოადგინეს. პროექტის განხორციელებაში სამინისტროს წარმომადგენლებს თავის მხრივ დახმარება აღუთქვა გიორგი ასანიძემ.

**ლელოს კორ.**

ტყვიის სროლა

შეკრება მოსკოვში

# გაურკვეველი მოლოდინი დამთავრდა

როგორც იქნა, გაურკვეველი მოლოდინი დამთავრდა და ჩვენი ტყვიის მსროლელები ნუხელ მოსკოვში გაფრინდნენ შეკრებაზე. შეგახსენებთ წინაისტორიას - ერთობლივი ვარჯიშების ჩატარების იდეა რუსეთის სროლის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტ **ვლადიმირ ლისინს** ეკუთვნის, რომელიც, პარალელურად, ევროპის რეგიონულ კონფედერაციასაც ხელმძღვანელობს. ჩვენებს მასპინძელთა გაურკვეველი ხუშტურების გამო ზუსტად იმ პერიოდში ერევანში დაგეგმილი შეკრება ჩაეშალათ და ეს წინადადება სულზე მისწრება აღმოჩნდა. რუსეთისნაირ ძლიერ გუნდთან ვარჯიში ხომ ნებისმიერისთვის ფრიად სასარგებლოა, არათუ ჩვენებისთვის - აქ ხომ საშეკრებო ხალხი თითზე ჩამოსათვლელია. ფედერაციამ იქ ნასასვლელი ფულიც დროულად გამოძებნა, მაგრამ ვიზების საკითხი იმთავითვე საეჭვო ჩანდა. მოლოდინი გამართლდა - რუსული ფედერაცია ბევრს კი ცდილობდა პრობლემის დროულად მოგვარებას, მაგრამ საქმე მაინც შეყოვნდა. შედეგად, ჩვენებს 14 ივლისს გაფრენა გადაედოთ, მაგრამ მხოლოდ ორი დღით.

მოსკოვში სამნი გაემგზავრნენ - მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე, ლევან ქადაგიძე** და მწვრთნელი **ვახტანგ სალუქვაძე**. ისინი იქ 25 ივლისის ჩათვლით დარჩებიან, 26-ში სამშობლოში დაბრუნდებიან, 29-ში კი მიუნხენში გაემგზავრებიან მსოფლიოს 50-ე ჩემპიონატზე. მოსკოვური შეკრებაც ამ პრესტიჟული ტურნირისთვის მზადებას ისახავს მიზნად.

პლანეტის პირველობა, რომელიც სპორტის ამ სახეობაში ოლიმპიური ფორმატით, ანუ ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება, 30 ივლისს იწყება და 11 აგვისტომდე გასტანს. იქ ამ თბილისურ სამეულს ქუთაისელი **ნინო ფანჩულიძეც** დაემატება, რომელიც ახალგაზრდა გოგონათა ტურნირში ისვრის - მხოლოდ პნევმატურიდან, უფროსები კი სპორტულშიც მოსინჯავენ ძალებს. ჩვენი გუნდის მთავარი იმედი - ნინო სალუქვაძე 8 და 9 აგვისტოს დადგება ცეცხლის ხაზზე.

მსოფლიოს პირველობა, ტრადიციულად, სალიცენზიოა. მეტიც - სალიცენზიო მარათონი ამ შეჯიბრებით იწყება. მიუნხენში ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის საგზურებს პნევმატურშიც და სპორტული პისტოლეტით სროლაშიც ხუთ-ხუთი საუკეთესო მსროლელი მიიღებს, დანარჩენებს კი შანსი 2011-12 წლებში გასამართ მსოფლიოს თასის ეტაპებზე მიეცემათ. იქაც მხოლოდ ჩემპიონებს, თუმცა, თუ რომელიმე მათგანში უკვე ლიცენზიის მფლობელი მსროლელი გაიმარჯვებს, მაშინ საგზური მომდევნოს გადაეცემა. თუ იმასაც ექნება ეს უფლება მოპოვებული, მაშინ - იმის მომდევნოს და ასე გაგრძელდება ადგილმონაცვლეობის წესით. ბოლოს, შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს თასის ეტაპი სეზონში სულ ოთხჯერ იმართება.

**ირაკლი თავაძე**

შაბათის სტუმარი

ბიძინა გუჯაბიძე

# თოვლის ჯიქი ახალი ნახტომისთვის ემზადება

ევერესტი (8848 მ), ლჰოცზე (8517), ჩო ოიუ (8201), დჰაულაგირი (8167), გაშერბუმი (8035), მანასლუ (7500), გამარჯვების (7439), კომუნიზმის (7495), ლენინის (7134) და კორჟენევსკაიას (7105) პიკები, ხან-თენგრი (7010), ამა დაბლამი (6812), აკონკაგუა (6962) — აი, არასრული სია იმ უმაღლესი მწვერვალებისა, რომლებიც 1984 წლიდან დღემდე დაულაშქრავს ორგზის „თოვლის ჯიქად" წოდებულ **ბიძინა გუჯაბიძეს**. ამ ხნის განმავლობაში სახელოვან ქართველ ალპინისტს 37 სასიმაღლო ასვლა აქვს განხორციელებული. ხან-თენგრიზე თერთმეტჯერ არის ნამყოფი, გამარჯვების პიკზე — სამჯერ, ორჯერ დედამიწის თვალშეუდგამი მწვერვალი ევერესტი დალაშქრა, თანაც სხვადასხვა კუთხიდან. შესრულებული აქვს, ასევე, ურთულესი სასიმაღლო-ტექნიკური, ტექნიკური და თოვლყინულოვანი ასვლები კავკასიონზეც. მათ შორის - ნის ხელმძღვანელობით მარსის პიკი დავლაშქრეთ, რომლის სიმაღლეა 6723 მეტრი. 24 წლის ვიყავი და პირველად ავედი ამ სიმაღლეზე. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თუმცა მრავალი უსიამოვნება შეგვხვდა, რადგან აღჭურვილობა არ გვივარგოდა, პროდუქტებიც ვერ შევარჩიეთ საჭიროებისამებრ - ბევრი პური წავილეთ და მძიმე ტვირთის ზიდვამ ძალიან დაგვღალა. ყოველივეს მიუხედავად, სიძნელეებს გავუძელით და მიზანსაც მივაღწიეთ. ფაქტობრივად, ეს იყო ყოფილი საბჭოეთის შეიარაღებული ძალების პირველობა და მე-2 ადგილი დავიკავეთ. 3000 მეტრზე საბაზო ბანაკში რომ დავბრუნდით, იქ შევიტყვეთ, რომ რუსების ერთ-ერთი ექსპედიციის წევრი შურა აგაფონოვი მოწყვეტილა კლდიდან, მძიმე ტრავმა მიუღია და 5700 მეტრიდან უნდა ჩამოგვეყვანა. რუსებმა მაშველებში მე, ქურასბედიანი, ჩანტლაძე და თამაზ — ილიკო გაბლიანი, თეიმურაზ კუხიანიძე და ჯუმბერ მეძმარიაშვილი. კუხიანიძისა და მეძმარიაშვილის ცხედრები შედარებით იოლად მისადგომ ადგილებში იყო და მათი ჩამოსვენება შეძლეს. ილიკო გაბლიანი კი 6900 მეტრ სიმაღლეზე განისვენებს თოვლში. იქვეა სხვა მიცვალებულთა საფლავები და იმ ადგილს „ობელისკი" ჰქვია. 1997 წელს მერაბ ხაბაზი, თბილისის მერის — გიგი უგულავას ძმა ირაკლი, ლიოვა სარქისოვი, ბენო ქაშაკაშვილი, სერგეი როსლიაკოვი და მე გამარჯვების პიკზე ავედით. ცხადია, გაბლიანის საფლავიც მოვინახულეთ. ფილმიც გადავიღეთ ამ ლაშქრობაზე. სამწუხაროდ, სახელოვანი ქართველი ალპინისტის ცხედრის ჩამოსვენება დღემდე ვერ ხერხდება. ეს მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული...

**— ალბათ, ევერესტზე ასვლას გვერდს ვერ ავუვლით...**



უშბაზე რვაჯერ, მყინვარწვერზე - 60-მდე.

ამ დღეებში ბიძინა გუჯაბიძე შეგირდებთან — **ანა დულარიძესთან** და **მიხეილ ნადირაძესთან** ერთად მეგზურობას უწევდა ავსტრიის სამაშველო სამსახურისა და მთის პოლიციის წარმომადგენლებს, რომლებსაც უშბაზე ასვლა ჰქონდათ განზრახული.

— ოთხ ათას მეტრ სიმაღლემდე ავაღწიეთ და უამინდობის გამო იქ კარვებში სამი დღე-ღამე გავატარეთ. — გვითხრა ბიძინა გუჯაბიძემ. — წვრილი სეტყვა და ქარბუქი არ შეწყვეტილა, ლამის, კარვები წაგვართვა. შარშან, ამგვარი უამინდობის მიუხედავად, ილია ბერულავასთან და ტატო ნადირაძესთან ერთად დავლაშქრე უშბა სამხრეთ-დასავლეთი კედლიდან, ანუ მიშლიაევის მარშრუტით, რომელიც ძალიან სახიფათოა. ამჯერად მწვერვალამდე 700 მეტრი რჩებოდა, მაგრამ ავსტრიელებმა ვერ გარისკეს, არადა, ტიანშანი და პამირი აქვთ მოვლილი. როგორც მეგზურები, ჩვენც იძულებული გავხდით, მათთან ერთად დავბრუნებულიყავით. ანას და მიხეილს კი გულით უნდოდათ მწვერვალზე ასვლა. ევროპელებს ცოტაც რომ მოეთმინათ, მიზანს მივაღწევდით. თუმცა სტუმრებს იმ იმედით დავშორდით, რომ კვლავ გვეწვევიან და ისევ ერთად შევუტევთ უშბას.

**— სამ ათეულ წელიწადზე მეტია, მთა-კლდეს ხართ შეჭიდებული. ამ ხნის განმავლობაში გამორჩეულად რა დაგამახსოვრდათ?**

— 1984 წლის პამირული ექსპედიცია. მაშინ მე, დავით ჩანტლაძემ და გია თორთლაძემ ვლადიმერ ქურასბედიაშარაშენიძეც ჩაგვრთეს. ნიშნულს რომ მივაღწიეთ, თანაგუნდელებმა აგაფონოვს ახარეს, „გრუზინი პრიშლიო". ეს იმას ნიშნავდა, რომ სავალალო მდგომარეობაში მყოფ მთამსვლელს ყინულის ტყვეობაში არ დავტოვებდით. თვალდახუჭულ აგაფონოვს ტუჩებზე სიხარულის ღიმილმა გადაურბინა და თვალები ცრემლით აევსო.

რუსი ალპინისტი, რთული კლიმატური პირობების მიუხედავად, მშვიდობიანად ჩამოვიყვანეთ საბაზო ბანაკში, საიდანაც საავადმყოფოში გადაიყვანეს. განკურნების შემდეგ აგაფონოვი კვლავ მთებს დაუბრუნდა. დღეს იგი ბიშკეკში ცხოვრობს. ვმეგობრობთ, ხშირადაც ვხვდებით ერთმანეთს.

ამ ამბიდან შვიდი წლის მერე ქართველებმა კიდევ ერთი რუსი ალპინისტი გადავარჩინეთ და მაშინაც შეიარაღებული ძალების პირველობაზე. ოღონდ იგი კორჟენევსკაიას პიკზე ასვლისას ჩავარდა ყინულის ნაპრალებში 6300 მეტრზე. სამაშველო ექსპედიციაში ჩემთან ერთად იყვნენ დავით რაქვიაშვილი, ავთანდილ მოკვერაშვილი, ლევან კარიჭაშვილი, გოჩა ლვინიაშვილი, მერაბ ხაბაზი და მორის ქუმსიაშვილი. რუსი მთამსვლელი მაშინ კი ვიხსენით, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ციმბირში პაროპლანით ფრენისას მდინარეში ჩავარდა და დაიხრჩო.

**— როგორც მსმენია, თურმე, ყოველთვის ვერ ხერხდება დალუპულთა და დასახიჩრებულთა ყინულების ტყვეობიდან დახსნა...**

— დიახ, ასეა. ალბათ, იცით, რომ 1961 წელს გამარჯვების პიკზე ასვლისას დაიღუპა სამი ქართველი ვაჟკაცი

— დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ორჯერ მაქვს დალაშქრული: 1999 წელს სამხრეთიდან ქართველებთან ერთად, 2003 წელს ჩრდილოეთიდან რუსულ-ქართული ექსპედიციისას. თერთმეტი წლის წინათ ჯომოლუნგმაზე ბენო ქაშაკაშვილის ხელმძღვანელობით ხუთნი ავედით — ქაშაკაშვილი, სარქისოვი, სარიდან მუსაგულოვი, აფი გიგანი და მე. ევერესტის თავზე მოქცევა ნებისმიერი ალპინისტის ოცნებაა. 8848 მეტრ სიმაღლეზე ასვლა განუმეორებელი განცდაა. 50 წლის განმავლობაში მწვერვალზე 1050 მთამსვლელია ნამყოფი, რომელთა უმრავლესობა დღეს ცოცხალი აღარ არის. ევერესტის დაპყრობა დიდ სპორტულ მიღწევად და მნიშვნელოვან გამარჯვებათა ტოლფასად მიმაჩნია. ქვეყნისთვისაც საამაყოა. ჩემი მეგობრისთვის ერთ ბრაზილიელ მეცნიერს უთქვამს — რა ბედნიერი ხართ, რომ ასეთ პატარა ქვეყანას ამდენი ევერესტელი ჰყავს, ბრაზილიიდან კი იმ მწვერვალზე დღემდე არავინ ასულაო.

**— „თოვლის ჯიქი" სამომავლოდ რას აპირებს?**

— ახლა ჩემი შეგირდები ყაზბეგში იმყოფებიან და უკვე რამდენიმე ლაშქრობა მოაწყვეს მაღალი სირთულის მწვერვალებზე. თანაც წყვილებში. მალე მათ მეც შევუერთდები. სასწავლო-საკვალიფიკაციო ექსპედიციაში დამწყები ალპინისტებიც მონაწილეობენ და მათგან საუკეთესოები უნდა შევარჩიოთ. შემოდგომით კი ჰიმალაი-ტიანშანს მივაშურებ და ამოსამიზნ მწვერვალსაც მაშინ დავასახელებ.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. დღეს. 19:00. უნგრეთი-საქართველო

# ეროვნული ნაკრები უნგრეთით გახსნის

## ლაიოშ მესაროში: ქართველებს ჩვენზე ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ



საქართველოს ეროვნული ნაკრები დღეს სეზონის პირველ მატჩს ჩაატარებს – უნგრეთის ქალაქ სომბათჰეიში ადგილობრივ ნაკრებს დაუპირისპირდება. შეხვედრა თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება და პირდაპირ ეთერში შპორტ1 გადასცემს.

ქართველები 1 ივლისიდან ავსტრიის საკურორტო ქალაქ შტაინბურნში ვარჯიშობენ. მათ 5 ივლისს **ზაზა ფაჩულია** შეუერთდა, ხოლო ერთი დღის შემდეგ – **ნიკა ცქიტიშვილი**. მას მერე, 13 ივლისამდე გუნდი სრული შემადგენლობით ვარჯიშობდა, თუმცა 13-ში ავსტრიაში B დივიზიონის მატჩების ჩასატარებლად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ჩავიდა და ეროვნულიდან **თორნიკე შენგელია** დაიმატა. იგი 20-წლამდელებთან ერთად ჯგუფური ეტაპის სამ შეხვედრას ჩაატარებს და **იგორ კოკოშკოვის** კრებულს შემდეგ დაუბრუნდება. ასე და ამგვარად, ეროვნულ გუნდს უნგრეთში თორნიკე შენგელია არ გაჰყოლია. დანარჩენი 15 კალათბურთელი მწყობრშია და გუშინ დილას შტაინბურნიდან სომბათჰეიში გადავიდა.

სასიამოვნოა, რომ ყველა მწყობრშია, თუმცა დაკვირვებულ მკითხველს ემახსოვრება, რომ ერთი კვირის წინ კოკოშკოვის ასისტენტმა, **დავით უსტიაშვილმა** გვითხრა – **ვიქტორ სანიკიძეს** ფეხის კუნთი აქვს გაჭიმული და ისვენებსო. ვიქტორს ორი დღე გაუცდა და ახლა გუნდთან ერთად უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

ვიდრე ორიოდე სიტყვას ჩვენი ნაკრების მომავალ მეტოქე უნგრეთზე ვიტყოდეთ, სომბათჰეიში გამგზავრებული საქართველოს ნაკრების 15-კაციან შემადგენლობას გაგაცნობთ: **გიორგი ცინცაძე, ტორინ გრინი, ლაშა გამყრელიძე, კოტე ტულუში, ანატოლი ბოისა, მანუჩარ მარკოიშვილი, კოკა ტომარაძე, ქუინტონ ჰოსლი, ვიქტორ სანიკიძე, ნიკა ცქიტიშვილი, ლევან შენგელია, მიხეილ ბერიშვილი, ნიკა მეტრეველი, გიორგი შერმადინი, ზაზა ფაჩულია.**

აქვე უნგრელების თხუთმეტეულს ჩამოგითვლით: **ზოლტ საბო** (სოპრონი), **ადამ ჰანგა** (ალბაკომპი), **მარტონ ფოდორი** (შოლნოკი), **პეტერ ლორანი** (ბურგოსი, ესპანეთი), **დავიდ ვოივოდა** (კაპოშვარი), **კრისტიან ვიტმანი** (კეჩკემენტი), **როლანდ ჰენდლეინი** (ალბაკომპი), **აკოშ ჰორვატი** (შოლნოკი), **ანდრას მოლნარი** (სოპრონი), **ადამ ტოთი** (ზტე), **გაბორ სოოში** (კაპოშვარი), **აკოშ კელერი** (ალბაკომპი), **გერგელი ტოთი** (კორმენდი), **მილან ჩორვასი** (კეჩკემენტი).

უნგრელებს "ალბაკომპის" თავკაცი **ბრანისლავ ძუნიჩი** წვრთნის. გუნდის მენეჯერი **ლაიოშ მესაროში** გახლავთ. უნგრულ პრესაში სწორედ მან ილაპარაკა საქართველოს ნაკრებთან მომავალ დაპირისპირებაზე:

*- იტალიაში გამართული ტურნირი ჩვენთვის მეტად სასარგებლო იყო. დავინახეთ მინუსები, რომელთა აღმოფხვრაზე შემდეგ მატჩებში ვიზრუნებთ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს ნაკრებთან დაპირისპირება. ჩემი აზრით, ქართველებს შედარებით ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ. მათ გუნდში საქართველოს ჩემპიონატიდან მხოლოდ ორი კალათბურთელია. დანარჩენები ევროპის წამყვან კლუბებს წარმოადგენენ, გარდა ერთისა – ზაზა ფაჩულია NBA-ში თამაშობს. ასე რომ, საინტერესო მატჩი გველის.*

თუ საქართველოსთვის უნგრეთთან დაპირისპირება სეზონში პირველია, მადიარებისთვის მესამეა. მათ იტალიის ქალაქ ბორმიოში ჯერ იტალიასთან დათმეს (46:88), შემდეგ ირანს მინიმალური სხვაობით აჯობეს – 64:63.

ასე რომ, უნგრელებს მეტი სათამაშო პრაქტიკა აქვთ. მათ მხარესაა მოედნის ფაქტორი და ერთმატჩიანი ისტორია – 2006 წლის 20 აგვისტოს სომბათჰეიში გამართულ ტურნირზე ქართველებმა მასპინძლებთან 73:79 დათმეს. იმ მატჩში ზაზა ფაჩულიამ 32 ქულა ჩააგდო.

საქართველოსა და უნგრეთის ნაკრებების შესახებ უნგრულ ინტერნეტსივრცეში ინფორმაციების ძიებისას ერთ ანგარიშს წავაწყდით – 83:67. მატჩის თარიღად 14 ივლისი იყო დასახელებული, 2010 წელი... თქვენც მიხვდებოდით, რომ საქმე ეხება სამი დღის წინ გამართულ B დივიზიონის 20-წლამდელთა ტურნირის გახსნის მატჩს, რომელიც უნგრელებმა 83:67 მოიგეს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

---

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები. საკონტროლო მატჩი უკრაინასთან

# მესამე მარცხი

**რუსთვი. 15 ივლისი**

**საქართველო-უკრაინა 60:74**

15:21, 20:17, 10:23, 15:13

საქართველო: ტეტელაშვილი, ბოქოლიშვილი (16), სანაძე (11), თენიეშვილი (11), მუმლაძე (2); ჩერქეზიშვილი (2), ელიაძე (7), ჭიჭველიშვილი, რევაზაშვილი, კოლუაშვილი (3), ჯავახიშვილი (8)

უკრაინა: არტამონოვი (14), ბელიკოვი, კრუტოსი (6), პროკოპენკო (11), მარჩენკო (8), ბობროვი (11ქ, 10მ), ლენი (3), მიშულა (2), ტიხონოვი (10), ვირასტიუკი (6), მოტორჩუკი (3)

მსაჯები: ი. ბერიშვილი, დ. სადლობელაშვილი

უკრაინის 18-წლამდელთა ნაკრებმა ქართველ თანატოლებთან მესამე მატჩშიც დაამტკიცა, რომ ძლიერი გუნდია - 74:60 გაიმარჯვა. წინა შეხვედრებისგან განსხვავებით ქართველებმა შეტევაში შედარებით უკეთესად ითამაშეს, თუმცა საბოლოო წარმატებისთვის 60 ქულა საკმარისი არ აღმოჩნდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენებს ფარქვეშ ამჯერადაც გაუჭირდათ. მასპინძელთაგან ბომბარდირი უკანახაზელი **მერაბ ბოქოლიშვილი** გახდა, რომელმაც 16 ქულა ჩააგდო.

ქართველი 18–წლამდელები 20 ივლისს ისრაელში მიემგზავრებიან (B დივიზიონი), სადაც ჯგუფში მეტოქეებად ესტონეთი, ავსტრია, ლუქსემბურგი და ჩერნოგორია ეყოლებათ.

**ვაჟა სიმონიშვილი**




---

ჩოგბურთი

## პატი შნიდერი:

# ტატიშვილთან გამიმართლა

20 წლის **ანა ტატიშვილმა** (156) 12 წლით უფროს **პატი შნიდერს** (56), რომელიც ზუსტად 100 ადგილით უსწრებს კლასიფიკაციაში, დიდი ბრძოლა გაუმართა, საბოლოო გამარჯვებასთანაც ახლოს იყო, მაგრამ სულ ცოტა დააკლდა წარმატებამდე - 6:2, 2:6, 5:7. ანა პრაღის ღია პირველობას თავაწეული ემშვიდობება, მან კარიერაში პირველად ითამაშა WTA-ს ტურნირის მეოთხედფინალში. შეგახსენებთ, რომ ჩეხური ტურნირის საპრიზო ფონდი 220 ათასი ამერიკული დოლარია. ანას რომ მოეგო, თანამედროვე ქართველ ჩოგბურთელთაგან პირველი იქნებოდა, ვინც WTA-ს ტურნირის ნახევარფინალში გააღწია.

შვეიცარიელ პატი შნიდერს, რომელიც ადრე მსოფლიოს მე-7 ჩოგანი იყო, ქართველი უშიშრად დაუდგა და თავიდან ბრწყინვალედ გაუმკლავდა კიდეც. სამწუხაროდ, საბოლოო გამარჯვებისთვის ორი სეტის მოგებაა საჭირო, მეორე სეტში კი თავი იჩინა ანას სისუსტემ მოწოდებებში. ყველაზე დაძაბული მესამე სეტი გამოდგა, რომელიც საათზე მეტ ხანს გაგრძელდა „კოლოზეუმზე". ანამ 2:2-ზე წააგო საკუთარი მოწოდება, თუმცა ბოლოს შეძლო მეტოქის დაწევა. თამაშში გადამწყვეტი მე-3 სეტის მე-12 გეიმი აღმოჩნდა, - 5:6-ზე ანა აწოდებდა და 40:15-ს იგებდა კიდეც, მაგრამ ეს გადამწყვეტი გეიმი როგორღაც დათმო... ტატიშვილი აუცილებლად წაიწევს რეიტინგში და საკუთარ მიღწევას (146-ე ადგილი მსოფლიო კლასიფიკაციაში) გააუმჯობესებს.

*„მეტოქემ ძალიან კარგი თამაშით და ძლიერი დარტყმებით განმაცვიფრა. სიმართლე ითქვას, ცოტა გამიმართლა, რომ მოვიგე საკმაოდ მძიმე სტარტის შემდეგ"*, - განაცხადა პატი შნიდერმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

ჭადრაკი

# ფინიშამდე სამი ტურით ადრე

ნანა ალექსანდრიას სახელობის საჭადრაკო ფესტივალზე ფოთში გუშინ მე-6 ტურის პარტიები გაიმართა. მთავარ ტურნირში ლიდერთან ჯგუფიდან მხოლოდ ორი პარტია დამთავრდა ყაიმით: აზერბაიჯანელი **ზაურ მამადოვი კონსტანტინე შანავას** დაუზავდა, **ლევან ფანცულაია — გაიოზ ნიგალიძეს**. დანარჩენი პარტიები ასე დასრულდა: **დავით [illegible]ომსაძე-შოთა აზალაძე** 0:1, **აკაკი შალამბ[illegible]რიძე-დავით ბენიძე** 0:1, **მირანდა მიქაძე-დავით ზარქუა** 1:0, **სოფიკო გურამიშვილი-ჰუსეინ ალ-ალი** (ერაყი) 0:1, **დავით მალალაშვილი-მოჰამედ ჰამადი** (ერაყი) 1:0, **ჯამბულ მახარაძე-ნოდარ ლორთქიფანიძე** 0:1, **გიორგი გამზარდია-მაია ლომინეიშვილი** 0:1, **ზურაბ ჯავახაძე-გიორგი ხელაია** 1:0, **გიორგი შურღულაია-პარმენ გელაზონია** 0:1, **ბექა ფიფია-გიორგი ნიკოლაშვილი** 0:1, **ნიკოლოზ შენგელია-აჰმედ ალი ლაუდი** (ერაყი) 1:0, **ღასან ალი** (ერაყი)**-ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** 0:1.

ექვსი ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: აზალაძე, მამადოვი, შანავა — 5-5, მიქაძე, ბენიძე, ფანცულაია, ნიგალიძე - 4,5-4,5, მალალაშვილი, ნიკოლაშვილი, ლომინეიშვილი, ქუმსიაშვილი, გელაზონია, ლორთქიფანიძე, ჯავახაძე, შენგელია, ალ-ალი -4-4 ქულა. ფიჰიშამდე 3 ტურით ადრე, სწორედ, ამ მოჭადრაკეებს შერჩათ საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსი.

მე-7 ტურში მეწინავეთაგან ითამაშებენ: აზალაძე-მამადოვი, შანავა-მიქაძე, ბენიძე-ფანცულაია, ნიგალიძე-მალალაშვილი.

ასაკობრივ პაექრობებში 6 ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა:

**8-წლიანებში.** ნუცა ცირეკიძე-5.5, თიკა ცაგურია, მაია ბეჭვაია-5-5, მარიამ ფართლაძე-4,5; დავით კამკია-6, მათე თოდაშვილი, ანტონ ნადირაძე, ედგარ ვარდანიანი (სომხეთი)-5-5 ქულა.

**10-წლიანებში.** ნინო ჯალაღონია-5,5, გვანცა მარგველაშვილი-5, ელენე კოსტავა-4,5, ნანა როგავა-4; დავით გვენეტაძე-5,5, ირაკლი ახვლედიანი, ლევან ბაბუხადია-5-5, გიორგი ბოტკოველი, საბა არაბიძე-4,5-4,5 ქულა.

**12-წლიანებში.** ნინო ხომერიკი, მარიამ მჟავია-5-5, ნარმინ მამადოვა (აზერბაიჯანი)-4,5, ნინო გოგოხია, თეა ჭოლაძე, თამარ ფაშკურიძე-4-4; ნოე თუთისანი-5, ნიკა ლვამბერია, გიორგი სიბაშვილი, ალექსანდრე პანასენკო, გიგი აბსარიძე-4,5-4,5 ქულა.

**14-წლიანებში.** ანა შამათავა-6, ნატო იმნაძე-4, თეკლა მაჭარაშვილი, მარიამ ჭოლაძე-3-3: ირაკლი ბერაძე-6, თემურ ოთხოზორია-4,5, ალექსანდრე ებრალიძე, გიორგი დანგაძე, გიგლა ბენიძე-4-4 ქულა.

შეჯიბრების დამთავრებამდე მოზარდებშიც 3 ტური დარჩა.

**ვაჟა დანელია**

---

20-წლამდელთა ნაკრები

**საქართველო-ისრაელი 81:88**

15:18, 27:23, 19:23, 20:24

საქართველო: ბაქრაძე (36 წთ, 16ქ, 5პ, 5მ, 2ჩ, 1ფ, 2შ), ჩიკვილაძე (34 წთ, 17ქ, 5მ, 3პ, 2ჩ, 1ფ, 2შ), ლომოური (16 წთ, 2მ, 1ჩ, 3ფ), შენგელია (28 წთ, 15ქ, 5მ, 2პ, 1დ, 4ფ, 2შ), შარაბიძე (30 წთ, 19ქ, 5მ, 4ფ, 2შ), მაჭავარიანი (10 წთ, 1ფ), კვეტენაძე (1 წთ, 2ქ, 2მ, 2ფ, 1შ), ნანიტაშვილი (4 წთ, 3ქ, 1მ), დვალიშვილი (20 წთ, 4ქ, 2მ, 1ჩ, 1დ, 5ფ, 1შ), ჩაჩანიძე (12წთ, 5ქ, 4ფ), ხმელიძე (8 წთ, 1მ, 2ფ, 1შ)

ისრაელი: კოჰენი (34 წთ, 9მ), რუბი (3ქ, 5პ, 5ფ), ნესტერენკო (6ქ), ტიშმანი (8ქ), არიელი (14ქ, 5მ), ეიდა (2ქ), შირანი (11ქ), კარპელესი (7ქ), რეისი (3ქ), ბუჩმანი, ოჰანა

**შვედეთი-უნგრეთი 87:67**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. ისრაელი | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3. უნგრეთი | 2 | 1 | 1 | 3 |
| 4. საქართველო | 2 | 0 | 2 | 2 |

# ბოლო...

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა B დივიზიონში მეორე მატჩიც წააგო და ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა. შეიძლება გაგიკვირდეთ, მესამე ტურამდე როგორ გადაწყდა, რომ ქართველები ოთხგუნდიან ჯგუფში მეოთხეები იქნებიანო... სამწუხაროდ, ასეა: ქართველებმა ჯერ უნგრეთთან დათმეს, შემდეგ - ისრაელთან, რომლებსაც თითო მოგება აქვთ და მესამე ტურში ერთმანეთს ეთამაშებიან. ერთ-ერთი მათგანი ტურნირს ერთი მოგებით დაასრულებს. ქართველებმა ბოლო ტურში შვედეთს რომ მოუგონ და ქულებით ერთმოგებიანს (უნგრეთს ან ისრაელს) გაუთანაბრდნენ, მათ მაინც ვერ გაასწრებენ, რადგან ისრაელთანაც და უნგრეთთანაც წაგებები უწერიათ.

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფიდან სამი გუნდი გადიოდა, ჩვენმა 20-წლამდელებმა მომდევნო ეტაპის საგზური ვერ მოიპოვეს და 18 ივლისის შემდეგ B დივიზიონის ხუთ აუტსაიდერთან ერთად მეცამეტე-მეჩვიდმეტე ადგილების განაწილებისთვის ითამაშებენ. 18-ში ქართველები ჯგუფის ბოლო მატჩს ჩაატარებენ - შვედეთს დაუპირისპირდებიან.

მეორე ტურში ისრაელთან წაგება მომდევნო ეტაპის გზას რომ მოუჭრიდათ, ჩვენებმა, ცხადია, იცოდნენ, ამიტომ მატჩისთვის სათანადოდ მოემზადნენ, არც კონცენტრაცია აკლდათ... მიუხედავად იმისა, რომ ებრაელთა ამომავალი ვარსკვლავის **იაკობ კოენის** შეწევნით მეტოქე თავიდან 12:5 დაწინაურდა, ქართველებმა თამაში მალე გამოასწორეს და მეორე პერიოდში სამქულიანების ფეიერვერკი მოაწყვეს: შორეული ტყორცნები გამოიყენეს **თორნიკე შენგელიამ, გიორგი ნანიტაშვილმა, გივი ბაქრაძემ, ბექა ჩიკვილაძემ, გიორგი შარაბიძემ**. თავის მხრივ, 210 სმ სიმაღლის კოენი ფარქვეშაც ყოჩაღობდა და არც სამქულიანების ტყორცნას ერიდებოდა. პირველი ტაიმი ქართველთა მცირე უპირატესობით დასრულდა - 42:41.

მეორე ნახევრის დასაწყისში ისრაელის ნაკრებმა თავი გამოიდო, ერთი პერიოდი 60:53 დაწინაურდა, თუმცა გადამწყვეტი მეოთხედის წინ ქართველებმა სხვაობა 3 ქულამდე შეამცირეს (61:64). ჩვენმა ახალგაზრდებმა ეს არ იკმარეს და სირენამდე 4:53 წუთით ადრე 73:72 დაწინაურდნენ (ამჯერადაც სამქულიანით, რომელიც **რევაზ ჩაჩანიძემ** ჩააგდო).

მატჩის ბედიც სამქულიანმა გადაწყვიტა: სირენამდე 3.33 წუთით ადრე ტანმაღალმა კოჰენმა პერიმეტრიდან ზუსტი ტყორცნით ისრაელი 80:75 დააწინაურა. ასეთი ფორა ისრაელის გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა. ჩვენმა 20-წლამდელებმა ბევრი ინვალეს, მაგრამ დარჩენილ დროში თამაშის შემობრუნება ველარ მოახერხეს. 88:81 ისრაელის სასარგებლოდ.

საინტერესოა, რომ საქართველომ და ისრაელმა 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზეც 80-იანებში იტრიალეს - ჩვენებმა 80:84 დათმეს და იმ წელს B დივიზიონში დაქვეითდნენ.

ისრაელის ნაკრების გუშინდელი გამარჯვება პირადად კოენის დამსახურებაა. მან 30 წუთში 34 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა. ქართველთა ბომბარდირიც ცენტრი გახდა: გიორგი შარაბიძემ 30 წუთში 19 ქულას 5 მოხსნა მიამატა.

ქართველებს მეტოქესთან ფარქვეშ არაფერი დაუთმიათ (მოხსნებში 30:29 იმარჯვეს), სამქულიანების რეალიზებაში სულაც 11:4 აჯობეს, თუმცა გადამწყვეტი საშუალო და ახლო დისტანციებიდან ტყორცნები აღმოჩნდა: ისრაელმა 28 ორქულიანი გამოიყენა, ქართველებმა 15 ჩააგდეს...

...დაგვრჩა 18 ივლისის მატჩი შვედეთთან და მატჩები მეცამეტე-მეჩვიდმეტე ადგილებისთვის.

**18 ივლისი**

20:00 ისრაელი-უნგრეთი

22:15 საქართველო-შვედეთი

**ვაჟა სიმონიშვილი**

ქართული სპორტი

თავისუფალი ჭიდაობა

ოქროს დიდი პრიზი

# ბრინჯაოს ხანა ბაქოში

ხუთი ბრინჯაო და არც ერთი ოქრო-ვერცხლი - ასეთია ჩვენი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მონაგარი ბაქოში, „ოქროს დიდი პრიზის" ფინალურ ტურნირში... მათი მფლობელები **ბესარიონ გოჩაშვილი** (55), **მალხაზ ქურდიანი** (60), **გიორგი გოგშელიძე, ბელდუხ გავაშელიშვილი** (ორივე - 96) და **ლევან ბერიანიძე** (120) გახდნენ.

ზედმეტია ლაპარაკი ნაკრების წარუმატებელ გამოსვლაზე, როცა 21-კაციანი გუნდიდან ფინალამდე ერთი მონაწილეც ვერ აღწევს და ლიდერები ადრეულ ეტაპზე აგებენ. ზოგიერთი - კვლავაც სტრატეგიულ მეტოქესთან... გასაგებია, რომ ნაკრები ახლა იწყებს მსოფლიოს პირველობისთვის მზადებას და ჯერ არაა ფორმაში; გასაგებია ისიც, რომ ეს შეჯიბრება ლამის პირდაპირ მიება საერთო ფიზმომზადებისთვის მაღალმთიანეთში გავლილ შეკრებას. შესაძლოა, ზოგიერთი ჩვენებურის წაგებაში მსაჯებსაც მიუძღვით წვლილი, მაგრამ არა მგონია, ეს ჩვენების სუსტ გამოსვლას ამართლებდეს. სამწუხაროდ, ქართულ საჭიდაო ნაკრებებში დაღმასვლა, ჭიდაობის ხარისხის გაუარესება მუდმივ ტენდენციად იქცა. ბაქოური შედეგიც ამის გაგრძელება გვგონია, თორემ კიდევ შეიძლებოდა თავის დამშვიდება იმით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატამდე დარჩენილ დროში ვითარების გამოსწორება შეიძლება. აქამდე ამისი თუ კიდევ გვეიმედებოდა, სამწუხაროდ, ახლა ეს იმედიც შემცირდა. ამასთან, სხვა გუნდებიც მზადების იმავე ეტაპზე არიან, ანუ ფორმისგან ჯერ მათაც ბევრი აშორებთ, თუმცა ჩვენზე ბევრად უკეთ გამოვიდნენ. განსაკუთრებით მოულოდნელი ამერიკელთა ყოჩაღობაა - ოთხი ფინალი იჭიდავეს, მაგრამ ყველა წააგეს.

თუმცა ბაქოში რამდენიმე ისეთი ფაქტიც მოხდა, რაც ნაკრების თავკაც **ზაზა თურმანიძისთვის** უთუოდ საინტერესო იქნება. მაგალითად, მძიმე წონაში ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ახალგაზრდა ბერიანიძემ ევროპის ექსჩემპიონი **დავით მოძმანაშვილი** დაამარცხა... ვფიქრობთ, აქ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ძალზე საინტერესო ვითარება იქმნება - მართლაც საინტერესოა, ვის დააყენებს მწვრთნელი?

## 55 კგ

აქ ჩვენებურთაგან ყველაზე უკეთ გოჩაშვილი გამოვიდა, თუმცა მაინც გვგონია, გაურკვევლობა ისევ გრძელდება. ჯერჯერობით ისეთი ვითარებაა, გოჩაშვილისთვის ლიდერობის ჩამორთმევას ვერც ახალგაზრდა **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** ახერხებს, მაგრამ ვერც ევროპის ვიცე-ჩემპიონი ჭიდაობს ისე, ქომაგს გული საგულეს ჰქონდეს. ის **ვახტანგ ბალავაძის** სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" ტურნირზე მეხუთეზე გავიდა, ამჯერად კი მომავალ ჩემპიონთან, იაპონელ აზიის ჩემპიონ **შინიჩი იომოტოსთან** დამარცხდა დამატებით დროში. მანამდე ასევე დამატებით დროში თვითონ აჯობა ყაზახ **იერკებალა ტურგუნბაიევს**, სანუგეშოში კი ჯერ რუსთა ახალბედა ყაზბეგ შამსუდინოვს ორ სეტში აჯობა, ბრინჯაო კი მეორე იაპონელის - **იასუჰირო ინაბას** ასევე ძირითადში დამარცხებით მოიპოვა.

სამწუხაროდ, ამ წონაში ვერც **ამირან ელბაქიძემ** დაგვამახსოვრა თავი რაიმეთი და ვერც - **ლაშა ლომთაძემ.** ორივე პირველივე წრეში დამარცხდა ამერიკელებთან - ელბაქიძე **ობენსონ ბლანკთან,** ლომთაძე - მომავალ მესამე პრიზიორ **ანგელ ესკობედოსთან.**

1. შინიჩი იამამოტო (იაპონია), 2. ნარიმან ისრაპილოვი (რუსეთი), 3. **ბესარიონ გოჩაშვილი** (საქართველო), ანგელ ესკობედო (აშშ)... 18. **ამირან ელბაქიძე,** 21. **ლაშა ლომთაძე** (საქართველო).

## 60 კგ

ალბათ, ზაზა თურმანიძეს ქურდიანის ბრინჯაო ცოტა დაამშვიდებს. იქნებ მწვრთნელი შეგირდისგან უფრო მეტს ელოდა, მაგრამ მისი სტაბილურობა უთუოდ გაახარებს - ქურდიანი წლეულს საქართველოს პირველობაზე მეორეზე გავიდა და მოიგო ბალავაძის ტურნირი... ქურდიანი მსოფლიოს პირველობაზე წასვლის უმთავრესი კანდიდატია და მისი გამოსვლა ამიტომ იქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას. ასაკის კვალობაზე, ურიგოდ არც ახალგაზრდებში ევროპის ორგზის ჩემპიონ **გიორგი ბალიაშვილს** უჭიდავია - ბრინჯაოსთვის ქურდიანთან დამარცხდა, მაგრამ ის წლეულს გადმოვიდა ეროვნულ ნაკრებში და თან სეზონის დიდი ნაწილი ტრავმის გამო გაუცდა. ამ მიზეზით საქართველოს ჩემპიონატიც გამოტოვა.

არადა, ძირითად ბადეში ის ყველაზე შორს წავიდა - ირანელ **აბას მოჰამად-ჰუსეინ დაბაგისთან** და აზერბაიჯანელ **აგაჰუსეინ მუსტაფაევთან** დამაჯერებელი გამარჯვებით ნახევარფინალში გავიდა, იქ კი ჩვენთვის ბედისწერად ქცეულ ამერიკელ **რონდელ ბუჩთან** წააგო. ამასობაში ბადის ამავე ნახევარში ქურდიანი კიდევ უფრო დამაჯერებლად მუსრავდა მეტოქეებს - იაპონელ **ჰიროუკი ოდას** და ყირგიზ **ულან ნადირბეკ ულუუს,** ვიდრე მეოთხედფინალში ამერიკელ ბუჩთან არ წააგო. სანუგეშოში ქურდიანმა ჯერ უზბეკი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **დილშოდ არიფოვი** დაამარცხა დამატებით დროში, მერე კი ბალიაშვილსაც აჯობა, თუმცა პირველი სეტი მასთან 1:3 დათმო.

ამ წონაში წარუმატებლად გამოვიდა საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი **მალხაზ ზარქუა** - იაპონელ **შოგო მაედასთან** წააგო პირველივე წრეში.




აქ ძალიან ძლიერად იჭიდავა უკრაინელმა ოლიმპიადის ვიცე და ევროპის სამგზის ჩემპიონმა, მსოფლიოს პრიზიორმა **ვასილ ფედორიშინმა,** რომელმაც ფინალში ჩვენი გამამწარებელი ამერიკელი ბუჩი დაჯაბნა.

1. ვასილ ფედორიშინი (უკრაინა), 2. რონდელ ბუჩი (აშშ), 3. **მალხაზ ქურდიანი** (საქართველო), საეიდ აჰმადალი აჰმად ზარინკოლაელი (ირანი). 5. **გიორგი ბალიაშვილი,** 18. **მალხაზ ზარქუა** (საქართველო).

## 66 კგ

აქ ერთადერთი ნათელი წერტილი ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი ჩემპიონი **გოგა ხუჭუა** აღმოჩნდა, თუმცა მედალს ვერც ის შეწვდა და მეხუთეზე დარჩა. პირველ წრეში მან საყურადღებო გამარჯვება მოიპოვა - თანაგუნდელი **შალვა მუზიაშვილი** ორივე სეტში 1:0 დაამარცხა. სამწუხაროდ, ამის მერე თვითონაც ვერაფერი გააწყო - ჯერ მომავალ ფინალისტთან, აზერბაიჯანელ **ემინ აზიზოვთან** წააგო, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი ირანელ **მოსენ ჯანან ბახშიანთან** დამარცხდა. ცხადია, ეს არაა სახარბიელო შედეგი, მაგრამ საყურადღებოდ ის გვეჩვენა, რომ ახალგაზრდა კონკურენტმა შედარებით უფროსს აჯობა, ანუ ლიდერობისკენ ერთი ნაბიჯი გადადგა. **პაატა ნოზაძემ** პირველივე შეხვედრა წააგო ამერიკელ **ბრენტ ჰაროლდ მეტკალფთან.**

კვლავ დამაჯერებლად იჭიდავა აზერბაიჯანელმა ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა **ჯაბრაილ ჰასანოვმა.** ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელმა ჩემპიონმა დამაჯერებლად მოიგო წლევანდელი ევროპირველობა და კვლავაც აგრძელებს წარმატებულ სვლას უფროსებში.

1. ჯაბრაილ ჰასანოვი, 2. ამინ აზიზოვი (ორივე - აზერბაიჯანი), 3. **მოსენ ჯანან ბახშიანი** (ირანი), **ბრენტ ჰაროლდ მეტკალფი** (აშშ). 5. **გოგა ხუჭუა,** 12. **შალვა მუზიაშვილი,** 14. **პაატა ნოზაძე** (სამივე - საქართველო).

## 74 კგ

კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ეს წონა ჩვენს ნაკრებში უსუსტესია - სამივე ჩვენებური პირველივე წრეში დამარცხდა და სამივე რუსეთის ნაკრების წევრებთან! ყველაზე სერიოზული მეტოქე **ოთარ ურატაძეს** შეხვდა - მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **ირბეკ ფარნიევი. გელა სალირაშვილი გაჯი გაჯიევთან** დამარცხდა, **მარადი ზოიძე - ანუარ გედუევთან.** რატომღაც ამ წონაში რუსებს ექვსი კაცი ჰყავდათ - ვერ გეტყვით, რატომ, რადგან ქვეყანაზე სამი კვოტა იყო დაწესებული. რა გასაკვირია, ჩემპიონობაც მათ რომ დარჩათ და აზერბაიჯანელთა ლიდერი **ჩამსულვარა ჩამსულვარაევი** იქამდე თუ არ მიუშვეს. თუმცა ცოტა მოულოდნელია ახალბედა **ალექსანდრ გოსტიევის** გამარჯვება. არადა, მან ჩამსულვარაევი დაამარცხა.

1. ალექსანდრ გოსტიევი (რუსეთი), 2. ტრევის პაულსონი (აშშ), 3. ჩამსულვარა ჩამსულვარაევი (აზერბაიჯანი), კამალ მალიკოვი (აზერბაიჯანი)... 12. **მარადი ზოიძე,** 14. **გელა სალირაშვილი,** 20. **ოთარ ურატაძე** (საქართველო).

## 84 კგ

აქ მხოლოდ **ბექა ჭელიძის** ჭიდაობას თუ გამოვყოფთ, თუმცა მომავალმა ჩემპიონმა, აზერბაიჯანელმა **ნოვრუზ ტემრეზოვმა** არ გაგვახარა - ჯერ **არჩილ ქიტიაშვილს** აჯობა, მერე - ჭელიძესაც. სამწუხაროდ, ჩვენებურებმა მას ერთი სეტიც ვერ მოუგეს. სანუგეშოში ჩვენებურები ერთმანეთს შეხვდნენ და ჭელიძემ დამატებითში მოიგო, თუმცა ბრინჯაოსთვის ბრძოლაში მეორე აზერბაიჯანელთან, მსოფლიოს ორგზის ბრინჯაოს პრიზიორსა და ევროპის წლევანდელ ვიცე-ჩემპიონ **შარიფ შარიფოვთან** ვერაფერს გახდა. **თორნიკე სვანიძე** უზბეკ ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ **სოსლან თიგიევთან** დამარცხდა.

1. ოვრუზ ტემრეზოვი (აზერბაიჯანი), 2. იაკობ ჰერბერტი (აშშ), 3. შარიფ შარიფოვი (აზერბაიჯანი), გიორგი რუბაევი (რუსეთი)... 5. **ბექა ჭელიძე,** 15. **არჩილ ქიტიაშვილი,** 16. **თორნიკე სვანიძე** ( სამივე - საქართველო).

## 96 კგ

ქომაგთა მთავარი ყურადღება სწორედ ამ წონისკენ იყო მიპყრობილი - ყველას აინტერესებდა გოგშელიძის გამოსვლა, მაგრამ მან იმედები ვერ გაგვიმართლა. ყველაზე მწარე კი ნახევარფინალში აზერბაიჯანელთა ოს ფალავანთან, ევროპის ორგზის ჩემპიონთან, ოლიმპიადისა და მსოფლიოსმედალოსან **ხეტაგ გოზიუმოვთან** წაგება იყო, თუმცა ამასაც გააჩნია - პირველი სეტი ჩვენებურმა ქულებით სუფთად წააგო - 0:6! მეორეში მეტი წინააღმდეგობა კი გაუწია, მაგრამ ისიც 1:2 დათმო. შეხვედრა არ გვინახავს, მაგრამ ამხელა სხვაობას ნამდვილად არ ველოდით. ფორმისგან ჯერ გოგშელიძეც შორსაა და ყაზახ **ზუმაგალი მამუტოვთან** და ირანელ **ჯაფარ ალიდად დალირისთანაც** გაუჭირდა მოგება - ორივეს ორ სეტში აჯობა და ყველაში ერთნაირი მინიმალური ანგარიშით - 1:0.

ამ წონაში ქართულ-აზერბაიჯანული ნახევარფინალები გაიმართა - როცა გოგშელიძე გოზიუმოვთან აგებდა, გავაშელიშვილი იქაურთა წლევანდელ ჩემპიონ **ჯამალედინ მაგომედოვთან** მარცხდებოდა. არადა, ჩვენებურმა პირველი სეტი მოიგო, მაგრამ მომდევნოები ჯამში 0:9 წააგო! გავაშელიშვილმა ბრინჯაოსთვის ბრძოლაც მარცხით დაიწყო უკრაინელ **ვალერი ანდრიიცევთან** - პირველი სეტი 0:6 დათმო. კიდევ კარგი, მომდევნოები მოიგო.

ფინალში გოზიუმოვმა მაგომედოვს დამაჯერებლად აჯობა და, ალბათ, საბოლოოდ გასცა პასუხი კითხვას, ვინ იჭიდავებს მსოფლიოზე აზერბაიჯანის ნაკრებში ამ წონაში.

1. ხეტაგ გოზიუმოვი, 2. ჯამალედდინ მაგომედოვი (ორივე -აზერბაიჯანი), 3. **გიორგი გოგშელიძე, ბელდუხ გავაშელიშვილი,** 12. **დაჩი ქერაშვილი** (სამივე - საქართველო).

## 120 კგ

ეტყობა, მართალი იყო **დავით მოძმანაშვილის** მწვრთნელი **დავით ხურცია,** როცა მახაჩყალას ტურნირის მერე გვითხრა, შესაძლოა, მოძმანაშვილი მსოფლიომდე ვერც შევიდეს ფორმაშიო - დისკვალიფიკაციამოხდილი ევროპის ექსჩემპიონი მართლაც ვერ აჩვენებს მისთვის ჩვეულ ჭიდაობას. ამას მხოლოდ იმიტომ არ ვამბობთ, რომ პირველივე შეხვედრაში ძლიერ თურქთან, ევროპის წლევანდელ ვიცე-ჩემპიონ **ფატიჰ ჩაკიროღლუსთან** დამარცხდა - მერე ბერიანიძესთანაც წააგო. ბაქოში მან მხოლოდ ერთი შეხვედრა მოიგო - ამერიკელ **ლეს სიგმანთან.** ვფიქრობთ, ჩვენებური კრიზისს სეზონის ბოლომდე ვერ დაძლევს.

სამაგიეროდ, აქ ახალგაზრდების ერა იწყება - ბერიანიძემ მართლაც კარგად იჭიდავა.

რუსი **კირილ გოტოვცევისა** და ბელარუს ევროპის პრიზიორ **ალექსეი შემაროვის** ბარიერი უპრობლემოდ გაიარა და ესეც ჩაკიროღლუსთან დამარცხდა. თუმცა იოლად არაფერი დაუთმია და პირველი სეტი მოიგო კიდეც. სამივე პერიოდში ერთნაირი ანგარიში აღინიშნა - 1:0. მოძმანაშვილთან მისი შეხვედრაც დამატებითში გადავიდა, სადაც გადამწყვეტი სეტი ბერიანიძემ 2:0 მოიგო.

**დავით ოთიაშვილი** ტურნირს პირველივე წრიდან გამოეთიშა.

საინტერესოა, აქ მსოფლიოზე ვის დააყენებს თურმანიძე? ბერიანიძემ ბალავაძის ტურნირზეც ვერცხლი მოიპოვა, ახლა კი კონკურენტ მოძმანაშვილსაც აჯობა. მაგრამ ამ წონაზე მსჯელობისას ნურც **გიორგი საკანდელიძეს** დავივიწყებთ, რომელიც სამი კვირის წინ ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი გახდა, მომავალ კვირაში კი ამავე ასაკში მსოფლიოს პირველობა ელოდება. თუმცა საეჭვოა, ის ამდენ ტურნირზე აჭიდაონ ასე მიყოლებით. თანაც, ბერიანიძე როგორღაც დაიჩაგრა, რაკი ახალგაზრდებში არც ევროპაზე წაიყვანეს და არც - მსოფლიოზე... მაგრამ დაველოდოთ მწვრთნელთა გადაწყვეტილებას.

1. ფატიჰ ჩაკიროღლუ (თურქეთი), 2. ტერველ დლაგნევი (აშშ), 3. ალი ისაევი (აზერბაიჯანი), **ლევან ბერიანიძე... 5. დავით მოძმანაშვილი,** 17. **დავით ოთიაშვილი** (საქართველო).

**ირაკლი თავაძე**

სუმო



ქართულ-ესტონური დუელი

# უიღბლობას ამას ჰქვია...

ნაგოიას ბაშოს მე-6 დღე ყველაზე უიღბლო გამოდგა ქართველი სუმოისტებისთვის - სამივემ წააგო. ყველაზე ცუდად საქმე ქართველ კომუსუბის **ტოჩინოშინს (ლევან გორგაძე)** აქვს, რომელსაც 1-5 ბალანსი გაუხდა და ტიტულის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშეა. დარჩენილი ცხრა ორთაბრძოლიდან ტოჩინოშინმა 7 მაინც უნდა მოიგოს, თუკი ისევ რიგითი მაეგაშირობა არ სურს. დაგვეთანხმებით, ურთულესი მისიაა, მით უფრო, რომ ჩვენებური დოჰიოზე აშკარად არ ბრწყინავს. გუშინ კომუსუბიმ ესტონელ **ბარუტოსთანაც** წააგო, ბალტიელი ოძეკი მისთვის ერთ-ერთ ყველაზე უხერხულ მეტოქედ ჩამოყალიბდა. ბარუტომ ცაციათი უვატენაგეს ილეთით დააგდო ქართველი ფალავანი. დღეს ორი კომუსუბის რკენაა - ქართველი ტოჩინოშინი მონღოლი **ჰაკუბას** წინააღმდეგ, ორივე პირველად ასპარეზობს ამ რანგში, ორივეს ცუდად აქვს საქმე (თითო მოგება). წესით, ლევანმა უნდა იმარჯვოს, რადგან აქამდე ჰაკუბა ხუთი ცდიდან ხუთჯერ დაამარცხა.

**კოკაი (ლევან ცაგურია)** ლიდერთა შორის იყო, მაგრამ ორი ყოფილი კომუსუბის ორთაბრძოლა **შიმოტორიმ** მოიგო მავაშში ხელის ჩაჭიდებით. „შავი ზღვის" დღევანდელი მეტოქე გამოცდილი **ვაკანოსატოა,** რომელთანაც კოკაის დიდი დაპირისპირება აქვს, აქამდე ისინი 18-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და 9-9-ჯერ იმარჯვეს.

**გაგამარუს (თეიმურაზ ჯუღელი)** მეტოქე **ტამაასუკა** იყო, რომელსაც ნაგოიაში გულშემატკივართა მხარდაჭერა გარანტირებული აქვს, ეს სუმოისტი წარმოშობით ამ ქალაქიდანაა. ქართველმა დოჰიოს კიდემდე მიიყვანა მეტოქე, მაგრამ, აგერ, უკვე მერამდენედ, ბოლო მომენტში გვერდში დარტყმა გამოეპარა. გაგამარუს 2-4 ბალანსი აქვს. მართალია, უარყოფითი ბალანსის შემთხვევაშიც კი ქართველს დაქვეითება ნაკლებად დაემუქრება, მაგრამ დებიუტანტი მაინც ფრთხილად უნდა იყოს და მაქსიმალურად დააგროვოს მოგებები. გაგამარუს მეტოქე მე-9 მაეგაშირა **კაკიძოეა,** რომელსაც, ბუნებრივია, არასოდეს შეხვედრია.

ესეც 38 - დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ** ზედიზედ 38-ე ორთაბრძოლა მოიგო, მან ოშიდაშით თანამემამულე ჰაკუბა განდევნა დოჰიოდან. ასე უიღბლოდ დასრულდა ჰაკუბას პირველი დაპირისპირება იოკოძუნასთან. ბაშოს 4 რიკიში ლიდერობს 6-6 მოგებით, ჰაკუჰო, ბულგარელი ოძეკი **კოტოოშუ** და ორი რიგითი მაეგაშირა, **კაკურიუ** და **ჰომაშო.**

**ივლისის ბაშო. 11-25 ივლისი. ნაგოია (იაპონია)**

**VI დღე:** ჰაკუჰო-ჰაკუბა (ოშიდაში), არანი-ჰამურაფუჯი (ჰიკიოტოში), კოტოოშუ-კიოკუტენჰო (იორიკირი), კაიო-ამინიშიკი (ჰატაკიკომი), ბარუტო-**ტოჩინოშინი** (უვატენაგე), ტოჩიოძანი-კოტოშოგიკუ (ცუკიოტოში), კისენოსატო-ასასეკირიუ (იორიკირი), კაკიძოეტოკიტენკუ (იორიტაოში), ტოკუსეგავა-კიტატაიკი (იორიკირი), კაკურიუ-მოკონამი (შიტატენაგე), ვაკანოსატო-იოშიკაძე (იორიკირი), შიმოტორი-**კოკაი** (იორიკირი), ჰომაშო-ტოსაიუტაკა (იორიტაოში), ტაკამისაკარი-ჰოკუტორიკი (ოკურიდაში), ტაკეკაძე-ბუშუიამა (კატასუკაში), ტამაასუკა-**გაგამარუ** (ცუკიოტოში), კიმურაიამა-შოტენრო (ოშიდაში), საგაცუკასა-ტამავაში (ოშიდაში).

**სატურნირო მდგომარეობა: 6-0: ჰაკუჰო** (იოკოძუნა), **კოტოოშუ** (ოძეკი), **კაკურიუ** (მაეგაშირა 6), **ჰომაშო** (მ 13). **5-1: კაიო** (ოძეკი), **კისენოსატო** (სეკივაკე)... **4-2: კოკაი** (მ 12)... **2-4: გაგამარუ** (მ 12)... **1-5: ტოჩინოშინი** (კომუსუბი).

**VII დღე: ქართველთა მეტოქეები:** ტოჩინოშინი-ჰაკუბა, გაგამარუ-კაკიძოე, კოკაი-ვაკანოსატო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი ერი

# ერთი კვირა ფიქრისა და განსჯისთვის

სამი ერის გათამაშების მეორე ტურს მსოფლიოს სარაგბო თემი მოუთმენლად ელოდება. ყველას აინტერესებს, შეძლებს თუ არა სამხრეთ აფრიკის ნაკრები პირველ ტურში, ოქლენდში ახალ ზელანდიასთან თითქმის კატასტროფული მარცხის გამო რევანშის აღებას.

ოქლენდიდან ველინგტონამდე ერთკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე მსოფლიოს ჩემპიონებმა ნაყოფიერად იმუშავეს. „ოლ ბლექსთან" პირველ მატჩში უსუსური თამაშის მიუხედავად, „ბოკეს" თავკაცი **პიტერ დე ფილიერსი** იმავე შემადგენლობას ენდო. მან მხოლოდ ორი იძულებითი ცვლილება განახორციელა. დისკვალიფიცირებული მეორეხაზელის **ბაკის ბოთას** ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში **დენი როსუ** დადგება, პირველხაზელ **იანი დუ პლესის** კი **სი ჯეი ფან დერ ლინდე** შეცვლის.

საკვირველია, მაგრამ დე ფილიერსი ჯიუტად არ ცვლის ცხრა ნომერ **რიკი იანუარის** მაშინ, როცა „ბოკესა" და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ცხრა ნომერი **რუან პინარი** აბსოლუტურად ჯანმრთელია და სათადარიგოთა სკამზე ზის. საგულისხმოა, რომ პინარი და „ბოკეს" მგეზავი **მორნი სტეინი** თანაკლუბელები არიან. „ბლუ ბულზი" ორი წელიწადია, ზეპური რაგბის საუკეთესო გუნდია და ამაში ამ ორ მორაგბეს დიდი წვლილი მიუძღვის. ისინი თამაშს უნარიანად წარმართავენ და მათი ცხრა-ათი ნომრების წყვილი მსოფლიოში საუკეთესოა. პიტერ დე ფილიერსი კი მათ ნაკრებში ერთად თამაშის საშუალებას არ აძლევს.

სამხრეთაფრიკელთა გუნდი მსოფლიოში ყველაზე გამოცდილიცაა. ნაკრების იმ წევრებს, რომლებიც დღეს ველინგტონში ახალზელანდიელებს დაუპირისპირდებიან, ჯამში 700 კეპი აქვთ მოპოვებული.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ „ბოკეს" მწვრთნელი რისკავს, პირველ მატჩში დამარცხებულ შემადგენლობას რომ ენდობა. სავარაუდოდ, ის გუნდს მხოლოდ მორიგი წაგების შემდეგ გაახალისებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი კვირის შემდეგ ავსტრალიაში, მესამე მატჩშიც კატასტროფა ელის. ერთი სიტყვით, დღევანდელმა შეხვედრამ ეჭვები უნდა გაუქარწყლოს იმათ, ვინც ფიქრობს, რომ „სპრინბოკს" კრიზისი დაეწყო.

ეს კი ახალზელანდიელებს ოდნავაც არ აღელვებთ. პირველ მატჩში სამხრეთაფრიკელთა ცუდი თამაში მათთვისაც დიდი მოულოდნელობა იყო და ძალიან კარგად იციან, რომ ამჯერად სრულიად სხვა გუნდის წინააღმდეგ მოუწევთ თამაში.

„მთელი კვირის განმავლობაში ჩვენი მიზანი საბრძოლო განწყობის შენარჩუნება, ფსიქოლოგიური წნეხის დაძლევა იყო. ჩვენგან ყველა ისევ ტრიუმფალურ გამარჯვებას ელის. ეს შეუძლებელი არ არის, მაგრამ ძალიან ძნელი იქნება. „ბოკე" მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებია და კარგად იცის, დაშვებული შეცდომები როგორ გამოასწოროს. ერთი სიტყვით, უმძიმესი ბრძოლა გველის" - თქვა ახალი ზელანდიის ნაკრების კაპიტანმა **რიჩი მაკქოუმ.**

„ოლ ბლექსის" თავკაცმა **გრემ ჰენრიმ** ვიზავის მსგავსად ორი იძულებითი ცვლილება განახორციელა. „ბოკესთან" ვერ ითამაშებენ წამყვანი მორაგბეები **ჯო როკოთოკო** და **რიჩარდ კაჰუი.** ტრავმამოშუშებული ცხრა ნომერი **კორი ჯეინი** სათადარიგოთა სკამზე იჯდება. მის ნაცვლად კი ითამაშებს **პირი ვიპუ**, რომელიც ახალი ზელანდიის ნაკრებში ამ პოზიციაზე მუდმივად მეორე ნომერია.

Planetrugby-ს პროგნოზით, მინიმუმ შვიდი ქულით ახალი ზელანდიის ნაკრები მოიგებს.

**ახ. ზელანდია-სამხ. აფრიკა**

ახალი ზელანდია: **15. მალილი მულიაინა, 14. კორი ჯეინი, 13. კონრად სმითი, 12. მაა ნონუ, 11. რენ რეინჯერი, 10. დენ კარტერი, 9. პირი ვიპუ. 1. ტონი ვუდკოქი, 2. კევინ მეალამუ, 3. ოუენ ფრენქსი, 4. ბრედ თორნი, 5. ტომ დონელი, 6. ჟერომ კაინო, 7. რიჩი მაკქოუ, 8. კირან რიდი**

*16. კორი ფლინი, 17. ბენ ფრენქსი, 18. სემ ვაითლოქი, 19. ლიამ მესამი, 20. ჯიმი ქოუანი, 21. აარონ კრადენი, 21. იზრაელ დაგი*

სამხრეთ აფრიკა: **15. ზან კირშნერი, 14. იან დე ფილიერსი, 13. ჟაკ ფური, 12. ვინანდ ულიფიე, 11. ბრაიან ჰაბანა, 10. მორნი სტეინი, 9. რიკი იანუარი. 1. ხუთრო სტენკამპი, 2. ჯონ სმიტი, 3. სი ჯეი ფან დერ ლინდე, 4. დენი როსუ, 5. ვიქტორ მეტფილდი, 6. სხალკ ბურხერი, 7. ფრანსუა ლავი, 8. პიერ სპისი**

*16. ჩილიბოი რელეპელე, 17. ბი ჯეი ბოთა, 18. ანდრიას ბეკერი, 19. რაიან კანკოვსკი, 20. რუან პინარი, 21. ბუჩ ჯეიმზი, 22. ხიო ეპლონი*

| სამი ერი |
| --- |
| **24 ივლისი** |
| ავსტრალია-სამხრეთ აფრიკა |
| **31 ივლისი** |
| ავსტრალია-ახალი ზელანდია |
| **7 აგვისტო** |
| ახალი ზელანდია-ავსტრალია |
| **21 აგვისტო** |
| სამხრეთ აფრიკა-ახალი ზელანდია |
| **28 აგვისტო** |
| სამხრეთ აფრიკა-ავსტრალია |
| **4 სექტემბერი** |
| სამხრეთ აფრიკა-ავსტრალია |
| **11 სექტემბერი** |
| ავსტრალია-ახალი ზელანდია |



ტრანსფერები



# ირაკლი გიორგაძე სტრასბურში

საქართველოს ნაკრების წევრი **ირაკლი გიორგაძე** კარიერას ფედერალ 1 დივიზიონის „სტრასბურში" გააგრძელებს. „ბორჯღალოსანთა" შუამარბმა, რომელიც წლების განმავლობაში ელიტურ პირველ და მეორე დივიზიონებში თამაშობდა, სერიოზული ტრავმის მოშუშების შემდეგ გასული სეზონი ფედერალ 1 დივიზიონის „შამბერის" შემადგენლობაში გაატარა. „შამბერიმ" წარუმატებლად იასპარეზა და ფედერალ 2 დივიზიონში დაქვეითდა.

ამასთან, ცნობილი გახდა, რომ **დავით ბოლღაშვილისა** და **სოსო ნიკოლაენკოს** „ლილმა" ადმინისტრაციულ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ლილელები ფინანსური პრობლემების გამო კლუბის ფედერალ 2-ის დივიზიონში დაქვეითებას აპროტესტებენ.

შეგახსენებთ, რომ „ლილს" ბიუჯეტში 14 ათასი ევროს დეფიციტი აღმოუჩინეს და ერთი დივიზიონით დააქვეითეს. ჩვენებურთა გუნდის ბედი საბოლოოდ ივლისის ბოლოს გაირკვევა.

ქარის თასი

# ვინ დარჩება დაუმარცხებელი?

ქარის თასის გათამაშების მეორე ტურში ორი ცენტრალური შეხვედრა გაიმართება. ჩემპიონი „ბლუ ბულზი" დურბანში „ნატალ შარქსს" სტუმრობს. ასევე სტუმრად თამაშობს „ვესტერნ პროვანსთან" გათამაშების ლიდერი „ლაიონზი". ცხადია, ინტერესმოკლებული არც სხვა მატჩები იქნება.

დავიწყოთ პირველი ტურის სენსაციის ავტორით: „გრიკასმა" ურთულეს ბრძოლაში ერთ-ერთი ფავორიტის, „ნატალ შარქსის" დამარცხება შეძლო. ამჟამად კი ბლუმფონტეინში ეთამაშება „ჩიტაზს", რომელთანაც შარშან ნახევარფინალში დამარცხდა. თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წლევანდელი სეზონისთვის გრიკასელები ბრწყინვალედ მოემზადნენ, რასაც „ზვიგენების" დამარცხებაც ადასტურებს.

სტუმრებს ზე 14-ის გუნდთან დაცვაში მეტი ყურადღებით თამაში მართებთ. „ჩიტაზმა", შარშანდელი სეზონისგან განსხვავებით, წლეულს წაგებით დაიწყო და ყველაფერს ილონებს, რათა სტუმარი გაწბილებული გაუშვას.

პირველ ტურში კიმბერლიში წაგებამ „ნატალ შარქსი" უძნელეს მდგომარეობაში ჩააგდო. მეორე ტურში მეტოქე „ქარის თასის" მფლობელი პრეტორიის „ბლუ ბულზია". „გრიკასთან" მატჩში გამოჩნდა, რომ დურბანელებს სერიოზული პრობლემები აქვთ შერკინებაში.

„ამჯერად უკეთ მოვემზადეთ, ვიდრე „გრიკასთან" მატჩისთვის. ვფიქრობთ, ეს ერთი კვირა ნაყოფიერად გამოვიყენეთ და შერკინებაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა შევძელით,"- თქვა „ნატალ შარქსის" მწვრთნელმა **ჯონ პლამტრიმ.**

პირველ ტურში გამარჯვების მიუხედავად, თამაშის ხარისხით კმაყოფილი არც „ბლუ ბულზის" მწვრთნელთა შტაბია. მეორე ტაიმში დერეფანი მთლიანად დათმეს და შეთანხმებულად ვერც უკანა ხაზი ირჯებოდა. ასე რომ, ორივე გუნდი დღეს, უწინარესად, თამაშის ხარისხის გაუმჯობესებაზე იზრუნებს.

სტუმრების იმედი პირველხაზელები **ვერნ კრუხერი** და **გარი ბოთა** იქნებიან. „ლურჯი ხარების" შემადგენლობაში გამოჩნდა **ვილხელმ სტენკამპი,** რომელიც წლეულს სწორედ „ნატალ შარქსიდან" გადაბარგდა. ის ძირითად შემადგენლობაში სამხრეთ აფრიკის ნაკრებში გამოძახებული **ფილიპ ფან დერ მერვეს** ნაცვლად მოხვდა.

ნუთუ „ლაიონზის" აღორძინება დაიწყო? ალბათ, ჯერ ადრეა დასკვნის გამოტანა, თუმცა დამაჯერებელი, 30-ქულიანი სხვაობით მოგება „ლეოპარდსთან" - 43:16, გუნდის ქომაგებს იმედებს უსახავს.

მეორე ტურში ნიულენდში თამაში ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. „ლაიონზის" მეტოქე „ვესტერნ პროვანსმა" სტუმრად უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა „ჩიტაზთან" და ამბიციამოძალებულ მეტოქეს, ვფიქრობთ, არაფერს დაუთმობს.

| ქარის თასი |
| --- |
| **II ტური** |
| **ჩიტაზი-გრიკასი** |
| **ვესტერნ პროვანსი-ლაიონზი** |
| **ნატალ შარქსი-ბლუ ბულზი** |
| **პუმასი-ლეოპარდსი** |

სატურნირო მდგომარეობა: **1. ლაიონზი - 5 ქულა, 2. ბლუ ბულზი - 5, 3. გრიკასი - 5, 4. ვესტერნ პროვანსი - 4, 5. ნატალ შარქსი - 2, 6. ჩიტაზი - 0, 7. პუმასი - 0. 8. ლეოპარდსი - 0.**



ამბები

## ტესტები მთელ იტალიაში

იტალიის რაგბის ფედერაცია არჩეულ პოლიტიკას განაგრძობს, ეროვნული ნაკრები ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში ასპარეზობს, რაც რაგბის პოპულარიზაციას უწყობს ხელს.

იტალიის ნაკრები ნოემბრის ტესტებისას სამ მატჩს გამართავს. პირველ შეხვედრაში „სკუადრა აძურა" 13 ნოემბერს ვერონაში არგენტინის ნაკრებს უმასპინძლებს. ერთი კვირის თავზე ფლორენციაში, „არტემიო ფრანკიზე" ავსტრალიას მიიღებს. 27 ნოემბერს კი მოდენაში ფიჯის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.

შეგახსენებთ, რომ შარშან იტალიისა და ახალი ზელანდიის ნაკრებების მატჩს მილანის „სან სიროზე" 80 ათასი ქომაგი დაესწრო. უდინეში კი სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდთან დაპირისპირება 30 ათასმა მაყურებელმა ნახა.

## ქუადე კუპერს ბრალდება მოუხსნეს

ბრისბენის „რედსისა" და ავსტრალიის ნაკრების მგეზავ **ქუადე კუპერს** ბრალდება მოუხსნეს. სასამართლო პროცესზე განმეორებით მოსმენას კუპერი არ დასწრებია, რადგან ავსტრალიის ნაკრების საწვრთნელ შეკრებაზეა და დიდი შანსია, 24 ივლისს სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან მატჩში ძირითად შემადგენლობაში ითამაშოს.

22 წლის კუპერს, რომელმაც „ვოლაბების" შემადგენლობაში 15 კეპის მოხვეჭა მოასწრო, ქურდობა ბრალდებოდა. მოსარჩელის განცხადებით, მან სერფინგისტებს ორი პერსონალური კომპიუტერი მოჰპარა.

კუპერის ადვოკატების თქმით, სასამართლოზე მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა კუპერის დანაშაულის დამაჯერებელი მტკიცებულება. ამიტომ მართლმსაჯულებამ გადაწყვიტა, მას ბრალდება მოუხსნას და უდანაშაულოდ ცნოს.

ავსტრალიის რაგბის კავშირი უახლოეს დღეებში თავად მიიღებს გარკვეულ სადამსჯელო სანქციებს, რადგან კუპერისთვის ეს არ იყო ერთადერთი სამართალდარღვევა. ორი კვირის წინ ავტომობილით მოძრაობისას წესის დარღვევის გამო 7 500 ავსტრალიური დოლარით (4 350 გირვანქა სტერლინგი) დააჯარიმეს.

„მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ჩემთვის ამ უმძიმეს დღეებში გვერდში დამიდგა, მეხმარებოდა. განსაკუთრებით ოჯახის წევრებს და მეგობრებს. მოხარული ვარ, რომ ყველა სიძნელე უკან დარჩა და მხოლოდ ავსტრალიის ნაკრებში თამაშზე კონცენტრაციის საშუალება მეძლევა", - თქვა ქუადე კუპერმა

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA

# პირსი ბოსტონში დარჩა

## ანფერნი ჰარდუეის მაიამიში დაბრუნების სურვილი გაუჩნდა



როგორც მოსალოდნელი იყო, „ბოსტონ სელტიქსის“ კაპიტანმა **პოლ პირსმა** მშობლიურ კლუბში დარჩენა გადაწყვიტა. ვეტერანმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა „კელტებთან“. ხელშეკრულების ფინანსური პირობები არ გახმაურებულა, მაგრამ The Boston Herald-ის ცნობით, პირსი დაახლოებით 61 მილიონ დოლარს მიიღებს. კალათბურთელმა აღიარა, რომ სხვაგან გადასვლა არც უფიქრია, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ კლუბს მძიმე მუშაობა მოუწევს თამაშის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

*„ვფიქრობ, ჯერმეინ ო'ნილის გაფორმება სწორი ნაბიჯი იყო. თუ რაშიდ უოლასი კარიერის დასრულებას გადაწყვეტს, მას სწორედ ჯერმეინი შეცვლის.*

*ძალიან ბევრი მუშაობა დაგვჭირდება ახალი გუნდის ასაწყობად. დავკარგეთ ტონი ალენი, ჩვენთან არ არის ნეიტ რობინსონი და ალბათ, რაშიდიც წავა. პირველ რიგში, პერიმეტრზე დაცვა უნდა გავაძლიეროთ, აგრეთვე გამთამაშებელი გვჭირდება, რომელიც რაჟონ რონდოს დუბლიორის ფუნქციებს შეასრულებს“*, - განაცხადა პოლ პირსმა.

შეგახსენებთ, რომ „ბოსტონმა“ უფრო ადრე **რეი ალენი** შეინარჩუნა, ხოლო ამ გუნდის ერთადერთი ახალი კალათბურთელი **ჯერმეინ ო'ნილი** გახლავთ.

■ ■ ■

კიდევ ერთი ახალწვეული ჰყავს „მაიამი ჰიტს“. **ლებრონ ჯეიმსისა** და **კრის ბოშის** შემდეგ, ფლორიდელთა რიგებში ჩაირიცხა „ვაშინგტონ უიზარდსის“ ყოფილი მოთამაშე **მაიკ მილერი**. კალათბურთელმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებები დასრულდა და „ჰიტთან“ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ხელშეკრულების ფინანსურ მხარეზე არაფერი თქმულა.

გასულ სეზონში მილერმა რეგულარულ ჩემპიონატში 54 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 10.8 ქულითა და 6.2 მოხსნით დაეხმარა დედაქალაქურ კლუბს.

ამასობაში, „მაიამის“ გრანდიოზულმა ტრანსფერებმა კალათბურთში დაბრუნების სურვილი გაუღვიძა საყოველთაოდ ცნობილ **ანფერნი ჰარდუეის**. 39 წლის მცველმა ადგილობრივი რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში ბოშთან, **უეიდთან** და ლებრონთან თამაშის სურვილი გამოთქვა.

*„ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად კარიერა დავასრულე, მაგრამ როცა „მაიამიში“ ბოშისა და ჯეიმსის მისვლის შესახებ შევიტყვე, ვიგრძენი, რომ შემიძლია ამ გუნდის შემადგენლობის შევსება“*, - აცხადებს ანფერნი.

ჰარდუეიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ მუხლებთან დაკავშირებული პრობლემები აღარ აწუხებს (სწორედ ამ მიზეზით დაასრულა მან კარიერა), ფიზიკური მომზადების მხრივ კი შესანიშნავად არის საქმე - ვეტერანი კვირაში ოთხჯერ ინდივიდუალურ ვარჯიშებს ატარებს.

ანფერნი კალათბურთიდან 2007 წელს სწორედ „მაიამის“ მოთამაშის რანგში წავიდა.

■ ■ ■

არ დადასტურდა ჭორი **ლუის სკოლას** ევროპაში დაბრუნების შესახებ. მართალია, ოფიციალურად არ დადასტურებულა, მაგრამ უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ არგენტინელი ცენტრი „ჰიუსტონ როკეტსში“ დარჩება. როგორც გაზეთი Houston Chronicle ამტკიცებს, ლაპარაკია ხუთწლიან კონტრაქტზე, რომლის ღირებულება 47 მილიონ დოლარს შეადგენს.

გასულ სეზონში ლუისმა რეგულარული ჩემპიონატის ყველა მატჩში ითამაშა და საშუალოდ 16.2 ქულა და 8.6 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბი „გოლდენ სტეიტ უორიორზი“ სარეკორდო თანხად გაიყიდა. გუნდის ახალი მფლობელები გახდნენ **ჯო ლეიკობი** და **პიტერ გუბერი**. როგორც სააგენტო AP წერს, მათ ეს გარიგება 450 მილიონი დოლარი დაუჯდათ, რაც ლიგის ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია.

მანამდე ყველაზე ძვირადღირებულ გარიგებად 2004 წელს „ფინიქს სანზის“ 401 მილიონ დოლარად შეძენა მიიჩნეოდა.

მძლეოსნობა

# სემენია მოგებით დაბრუნდა

სკანდალურად ცნობილმა სამხრეთაფრიკელმა მორბენალმა **კასტერ სემენიამ** თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ პირველად მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირში. გენდერული ტესტის წარმატებით გავლის შემდეგ, სემენიამ კარიერის განახლება ფინეთის ქალაქ ლაპეენტრანტაში გადაწყვიტა, სადაც თავის საყვარელ დისტანციაზე - 800 მეტრზე გამოვიდა და პირველობა მოიპოვა.

როგორც მსოფლიოს ჩემპიონმა განაცხადა, სტარტის წინ ძალიან ინერვიულა და ამის გამო საბოლოო შედეგმა არ დააკმაყოფილა, თუმცა გულშემატკივრებს დაჰპირდა, რომ სულ მალე მოუმატებს ტემპს. სემენიამ დისტანცია 2 წუთსა და 4.22 წამში გაირბინა და 49 მეასედი წამით აჯობა უახლოეს მდევარს.

*„800 მეტრის 2 წუთსა და 4 წამში გარბენა რთული იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გენდერული ტესტისა და უაზრო ბრალდებების გამო გადავიტანე. სარბენ ბილიკზე დიდი ხანია არ ვყოფილვარ და ამის გამო გვარიანად ვინერვიულე. პრაქტიკულად თავიდან ვიწყებ კარიერას. იქნებ ეს იძულებითი დასვენება სასარგებლოც კი იყო - პაუზა ავილე მას შემდეგ, რაც შარშან ბერლინში 800 მეტრზე პირადი რეკორდი დავამყარე. ჯერ ახალგაზრდა ვარ, ჩემი კუნთები ვითარდება, ამიტომაც უფრო სწრაფად სირბილიც შემიძლია“*, - ამბობს სააგენტო „როიტერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სემენია.

ამბები

ჰოკეი

### ბრინდამორს ნომერი აჩუქეს

ჰოკეის ეროვნული ლიგის გუნდმა „კაროლინა ჰარიკეინზმა“ ყოფილ კაპიტან **როდ ბრინდამორს** სამუდამო მფლობელობაში გადასცა 17-ნომრიანი მაისურა. კლუბის ლეგენდარულმა ფორვარდმა ამ ზაფხულს გადაწყვიტა კარიერის დასრულება და ამიერიდან მისი ნომრით „კაროლინაში“ აღარავინ ითამაშებს.

ბრინდამორმა ლიგაში 1484 მატჩი (მე-16 მაჩვენებელი NHL-ის ისტორიაში) ჩაატარა. მის ანგარიშზე 1184 ქულა (452 გოლი+732 შედეგიანი პასი) მოდის.

*„ჩვენი კლუბის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი მაშინ დადგა, როცა ბრინდამორმა თავს ზემოთ ასწია სტენლის თასი. ეჭვგარეშეა, რომ ჩვენი დიადი კაპიტნის მაისურა სამუდამოდ უნდა დაიკიდოს RBC Center-ის თაღზე, რაც მოხდება კიდეც მომავალი წლის 18 თებერვალს. ეს საღამო განსაკუთრებული იქნება მათთვის, ვისაც ჩვენს კლუბთან აქვს კავშირი“*, - წერია „კაროლინას“ ოფიციალურ განცხადებაში.

### კოივუს ახალი კონტრაქტი

„მინესოტა უაილდის“ კაპიტანმა **მიკო კოივუმ** ახალი შვიდწლიანი კონტრაქტი გააფორმა თავის ამჟამინდელ კლუბთან. აღსანიშნავია, რომ ფინელმა ფორვარდმა გასულ წელს კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა - ფინეთის ნაკრებთან ერთად ვანკუვერის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, NHL-ში კი შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა - 71 ქულა (22+49) დააგროვა.

„მინესოტას“ გენერალურმა მენეჯერმა **ჩაკ ფლეტჩერმა** აღნიშნა, რომ 27 წლის კოივუ კლუბის საუკეთესო მოთამაშეა და საუკეთესო წლები წინ აქვს.

კრივი

### კლიჩკოს ბრიგსი შეხვდება

დიდია ალბათობა იმისა, რომ სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონ **ვიტალი კლიჩკოს** მომდევნო მეტოქე ამერიკელი **შენონ ბრიგსი** (51-5-1, 45 KO) იქნება.

როგორც Fightnews.com წერს, WBO-ის ვერსიით მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი და ამჟამად WBC-ის რეტინგში მერვე ადგილზე მყოფი ბრიგსი სულ მალე გააფორმებს კონტრაქტს ვიტალისთან ბრძოლაზე.

ამასთან, თითქმის ჩაიშალა უფროს კლიჩკოსა და რუს **ნიკოლაი ვალუევს** შორის მოლაპარაკებები. ამის შესახებ ჟურნალისტებს უკრაინელი მოკრივის მენეჯერმა **ბერნდტ ბენტემ** შეატყობინა.

ჩოგბურთი

### ფრანგების რთული არჩევანი

ხუთი ფრანგული ქალაქი აცხადებს პრეტენზიას დევისის თასის ნახევარფინალის მასპინძლობაზე. 17-19 სექტემბერს საფრანგეთისა და არგენტინის მატჩის ორგანიზება მონპელიეს, პოს, ტულუზას, სტრასბურსა და ლიონს სურთ.

უკვე ცნობილია, რომ ფრანგები, რომლებსაც კორტის საფარის არჩევის უფლება აქვთ, დარბაზში თამაშს ამჯობინებენ, ანუ იმ პირობებში, რომელშიც გერმანია და ესპანეთი დაამარცხეს.

არგენტინამ მეოთხედფინალში რუსეთს სწორედ დარბაზში აჯობა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ფინეთი** | |
| იარო-ლაჰტი | 2:0 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ავსტრია (ლ)-სტ. ანდრე | 0:1 |
| ადმირა-ლუშტენაუ | 1:1 |
| ჰარტბერგი-სტ. პოლტენი | 2:2 |
| ვენა-გრიოდიგი | 3:2 |
| გრატკორნი-ალტახი | 0:5 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-სლიგო | 2:0 |
| უნივერსიტი-ბრეი | 4:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ფინ ჰარპსი-უოტერფორდი | 1:1 |
| მონეგანი-კორკი | 1:0 |
| შელბურნი-დერი | 1:2 |
| უექსფორდი-ლიმერიკი | 5:3 |
| **ჩეხეთი** | |
| ბოჰემიანსი-სლავია | 1:1 |
| **უკრაინა** | |
| მეტალურგი (დ)-ობოლონი | 3:0 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. გშტადი** | |
| ფერერი-კუევასი | 6:3, 6:3 |
| ვერდასკო-**რობრედო** | 4:6, 3:6 |
| **სიოდერლინგი**-სეპი | 4:6, 7:5, 7:6 |
| **ალმაგრო**-სკოგური | 4:6, 6:4, 6:0 |
| **ATP. შტუტგარტი** | |
| მელცერი-**მონტანიესი** | 4:6, 1:6 |
| **ფერერო**-გროილი | 6:3, 7:5 |
| **მონფილსი**-ფ. მაიერი | 5:7, 6:3, 6:4 |
| **ხიმენო ტრაველო**-ჩიუდინელი | 6:1, 6:3 |
| **WTA. პალერმო** | |
| რეზაი-**ოპრანდი** | 5:7, 0:6 |
| **გორჯესი**-კრეიბასი | 6:2, 6:4 |
| **კანეპი**-ერანი | 6:2, 6:2 |
| **პენეტა**-ლაგოსტერა | 6:4, 6:2 |
| **WTA. პრაღა** | |
| **შნიდერი**-ტატიშვილი | 2:6, 6:2, 7:5 |
| **ზ. ზახვალოვა**-ლარსონი | 6:2, 4:6, 7:5 |
| მედინა გარიგესი-**ჰრადეცკა** | 4:6, 5:7 |
| **შავაი**-ჰერცოგი | 6:1, 6:4 |

TV პროგრამა

**17 ივლისი. შაბათი**

**მზე**

**13:00** იმედის ფსონი

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:00** 2:1 - საფეხბურთო ტოქ შოუ.
**08:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. პორტუ-არსენალი.
**10:05** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. პანათინაიკოსი-რომა.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** სასტვენი.
**13:10** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
**15:00** ახალი ამბები.
**15:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ოლიმპიაკოსი-ბორდო.
**17:20** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ვილიარეალი-ვოლფსბურგი.
**19:10** 90 წუთი - სპეციალური გამოშვება.
**21:00** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ლივერპული.
**22:50** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ცსკა-სევილია.
**00:45** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. სპორტინგი-ევერტონი.
**02:35** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შალკე.
**04:25** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ სიტი.

**EUROSPORT**

**10:30** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**11:00** რალი. IRC-ის სერია. აკორეში. პორტუგალია.
**11:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-კოლუმბია. გერმანია.
**13:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XII ეტაპი. ბურ დე პეაჟი-მენდე.
**14:25** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**14:30** ავტოსპორტი. ფორმულა 2. I რბოლა. ბრენდს ჰეტჩი. ბრიტანეთი (LIVE).
**15:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIII ეტაპი. როდეზი-რეველი (LIVE).
**19:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. განა-ს. კორეა. გერმანია.
**20:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ინგლისი-მექსიკა. გერმანია (LIVE).
**22:00** პროფესიული კრივი.
**00:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
**00:55** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**01:00** რალი. IRC-ის სერია. აკორეში. პორტუგალია.
**01:30** ავტოსპორტი. რბოლა ამტანობაზე. ლე მანის სერია. 1000 კმ. პორტიმანი. პორტუგალია (LIVE).
**02:00** ბრძოლა წესების გარეშე.
**03:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
**03:55** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.

**18 ივლისი. კვირა**

**მზე**

**13:00** იმედის ფსონი

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:15** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. რუბინი-ჰაპოელი (თ-ა).
**08:10** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. შტუტგარტი-ბარსელონა.
**10:10** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ბორდო.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ლივერპული.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ცსკა-სევილია.
**16:05** ახალი ამბები.
**16:20** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. სპორტინგი-ევერტონი.
**18:10** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შალკე.
**20:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ინტერი-ჩელსი.
**22:00** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-ვალენსია.
**23:50** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ვოლფსბურგი-ვილიარეალი.
**01:40** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-იუვენტუსი.
**03:30** 90 წუთი - სპეციალური გამოშვება.
**05:15** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.

**EUROSPORT**

**10:30** რალი. IRC-ის სერია. აკორეში. პორტუგალია.
**11:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ინგლისი-მექსიკა. გერმანია.
**12:30** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია. ბრენდს ჰეტჩი. ბრიტანეთი.
**13:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. გასახურებელი წრე. ბრენდს ჰეტჩი. ბრიტანეთი (LIVE).
**13:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIII ეტაპი. როდეზი-რეველი.
**14:40** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**14:45** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ბრენდს ჰეტჩი. ბრიტანეთი (LIVE).
**15:45** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIV ეტაპი. რეველი-არტუა დომეინი (LIVE).
**19:45** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ბრენდს ჰეტჩი. ბრიტანეთი.
**20:15** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ინგლისი-ავსტრია. საფრანგეთი (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-ჰოლანდია. საფრანგეთი (LIVE).
**00:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
**00:55** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**01:00** რალი. IRC-ის სერია. აკორეში. პორტუგალია.
**01:30** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ბრენდს ჰეტჩი. ბრიტანეთი.
**02:00** ავტომოტოსპორტი. უიქ ენდის მიმოხილვა.
**02:15** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
**03:10** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**03:15** ავტომოტოსპორტი. უიქ ენდის მიმოხილვა.

ფორმულა 1

# ბუემი კონტრაქტს არ ადასტურებს

გაურკვევლობაა „ტორო როსოს“ შემადგენლობაში. იტალიურმა საჯინიბომ ორი დღის წინ გამოაცხადა, რომ მომავალი წლისთვის შეინარჩუნა შემადგენლობა - 2011 წელს ამ გუნდის მანქანებით კვლავ შვეიცარიელი **სებასტიან ბუემი** და ესპანელი **ხაიმე ალგერსუარი** ირბოლებენ.

ამის შესახებ ჟურნალისტებს „ტორო როსოს“ ხელმძღვანელმა **ფრანც ტოსტმა** აცნობა. მაგრამ მეორე დღეს, ჟურნალისტებს თავგზა აუბნია ბუემიმ. გაზეთ Blick-ითვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ თავის ამჟამინდელ გუნდთან არანაირი დოკუმენტზე არ მოუწერია ხელი.

*„არაფერია გადაწყვეტილი. ზოგიერთი დეტალი ჯერ კიდევ დასაზუსტებელია, ასე რომ, კვლავაც პილოტთა ბაზარზე ვიმყოფები“*, - ამბობს ბუემი.

არსებობს ვარაუდი იმის შესახებ, რომ სებასტიანი „რედ ბულთან“ გააფორმებს კონტრაქტს, თუ ეს გუნდი სეზონის ბოლოს **მარკ უებერთან** გამოთხოვებას გადაწყვეტს. გარდა ამისა, შვეიცარიელი მზად არის სხვა გუნდების წინადადებების განსახილველად. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი გუნდია ფრანგული „რენო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ვილნევი საკუთარი გუნდით ბრუნდება?

მომავალ წელს ფორმულა 1-ის პელოტონს მე-13 გუნდი დაემატება და ამ ვაკანტური ადგილის დასაკავებლად დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. უკვე ცნობილია, რომ „დიდ ცირკში" მოსასვლელად რამდენიმე ესპანური გუნდი ემზადება, თუმცა პრესაში გაჩნდა მოულოდნელი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფორმულა 1-ში საკუთარი გუნდით აპირებს დაბრუნებას მსოფლიოს ექსჩემპიონი **ჟაკ ვილნევი.** მისი საჯინიბოს სახელწოდებაა - Villeneuve Racing.

ბოლოს კანადელმა ფორმულა 1-ის სამყაროს ნახევარი წლის წინ შეახსენა თავი, როცა US F1-თან კონტრაქტის გაფორმებასა და ამერიკული გუნდის სახელით მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ სარბოლო სერიაში გამოსვლას აპირებდა. მაგრამ ამერიკელთა პროექტი არ განხორციელდა, რის შემდეგაც 39 წლის კანადელმა „სტეფან გრან-პრიში" მოწყობა სცადა, თუმცა არც ამ გუნდს ეღირსა ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერის **ბერნი ექლსტოუნის** წყალობა. ბოლოს ვილნევი ნასკარის სერიის რამდენიმე რბოლაში გამოსვლით დაკმაყოფილდა.

მაგრამ როგორც ირკვევა, მთელი ამ დროის განმავლობაში ჟაკი ფორმულა 1-ში დასაბრუნებლად ემზადებოდა, თანაც ახალ ამპლუაში - ის გუნდის მფლობელი იქნება. ჟურნალ Auto Motor und Sport-ის ინფორმაციით, ვილნევის მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტებმა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციაში უკვე რამდენიმე შემოწმება გაიარა და პრეტენდენტთა საბოლოო სიაშიც მოხვდა.

ასევე იტყობინებიან, რომ კანადელმა, შესაძლოა, თავის გუნდში სამუშაოდ მიიწვიოს „რენოს" ყოფილი ხელმძღვანელები - **ფლავიო ბრიატორე** და **პეტ სიმონდსი.** პირველი გუნდის ხელმძღვანელად და მეორე - ტექნიკურ დირექტორად.

საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოცხადებული კონკურსის თარიღი რამდენჯერმე შეიცვალა. ამის გამო, მთავარმა ფავორიტმა - ART Grand Prix-მ უკან გაიტანა საკუთარი განაცხადი. ამ საჯინიბოს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ კონკურსის მოგების შემთხვევაში დრო არ ეყოფოდა პროექტის განსახორციელებლად.



კიდევ ერთი კანდიდატია ამერიკული გუნდი Cypher Group, რომელმაც ივლისის დასაწყისში შეიტანა განაცხადი. როგორც ირკვევა, კონკურსის მოგების შემთხვევაში ამერიკელები ერთ-ერთ პილოტად „რენოდან" სკანდალურად წასული ბრაზილიელის - **ნელსინიო პიკეს** მიწვევას აპირებენ. ის ამერიკელ **ჯონათან სამერტონის** მეწყვილე იქნება.

გარდა ამისა, გაირკვა Cypher Group-ის პროექტის ზოგიერთი დეტალი - აქ US F1-ის ყოფილი თანამშრომლები იმუშავებენ და მათ „ბრაუნ გრან-პრის" ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელი **სტივ ბრაუნი** შეუერთდება.

2011 წლისთვის ფორმულა 1-ში ადგილის დასამკვიდრებლად ბრძოლა დასკვნით ეტაპს უახლოვდება. შემოწმებისას ფედერაცია მთავარ აქცენტს პროექტების ფინანსურ გარანტიებზე გააკეთებს.

# კიმი რალიში რჩება

როგორც ჩანს, მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონი **კიმი რაიკონენი** არ ფიქრობს ფორმულა 1-ში დაბრუნებაზე და მომავალ წელსაც რალის მსოფლიოს ჩემპიონატში აპირებს კარიერის გაგრძელებას.

მართალია, რაიკონენს რალიში მომავალი წლისთვის კონტრაქტი არ გააჩნია, მაგრამ ფინელი ჟურნალისტების ინფორმაციით, კიმი მაინც არ აპირებს ამ ჩემპიონატის დატოვებას და „რედ ბულთან" ხელშეკრულების გაგრძელება აქვს გადაწყვეტილი. გამორიცხული არ არის, რომ ამ კონტრაქტმა მას 2012 წელს ფორმულა 1-ში დაბრუნების საშუალება მისცეს.

*„ფორმულა 1 სულაც არ მენატრება, მომწონს ახლა რასაც ვაკეთებ,* - განაცხადა რაიკონენმა ფინური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში. - *ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, რას ვიზამ მომავალ სეზონში. მაგრამ მალე ყველაფერი მოგვარდება - შესაძლოა, ბევრი რამ ფინეთის რალის შემდეგ გაირკვეს".*

„რედ ბულის" ხელმძღვანელობაში შემავალმა ერთ-ერთმა პიროვნებამ, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინა, Autosport-თან კომენტარისას დაადასტურა, რომ კომპანია მზად არის კიმისთან კონტრაქტის გასაფორმებლად: *„კმაყოფილები ვართ იმით, რაც კიმიმ ამ სეზონში გააკეთა. მას „რედ ბულის" ბრენდისთვის დიდი სარგებლობა მოაქვს და ვაპირებთ მასთან ურთიერთობის გაგრძელებას. ვფიქრობ, ეს სავსებით რეალური ვარიანტია".*

რალიში რაიკონენის ამჟამინდელი გუნდის - Citroen-ის დირექტორი **ოლივიე კესნელი** დარწმუნებულია, რომ ფინელი მის საჯინიბოში 2011 წელსაც იქნება.

*„დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იქნება,* - განაცხადა „სიტროენის" სპორტული პროგრამების შეფმა. - *ჩემი აზრით, ის ნამდვილად გატაცებულია რალით და წარმატების მიღწევა უნდა. მოხარული ვიქნები, თუ ის ჩვენთან დარჩება: კიმიმ პირველი სეზონი საკმაოდ კარგად ჩაატარა და დასამკვიდრებლად მას კიდევ ერთი წელი სჭირდება".*

ფრანგული რალის ლეგენდა **სებასტიან ლოები** ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ რალიში კიდევ ერთი სეზონი რაიკონენს ძალიან წაადგება.

*„ის აუცილებლად უნდა დარჩეს, რადგან პირველი სეზონი მთლიანად სწავლას მოანდომა,* - მიაჩნია მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონს. - *კიმი ვერ იქნებოდა პირველ წელს კონკურენტუნარიანი და თუ ის რალიდან წავა, ეს ერთი სეზონი დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. თუ გააგრძელებს, მომავალ წელს ყველა ტრასა ნაცნობი იქნება და შეიძლება უდიდეს პროგრესს მიაღწიოს. მით უმეტეს, რომ ყველანი ახალ მანქანებს მივიღებთ, მათ შორის კიმიც ამიტომაც შანსი იზრდება".*



მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უროლოგი
ალექსანდრე ხელაია გაგიწევთ
კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას შემდეგ დაავადებებზე:

- ერექციის დარღვევები
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
- პროსტატიტი, პროსტატის ადენომა
- შარდის შეუკავებლობა
- უშვილობა

მის: თბილისი, M 300 არაგველი, წინანდლის ქ. 9.
უროლოგიის ეროვნული ცენტრი, IV სართული.
69 91 96, 855 30 50 51 www. tqveniurologi.ge

9 ივლისიდან




რუსეთის დაზვერვის მორიგი მარცხი

რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ თერთმეტი ეჭვმიტანილი დააკავა. ეს შემთხვევა სპეცსამსახურების ისტორიასა და პრაქტიკაში უნიკალურია სამი გარემოების გამო...
ამჟამად დასტურდება ის ვარაუდი, რომ ეს ჯაშუშური ოპერაცია რუსეთის საგარეო დაზვერვის გრძელვადიანი პროექტი იყო და ითვალისწინებდა აგენტების ღრმად ჩანერგვის მიზნით ჯაშუშური ოჯახური წყვილების შექმნას ამერიკის ტერიტორიაზე.

...სრულად იხილეთ ჟურნალში

- მილიონერების მფრინავი სათამაშოები
- ნივთიერებები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო...
- როგორ ესროლა ხრუშჩოვმა ატომური რაკეტა... საბჭოთა კავშირს
- ირანი საზღვაო ომისთვის ემზადება

ყველაზე კარგი ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

ვარსკვლავი

# კრისტიანოს შავი ფრჩხილები

**კრისტიანო რონალდო** ცოტა ხნის წინ მამა გახდა, თუმცა პორტუგალიელი ფეხბურთელი სულაც არ აპირებს ბავშვზე მზრუნველობას - ახალშობილი დედასა და დას პორტუგალიაში დაუტოვა, თავად კი შეყვარებულთან - რუს მოდელ **ირინა შეიკთან** ერთად იახტაზე ატარებს შვებულებას.

პაპარაცებმა რონალდო ბევრ საინტერესო კადრში დააფიქსირეს. ერთი ფოტოგრაფი კი ისე ახლოს მივიდა ფეხბურთელთან, რომ მსხვილი ხედით პორტუგალიელის ფეხები გადაიღო - „რეალის" ფორვარდს ფრჩხილებზე შავი მანიკური ჰქონდა წასმული...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

